C M Y K

# საერთო გაზეთი

№01 (185) ● 11–17.I, 2012 წელი ● ოთხშაბათი ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი







gadadgeba Tu ara mixeil saakaSvili prezidentobidan da Caudgeba Tu ara nacmoZraobis saarCevno sias saTaveSi?!

**ვახტანგ ხმალაძე:**

## arCevnebis alternativa aris revolucia...

არჩევნების ალტერნატივა ერთადერთია, ეს არის რევოლუცია. რევოლუცია არის ძალა, რომელიც კანონებს და წესრიგს არად დაგიდევთ. რევოლუციით მოსული ძალა დასაშვებად მიიჩნევს კანონგარეშე ქმედებას და თვითონაც მოქმედებს უკანონოდ. არჩევნების დროს ცუდი საარჩევნო კანონის დროსაც შესაძლებელია მოგება თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება.

**კახა კუკავა:**

## gamoCndeba Tu ara mesame politikuri Zala?

დღეს საქართველოში ეროვნულობის მთავარ მოწინააღმდეგეს და მთავარ პრობლემას წარმოადგენს ამერიკული გავლენა. ამ გავლენის მოცილებაა დღესდღეობით, ქვეყნის მთავარი პრობლემა.

დიახ, ამერიკული გავლენა უნდა მოვაცილოთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც, საშინაო პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც კულტურასაც, იდეოლოგიასაც.... რომ საქართველო გახდეს განვითარებული ქვეყანა.

**რობერტ სტურუა:**

## naftalinSi yvelaze Zvirfas nivTebs deben...

რაც შეეხება ნაფტალინს და ქართულ ოცნებას; მე ვიყავი ქართული ოცნების დაფუძნებაზე; მე არ მიყურებია იმ გადაცემისთვის, მერე ნაცნობმა დამირეკა და მითხრა, ბატონო რობერტ, თქვენ არ ინერვიულოთ, ნაფტალინში ყველაზე ძვირფას ნივთებს დებენო. მე გამეცინა და გამახსენდა ცნობილი რეჟისორის ეს გამონათქვამი, ნამდვილად მაყრია ნაფტალინი, იმიტომ რომ გარშემო უამრავი ჩრჩილია და ვეომებით.

**თამარ ჩხეიძე:**

## teritoriuli mTlianobis aRdgena upirobo mcneba unda gaxdes

ჩემი აზრით, ბატონ ბიძინას არ უნდა დაეწყო ჭეშმარიტ და არაჭეშმარიტ ოპოზიციაზე ლაპარაკი, არ უნდა დაეხარისხებინა ისინი. მითუმეტეს, რომ მან მაინც ვერ შეძლო ამ ეტაპზე მათი საუკეთესო ნიშნით დახარისხება. მას უნდა შეექმნა თავისი გუნდი, და მერე შეხედავდა ვისთან ითანამშრომლებდა და ვისთან არა — პოზიციიდან გამომდინარე. კითხვებს იწვევს ისიც, რომ „რესპუბლიკელების“ პარტია აირჩია, მე მათ მიმართ არანაირი პირადი ინტერესები არ გამაჩნია, მაგრამ მათი პოზიციები ჩემში იწვევს შიშს.

## რედაქტორის სვეტი

საქართველოს ერთი ვერაგი მტერი შემოეჩვია.

ამ მტერს უსიყვარულობა ჰქვია.

ოცი წელია ეს მტერი გვაჩანაგებს, გვანადგურებს, გვაოხრებს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად.

ვერა და ვერა დავიოკეთ ოცი წლის წინათ დაწყებული სიძულვილის ექსტაზი და დღემდე ერთმანეთის დამარცხებაზე უფრო მეტს ვფიქრობთ, ვიდრე ქვეყნის გამარჯვებაზე, რომელიც თითოეული ჩვენგანის გამარჯვების საწინდარი უნდა იყოს.

2012 წელი, მოგეხსენებათ, საპარლამენტო არჩევნების წელია და ამ არჩევნებისთვის ისე ვემზადებით, როგორც ომისთვის.



პოლიტიკურ ასპარეზზე ახლახან გამოჩენილი ერთ-ერთი პოლიტიკოსი ხელისუფლებას უკვე ალყაში ჰყავს მომწყვდეული და საალყო რკალს მის გარშემო ნელ-ნელა კრავს და ავიწროებს.

არადა, ამ კაცმა ძალზე საგულისხმო რამ თქვა: მე არ მოვდივარ ვინმეს დასამარცხებლად, მე თითოეული ქართველის გასამარჯვებლად მოვდივარო.

ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ის თავის ოპონენტებს უყურებს, არა როგორც თავის ოპონენტებს, არამედ როგორც მოსისხლე მტრებს, რომლებიც უნდა გაანადგურო, გაანადგურო, გააცამტვერო და ჩარეცხო.

მოჭარბებულმა რისხვამ და სიძულვილმა იცის ასე, სიძულვილი კი ისეთი რამ არის, გონებას გიმღვრევს, გულს გიქვავებს და საღად აზროვნების უნარს გიკარგავს.

ადამიანის უკეთურ თვისებათაგან სიძულვილი ყველაზე საძულველი, ადამიანისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი თვისებაა, რომელსაც ერთი უცნაური ზნე სჭირს: ის პირველ ყოვლისა, მას ანგრევს და ანადგურებს, ვინც სიძულვილის სენითაა შეპყრობილი.

ერთს ვისურვებდი: ამ ახალ 2012 წელს მეტი იყოს სიყვარული და ნაკლები სიძულვილი.

2012 წელს მაინც ნაკლები გვეფიქროს საკუთარ თავზე და უფრო მეტი გვეფიქროს სამშობლოზე.

2012 წელს მაინც ნაკლებად გვყვარებოდეს საკუთარი თავი და უფრო მეტად გვყვარებოდეს სამშობლო.

ვახტანგ ხარჩილავა

---

ლინკოლნ მიტჩელი

# saqarTvelos mTavroba, romelmac verafriT miagno misTvis Sesaferis opozicias

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ერთი-ერთი წინაღობა საქართველოს შემდგომი დემოკრატიული განვითარების გზაზე, ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი პოლიტიკური ძალის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის დომინირება გახდა. გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა ''ვარდების რევოლუციის'' შემდეგ მალევე შეიქმნა – მაშინ გაერთიანდა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა და პარტია ''გაერთიანებული დემოკრატები'', რომელსაც სათავეში ედგა გარდაცვლილი ქართველი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და იმჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარე და დღეს უკვე ოპოზიციური პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე. ამ დროიდან მოყოლებული, გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ (გნმ) მოიგო ყველა არჩევნები საქართველოში, ის აკონტროლებს ყველა არჩეულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ პოზიციას ქვეყანაში.

გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას ძალაუფლების რამდენიმე ძირითადი წყარო აქვს. პირველი, ეს საკმაოდ პოპულარული პოლიტიკური პარტიაა. ბევრი ქართველი კმაყოფილია იმ რეფორმებით, რომელიც საქართველოს მთავრობამ გნმ-ის ხელმძღვანელობით ჩაატარა, მხარს უჭერს გნმ-ს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ან სწამს, რომ გნმ-ს ყველაზე უკეთ შეუძლია საქართველოს წაყვანა სწორი მიმართულებით. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გნმ-ი ყველა გამოკითხვაში რეალურად სახელდება ყველაზე პოპულარულ პარტიად.





მაგრამ ეს გნმ-ის წარმატების მხოლოდ ერთ-ერთი ახსნაა. მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა, უმეტესი საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების აზრით, მან შეზღუდა მედიის თავისუფლება, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება დასუსტდა, მაგრამ ეს ყველაფერი ამ ბოლო წლებში იცვლება. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღეს არ ახასიათებდა დიდი გაყალბება და ქაოსი, გნმ-ი ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს, მიმართავდა მუქარასა და დაშინებას, რათა შეეზღუდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის გავლენა. ამ გარემოში, გნმ-ის პოპულარობა და საარჩევნო გამარჯვებები ცოტა სხვანაირად უნდა განვიხილოთ – სხვა თუ არაფერი, ეს სისტემაში არადემოკრატიული გადმონაშთების ნიშანი უფროა, ვიდრე ჭეშმარიტი და დემოკრატიული მხარდაჭერის დასტური.

გნმ-ის უწყვეტი პოპულარობისა და დომინირების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, თავად ქართული ოპოზიციაა. ოპოზიციის დიდი ნაწილი, და გასაოცარი არ არის, რომ სწორედ ამ ნაწილს გამოჰყოფს ხშირად მთავრობაცა და მთავრობის მიერ მართული მედიაც, პოლიტიკური სპექტაკლებითაა დაკავებული, აყენებს უგუნურ მოთხოვნებს, აქვს უსუფთაო ურთიერთობები მოსკოვთან და ხშირად იღებს გამაოგნებლად უვარგის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ქართული ოპოზიციის უფრო სერიოზულ ნაწილს, განსაკუთრებით კი ირაკლი ალასანიას ''თავისუფალ დემოკრატებს'', როგორც წესი, რესურსებსა და მედიაზე შეზღუდულად მიუწვდებოდა ხელი. მედიის დიდ ნაწილზე საქართველოს მთავრობას ძალიან დიდი გავლენა აქვს, მაშინ, როდესაც სერიოზული და ლეგიტიმური ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერა მდიდარ ადამიანს და საწარმოს შეიძლება პრობლემად ექცეს ქართულ კლანურ კაპიტალისტურ გარემოში.

ქართული მთავრობა ძალიან ჭკვიანურად იყენებს ამ სიტუაციას და ხშირად შესჩივის უცხოურ და შინაურ აუდიტორიას იმაზე, რომ საქართველო ძლიერი და სერიოზული ოპოზიციის დეფიციტს განიცდის. მთავრობა, რაღა თქმა უნდა, ჩივის იმაზე, რომ ოპოზიცია ძალიან სუსტია, ამ დროს კი იმას ცდილობს, რომ სიტუაცია არ შეიცვალოს. ამიტომაც საქართველოს მთავრობას შეეძლო თავიდან აეცილებინა კრიტიკა ერთპარტიული დომინირების გამო და ემტკიცებინა, რომ გნმ-ის პოპულარობის გამო არავის შეუძლია მას ხელშესახები კონკურენცია გაუწიოს. ეს არგუმენტი რამდენიმე წლის განმავლობაში სასარგებლოც იყო და ზუსტიც.

თუმცა, სამი თვის წინ, ეს ყველაფერი უეცრად შეიცვალა, რაც თბილისში დიდი შეშფოთების მიზეზად იქცა. საქართველოს მთავრობა, რომელიც წლების მანძილზე იმას ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია ძალიან სუსტი და ძალიან ღარიბია, თითქმის ერთ ღამეში იძულებული გახდა ემტკიცებინა, რომ ოპოზიცია ახლა ზედმეტად ძლიერი, და უფრო ზუსტად, ზედმეტად მდიდარია. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა სექტემბერში განაცხადა – ის პოლიტიკაში ჩართვას აპირებს, მჭიდროდ ითანამშრომლებს და დაფინანსებაში დაეხმარება ''თავისუფალ დემოკრატებსა'' და რესპუბლიკელებს, ორ პარტიას, რომლებიც ქართულ ოპოზიციურ სპექტრში უფრო რაციონალურ, მოწიფულ და ზომიერ პოზიციას იკავებენ. თითქმის ერთ ღამეში ქართულ მთავრობას მოუხდა კონკურირება ისეთ ოპოზიციასთან, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს რესურსები და ხელი მიუწვდება ისეთსავე ძვიდარღირებულ, თანამედროვე კამპანიასა და ინფრასტრუქტურაზე, როგორზეც ბოლოდროინდელ ქართულ არჩევნებში მხოლოდ გნმ-ს მიუწვდებოდა ხელი.

ქართული მთავრობა ივანიშვილის შემოსვლას პოლიტიკაში ისე კი არ მიესალმა, როგორც ღირებული ოპონენტის გამოჩენას, რომელსაც შუძლია დამატებითი რესურსები გააჩინოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებიც ისმოდეს, არამედ შეეცადა დაესუსტებინა ივანიშვილი და შეეზღუდა პოლიტიკაზე მისი ზეგავლენის უნარი. მეთოდებში, რომელიც მთავრობამ ამისთვის გამოიყენა, შედიოდა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა და პარტიების დაფინანსების ისეთი კანონის მიღება, რომელიც არა მხოლოდ შეუზღუდავდა მილიარდერს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საშუალებას, არამედ ''თავისუფალ დემოკრატებსა'' და რესპუბლიკელებს უკვე მიღებული თანხების დაბრუნებას მოსთხოვდა.

ცხადია, ივანიშვილმა საქართველოში სასწორი გადახარა ისე, რომ ვითარება უფრო ექსტრემალურია, ვიდრე ამერიკაში ისეთი მდიდარი კანდიდატების არსებობისას, როგორიცაა მაიკლ ბლუმბერგი ან მიტ რომნი. მაგრამ პოლიტიკიდან ივანიშვილის გაძევების მთავრობისეული მცდელობა ერთ რამეს ააშკარავებს – ტყუილი ოპოზიციის სისუსტეზე მხოლოდ ამართლებდა იმ ფაქტს, რომ მთავრობა არ იყო დაინტერესებული დემოკრატიის არსებობაში და გულწრფელად არ სწუხდა საქართველოს პოლიტიკური ძალების მდგომარეობის გამო. ჯერ კიდევ არ არის ცხადი, რამდენად წარმატებულად მოახერხებს მთავრობა ივანიშვილის როლის შეზღუდვას, მაგრამ საკმაოდ ცხადია ის, რომ ქართული მთავრობა, ალბათ გააგრძელებს ოპოზიციის დახასიათებას ისე, როგორც ძალიან სუსტი, ან ძალიან ძლიერი ძალის და განსხვავებით ზღაპრის გმირი გოგონასაგან, რომელსაც სახელად გოლდილოკი ერქვა, ვერასდროს მიაგნებს ისეთს, რომელიც მას შეეფერება.

**Foreignpress.ge**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# biZina ivaniSvilis gakveTilebi xelisufalTaTvis



მარცხენა ლოყაში რომ გაგარტყან, მარჯვენა მიუშვირე, — გვასწავლის ბიბლია.

— კი, ბატონო, გამარტყით მარცხენა ლოყაში, ახლა მარჯვენაშიც გამარტყით, მე თქვენ ხელს მაინც არ შემოგიბრუნებთ, რადგან არ მინდა, თქვენ დაგემსგავსოთ, — ასეთია ბიძინა ივანიშვილის უსიტყვო „პასუხი“ ხელისუფლების მრავალი უკადრისი და უღირსი საქციელის საპასუხოდ.

**რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, ეს ერთგვარი ზნეობრივი გაკვეთილებია ხელისუფალთათვის, გაკვეთილები, რომლებსაც ქრისტიანული მორალი უდევს საფუძვლად.**

ბოროტება, თავისი ბუნებით, პროვოკატორულია. ის თავისი ბოროტი ქმედებით შენც ბოროტების ჩადენისკენ გიბიძგებს, რომ მას დაემსგავსო და მისნაირი გახდე.

მარცხენა ლოყაში რომ გაგარტყამენ და შენც მარჯვენაში რომ ლეწავ, ბილწი სიტყვებით რომ შეგაგინებენ და შენც იმავე სიტყვებით უბრუნებ ხურდას, შენც იგივე და იმნაირი ხდები და სწორედ ესაა სატანის მიზანი — ბოროტს ბოროტი მიუმატოს და ამით ამრავლოს და გააძლიეროს ბოროტება.

მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული არაერთი აღმაშფოთებელი ქმედებისა, ბიძინა ივანიშვილს წონასწორობა არ დაუკარგავს და შესაშური სტოიციზმით და სიდინჯით იტანს ხელისუფლების მიერ მიყენებულ დარტყმებს.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მას შეეძლო პოლიტიკაში შემოსვლის პირველსავე დღეებში, როცა საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს, ასიათასობით ადამიანი გამოეყვანა ქუჩაში და მარცხენა ლოყაში შემომლაწუნებლისთვის ცხვირ-პირი დაენგრია, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო ამის გაკეთება.

მას ახლაც, ნებისმიერ მომენტში, ერთი დაძახილით შეუძლია იგივეს გაკეთება, შეუძლია, მაგრამ არ აკეთებს, რადგან ამით იმ ხელისუფლებას დაემსგავსება, რომლის შეცვლასაც აპირებს.

თუ შესაცვლელ სუბიექტს მიბაძავ და მის მეთოდებს გაიმეორებ, მაშინ გამარჯვებასაც აზრი ეკარგება, რადგან სხვისი შეცვლა ვერ მოახერხე და თვითონვე იქეცი მის ახალ სახედ, მის ორეულად და ანარეკლად.

— რა სიბინძურეებიც არ უნდა ჩაიდინოთ, რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, მე თქვენ ვერ გამომიყვანთ წყობიდან. პირიქით, მე თქვენ გაიძულებთ, შეიცვალოთ, მე თქვენ გაიძულებთ, ცოტათი უკეთესები გახდეთ, ვიდრე ხართ. რა საძაგლობებიც არ უნდა აკეთოთ, მე თქვენ საშუალებას არ მოგცემთ, უხეშ ძალას უხეში ძალა დაუპირისპიროთ და თქვენი სისასტიკის და დაუნდობლობის გამოვლენის საბაბი მოგცეთ. მე თქვენ ზნეობის გაკვეთილს გიტარებთ და კლასიდან გაპარვის საშუალებას არ მოგცემთ — თქვენ ბოლომდე ანუ არჩევნების დღემდე უნდა უსმინოთ ამ გაკვეთილს — ასეთია ბიძინა ივანიშვილის „მესიჯი“ ნაცმოძრაობის გამოწვევებზე.

**ყველაზე საგულისხმო ამ სიტუაციაში ის არის, რომ ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ მასში ძალიან დიდია რევოლუციური განწყობა, შინაგანი გუმანით და ინტუიციით იგრძნო, რომ ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული ტაქტიკა და სტრატეგია უალტერნატივოა.**

ასე რომ, კითხვაზე, თუ სად გადის ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის მოთმინების ზღვარი, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვუპასუხოთ — ის გადის საარჩევნო ბატალიების ველზე, ის გადის საარჩევნო ყუთთან, რომელმაც ქართველი ერის ხმა ერთად უნდა შეკრიბოს და სუსტი და ძლიერი ამით განარჩიოს.

**გიორგი გამეზარდაშვილი**



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# gadadgeba Tu ara mixeil saakaSvili prezidentobidan da Caudgeba Tu ara nacmoZraobis saarCevno sias saTaveSi?!



დრო გვაჩვენებს თუ რამდენად რეალურია რამაზ საყვარელიძის ვარაუდი, რომ მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ პრეზიდენტობიდან გადადგება და ნაცმოძრაობის სიას ჩაუდგება სათავეში.

არაორდინარული გადაწყვეტილებებით ცნობილ და ავანტურისტული ბუნების სააკაშვილისგან არაფერი მოულოდნელი და, აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია მოვლენათა განვითარების საყვარელიძისეული პროგნოზი მართლაც გამართლდეს, მითუმეტეს რომ ეს ვარიანტი, მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სააკაშვილს შანსს აძლევს უმტკივნეულოდ შეინარჩუნოს ძალაუფლება, ახლა უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში.

**მოდით, ჯერ იმაზე ვიმსჯელოთ, რა უფრო ხელსაყრელია სააკაშვილისთვის, დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე და დაელოდოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, რომელიც შეიძლება ნაცმოძრაობის მარცხით დამთავრდეს თუ თვითონვე გამოჭედოს საკუთარი მომავალი და საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობის გამარჯვებისთვის იბრძოლოს, რომ ამით მყარი გარანტია მიიღოს პოლიტიკური კარიერის გასაგრძელებლად.**

ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლამ ქართულ პოლიტიკაში მკვეთრად შეცვალა ვითარება და მორალურად, ფინანსურად, პოლიტიკურად გაკოტრებული პოლიტიკური სპექტრი ერთბაშად გამოაცოცხლა და გამოაღვიძა.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ივანიშვილი აღმოჩნდა ის ჯადოქარი, რომელმაც ერთი ხელის აქნევით შესძლო პოლიტიკური გვამების გაცოცხლება და მათთვის ახალი სულის შთაბერვა.

„მიცვალებულთა გამცოცხლებელმა“ ივანიშვილმა კარგა ხნის წინათ ხელჩაქნეული და აპათიაში ჩავარდნილი მოსახლეობის გამოღვიძებაც მოახერხა და ადამიანებს რწმენა და იმედი დაუბრუნა, რის შედეგადაც დიდი კითხვის ნიშანი დაესვა მომავალ არჩევნებში ნაცმოძრაობის უპირობო გამარჯვებას.

**სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ მისი პრეზიდენტობის ვადა, რომელიც ოფიციალურად 2013 წელს მთავრდება, სინამდვილეში მთავრდება 2012 წელს. თუ ნაცმოძრაობა კონსტიტუციურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს პარლამენტში.**

პრეზიდენტობასთან ერთად ალბათ, დიდი ხნით ან სამუდამოდ დამთავრდება მისი პოლიტიკური კარიერაც, ამიტომ მას საპარლამენტო არჩევნებში მისი გუნდის გამარჯვება პრეზიდენტობაზე უფრო მეტად უღირს, ამიტომ სულაც არ არის გამორიცხული მოცემულ მომენტში სააკაშვილმა მართლაც დათმოს პრეზიდენტობა, ჩაუდგეს ნაცმოძრაობის სიას სათავეში, თავგანწირვით იბრძოლოს გამარჯვებისთვის და კვლავ დაბრუნდეს, ოღონდ ამჯერად ძალიან დიდი ხნით, ამისთვის კი ცოტა ხნით პრეზიდენტობაზე უარის თქმა ნამდვილად ღირს.

მსგავსი რამ მან უკვე გააკეთა 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ – გადადგა პრეზიდენტობიდან, ხელახლა იყარა კენჭი და კვლავ დაბრუნდა.

მაშინ მას გარკვეული გარანტიები ჰქონდა, დღეს კი ეს გარანტიები არა აქვს, მაგრამ სააკაშვილმა შეიძლება მაინც გარისკოს, რადგან რისკი ამ შემთხვევაში ძალაუფლების შენარჩუნების გაცილებით მეტ ალბათობას შეიცავს.

სააკაშვილმა დანამდვილებით იცის, რომ საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრად მას არავინ დააბრუნებს, ამიტომ იქნებ სჯობდეს პრემიერ-მინისტრობა ახლავე მოიპოვოს და, როგორც იტყვიან, მოიპოვოს საკუთარი შრომით და ოფლით?

**ნაცმოძრაობის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მას სააკაშვილის გარდა არ ჰყავს ლიდერი, რომელიც თუნდაც ნაწილობრივ შეძლებდა სააკაშვილობას.**

**ნაცმოძრაობის აქილევსის ქუსლი სწორედ ეს არის – ყველაფერი ერთ პიროვნებაზეა ჩამოკიდებული, ყველაფერი ამ ერთი კაცის გარშემო ტრიალებს, მთელი გუნდი, ფაქტობრივად, ეს ერთი კაცია.**

საკმარისია, ამ ერთმა კაცმა წაიფორხილოს და, როგორც სააკაშვილს უყვარს თქმა, შეიძლება მთელი ნაცმოძროაობა ჩამოიშალოს.

რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა თავად სააკაშვილის „დამსახურებაა“, რომელმაც თავისი პარტიული „არმია“ მხოლოდ რიგითებით და სერჟანტებით დააკომპლექტა.

მას არ ჰყავს ნამდვილი გენერლები და, აქედან გამომდინარე, არ ჰყავს „გენშტაბი“, ხოლო ის წვრილფეხობა, რომლებიც გენერლობას თამაშობენ, გაბრაზებულ გულზე პანღურის ამოსარტყმელად თუ გამოადგება მთავარსარდალს, თორემ ისინი ომის მომგებნი არ არიან.

დიახ, სააკაშვილს არ ჰყავს არცერთი სერიოზული პოლიტიკური ფიგურა თავის გუნდში, რომელიც თუნდაც ამ საპარლამენტო არჩევნების დროს წინ წაუძღვებოდა ნაცმოძრაობას და წარმატებით გაართმევდა თავს დაკისრებულ ამოცანას.

ამიტომაც სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ის ვარაუდი, რომ სააკაშვილი პირადად უსარდლებს თავის ლაშქარს.

კაცმა რომ თქვას, მას სხვა გამოსავალი არც აქვს.

მთელ ამ პერიპეტიებს ლანდივით თან გასდევს ივანიშვილის სახელი, რომელმაც დალაგებულ-დავარცხნილი გეგმა აუყირავა სააკაშვილს და მკაცრი რეალობის წინაშე დააყენა იგი.

ნაცმოძრაობის ახალი სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტში, მის ყველა ნიუანსში ქვეტექსტად იგულისხმება ივანიშვილი, როგორც ნაცმოძრაობის და სააკაშვილის ერთადერთი სერიოზული კონკურენტი.

არ არის გამორიცხული სააკაშვილი ფიქრობდეს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობით ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭიროს. ერთი, უზრუნველყოს ნაცმოძრაობის გამარჯვება და მეორე, ამით დაბლოკოს ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერების პერსპექტივა.

არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც კიდევ უფრო ამტკიცებს მოსაზრებას, რომ სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

საქმე ის არის, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადადგომის შემთხვევაში მის ადგილს ავტომატურად იკავებს დავით ბაქრაძე, რომელიც ვალდებულია 40 დღის განმავლობაში დანიშნოს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები.

**ფაქტია, ახლა, ამ სიტუაციაში გაცილებით ადვილია ნაცმოძრაობისა და პირადად სააკაშვილისთვის სასურველი საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევა, ვიდრე ბურუსით მოცულ და „შორეულ“ 2013 წელს.**

აქაც იგულისხმება, რომ ამ მანიპულაციით ბიძინა ივანიშვილს უპირებენ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებას, რომელიც სანამ ქართული და საერთაშორისო სასამართლოების გზით საქართველოს მოქალაქეობას აღადგენს, მანამდე სააკაშვილს და მის გუნდს ყველაფერი მოთავებული ექნება – პარლამენტიც არჩეული იქნება, პრემიერ-მინისტრიც და პრეზიდენტიც – ასეთია სააკაშვილის და მისი გუნდის გათვლა.

როგორც ჩანს, 2012 წელი პოლიტიკურად დაძაბული, უაღრესად მძაფრი წელი იქნება.

ფაქტობრვად, 2012 წელს გადაწყდება სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ბედი და ამასთან ერთად იმ პოლიტიკოსებისა და იმ პოლიტიკური პარტიების ბედიც, რომლებიც არჩევნების გზით აპირებენ სააკაშვილისა და მისი გუნდის დამარცხებას.

**მიმომხილველი**





# arCevnebis alternativa aris revolucia...

*გვესაუბრება ექსპერტი — კონსტიტუციონალისტი* ***ვახტანგ ხმალაძე.***

**— ბატონო ვახტანგ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე პოლიტიკური სპექტრი თითქმის ერთი წელიწადი მუშაობდა. „რვიანმა“ და შემდეგ „ექვსიანმა“ „იმუშავა“, მაგრამ შედეგი? შედეგი რა იყო?**

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა „8-იანი“ დაიშალა და ამ ერთობის ორმა წევრმა „ქრისტიან-დემოკრატებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხელი მოაწერეს ხელისუფლებასთან შეთანხმებას, როგორც ჩანს, ხელისუფლება უკვე მუშაობდა ახალ საარჩევნო კოდექსზე, თუმცა ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

მახსოვს, მაშინ ძალიან აღშფოთებული იყო რვიანის რამდენიმე წევრი იმის გამო, რომ ხელისუფლებას ვენეციის კომისიისთვის ისე გაუგზავნია ახალი კანონ-პროექტი, რომ ამის შესახებ რვიანის წევრებისთვის არაფერი გაუგებინებია. მათ შორის არც იმათთვის, ვინც შეთანხმებას მოაწერა ხელი. უკვე ცხადი იყო, ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობდა.

**— იმ კანონ-პროექტში არ ყოფილა გათვალისწინებული „8-იანის“ წინადადებები? იყო შეტანილი რაიმე სახის ცვლილება?**

— ცხადია, ჩვენ შემდეგ ვნახეთ ეს კანონ-პროექტი, მაგრამ იქ არავითარი მნიშვნელოვანი სახის ცვლილება არ ყოფილა, რაზეც წლებს განმავლობაში ვლაპარაკობდით, ყველა საკითხი კვლავ ძველებურად დარჩა. ყველა პრობლემა, რაც „რვიანმა“ დასვა იყო უგულებელყოფილი და საბოლოოდ, აი, წლის ბოლოც დადგა და 2011 წლის ბოლოს ფართხაფურთხით მიიღეს საარჩევნო კოდექსი.

**— რატომ ფართხაფურთხით. რატომ იჩქარეს თქვენი აზრით?**

— მიზეზად დაასახელეს ის, რომ ვალდებულება გვაქვს აღებული ვენეციის კომისიის წინაშე, წლის ბოლომდე უნდა მივაწოდოთ კანონ-პროექტი, რომ შემდეგ რეკომენდაციები გავითვალისწინოთ მომავალ კოდექსშიო, მაგრამ როგორ ითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება რეკომენდაციებს, ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

თუმცა რეალური მიზეზი, ჩემი აზრით, სულ სხვაა. ხანგრძლივი განხილვის შემთხვევაში, უფრო კარგად გამოჩნდებოდა ხარვეზები და გაუჭირდებოდათ შენიშვნების უკუგდება, ამიტომ ეს თავიდან აიცილეს.

**— ვენეციის კომისიამ, რამდენადაც ცნობილია, შენიშვნების დასტა წარმოადგინა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით.**

— 90-მდე შენიშვნა იყო. მაგალითად, გაუთვალისწინებელია დღემდე ვენეციის კომისიის არაერთგზის დაყენებული მოთხოვნა ამომრჩევლის თანასწორობის შესახებ. ამაზე წერდა ვენეციის კომისია და მიუთითებდა, რომ გათანაბრებულიყო ოლქები, მაგრამ რეკომენდაცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ქაღალდზე დარჩა აგრეთვე ვენეციის კომისიის, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებითაც.

მესამე და ასევე ფუნდამენტური შენიშვნა, რომელიც არ გათვალისწინებულა, არის მედიის საკითხი. არ დარეგულირებულა კანონპროექტი ისე, რომ შეზღუდულიყო ხელისუფლება, არ გამოეყენებინა კონტროლირებადი მედია უპირატესობის მისაღებად არჩევნების დროს.

კვლავ ფუნდამენტური შენიშვნა: შეზღუდვა, რომელიც დაწესებულია იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ წლების განმავლობაში ცხოვრობენ აქ, უნდა მიეცეთ არჩევანის უფლება. ეს შენიშვნა უნდა იქნეს გაუქმებულიო. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ დაუშვებელია, აგრეთვე, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო გაერთიანებისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა. იქვეა შენიშვნები საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, რადგან არსებული კანონი ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო დავების სამართლიან გადაწყვეტას. ცხადია, არც ეს გაითვალისწინეს.

**— გამოდის, რომ არც ერთი შენიშვნა არ გაუთვალისწინებიათ.**

— რაღაცები თითქოს გააუმჯობესეს, მაგრამ ეს იყო, ძირითადად, ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც არ არის ისე მნიშვნელოვანი. დამეთანხმებით, საძირკველი თუ კარგად არ გასწორდა, შენობას კარ-ფანჯარა რომ გამოუცვალო, უბრალოდ, აზრი არა აქვს.

**— ოპოზიციამ მიმართოს ვენეციის კომისიას და წარუდგინოს შენიშვნები.**

— მიწოდებული გვაქვს და სხვათა შორის, არაერთგზის, მათ მოიწონეს ჩვენს მიერ გაგზავნილი შენიშვნები და აღნიშნეს, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი საარჩევნო პროცესის სრულყოფისკენ.

**— თუ არსებობს რაიმე სახის სანქცია იმ ქვეყნების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყნებში არჩევნებს საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევებით ატარებენ?**

— საერთაშორისო ორგანიზაციები შემოიფარგლებიან შენიშვნებით, რომ ცალკეულ შემთხვევებში, არჩევნები არ იყო სამართლიანი, იყო დარღვევები, სიყალბეები, ამიტომ შედეგები არ შეესაბამება სტანდარტებს და არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ დემოკრატიულად ჩატარდა. ეს არის უარყოფითი შეფასება და უფრო შორს შეფასების საკითხში ისინი არ მიდიან.

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, ქვეყანას პრობლემები ექმნება იმ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რომლის წევრებიც არიან. მაგალითად, ევროსაბჭოში, ეუთოში, ევროკავშირში და ა.შ.

**— ბატონო ვახტანგ, 8-იანმა და ხელისუფლებამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით თითქმის ერთი წელიწადი ისე ითათბირეს, რომ დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრობლემა არ ჰქონიათ. რა მოხდა ახლა, რატომ დაწესდა ამდენი აკრძალვა ფინანსებთან დაკავშირებით?**

— ხელისუფლება პარტიების დაფინანსების შეზღუდვის საკითხს არ გეგმავდა. თავიდანვე იყო საუბარი, რომ პარტიებისთვის შემოწირულობების ზღვარი ფიზიკური პირების მხრიდან 30 000 ლარიდან 60 000-მდე გაიზრდებოდა, იურიდიული პირებისთვის კი 100 000-დან 200 000-მდე.

ოპოზიციამ მოითხოვა ზღვრული თანხის გაზრდა და ხელისუფლება ზაფხულში დათანხმდა ოპოზიციის ამ წინადადებას „რვიანთან“ ერთ-ერთ შეხვედრაზე და საერთოდ არ ფიქრობდა რაიმე სახის შეზღუდვების დაწესებას. მეტიც, ვენეციის კომისიისთვის გაგზავნილ კანონ-პროექტებში მითითებული ჰქონდათ 60 000 და 200 000, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, ხელისუფლებამ დაიწყო ამაზე ფიქრი და მოქმედება, როგორმე გადაკეტოს დაფინანსების ყველა შესაძლო არხი.

პირველი, რაც საწრაფოდ გაკეთდა, ეს იყო იურიდიული პირების მიერ შემოწირულობების სრული აკრძალვა.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გრანტების და შემოწირულობების ხარჯზე არსებობენ, ხელისუფლებისთვის მოულოდნელად საფრთხე აღმოჩნდა, რადგან ისინი შესაძლო იყო რომელიმე ოპოზიციური ძალის გვერდით დამდგარიყვნენ ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით. მოგეხსენებათ, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ თანხები მიიღონ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით დონორებისგან, არამედ საზღვარგარეთიდან, უცხოეთის მოქალაქეებისგანაც. ე.ი. შეუძლიათ პოლიტიკური აქტივობაც აწარმოონ. ამიტომ დაისვა საკითხი — გადაუკეტონ დაფინანსების წყაროები, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების კვდომას გამოიწვევს.

„მოსყიდვის“ მეორე ფორმა — აქამდე ამომრჩევლისთვის საჩუქრის გადაცემა კანდიდატის მხრიდან აკრძალული იყო მხოლოდ საარჩევნო პერიოდში. ახლა ასეთი რამ ეკრძალებათ მუდმივად, მთელი წლის განმავლობაში. მცირე საჩუქრის გადაცემა არ ეკრძალება სადღესასწაულოდ არა მხოლოდ პარტიებსა და კანდიდატებს, არამედ მათაც, ვისაც საჯაროდ აქვთ გაცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. თუ მან საჯაროდ დააფიქსირა, რომ აქვს ესა თუ ის პოლიტიკური ინტერესი, მას უკვე არავითარი საჩუქრის ან მოსყიდვის მსგავსი ქმედების განხორციელების უფლება აღარ აქვს.

**— რა სანქციები არსებობს? ბატონო ვახტანგ, პარტიებს, ფიზიკურ პირებს, იურიდიულ სუბიექტებს, ალბათ, სხვადასხვაგვარი სანქცია დაეკისრებათ.**

— თუ პარტიამ აკრძალვა დაარღვია, ეს ავტომატურად მის ლიკვიდაციას ნიშნავს. ეს ნორმა კი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ფიზიკურ პირს, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ემუქრება, ასევე ფულადი ჯარიმა ათმაგი ოდენობით და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

**— ვინც საჩუქარი მიიღო?**

— იმ ადამიანს მიუსჯიან ციხეს სამ წლამდე ვადით.

**— ასეთი მუხლი არსებობს სს კოდექსში?**

— უკვე შეტანილია.

მაგრამ, ნახეთ, რა ხდება. ყველა ჩვენგანი არაერთხელ აღმოვჩენილვართ ისეთ სიტუაციაში, როცა ქუჩაში გვხვდება ადამიანი, რომელიც გვთხოვს პურის ან წამლის ფულს. ჩვენ უყოყმანოდ დავხმარებივართ მას. რამდენჯერ დაუკაკუნებიათ ჩვენი სახლის კარზე და მოწყალება უთხოვიათ? — არაერთხელ, ხომ? და ჩვენც მიგვიცია, რამდენის შესაძლებლობაც გვქონია. რამდენჯერ მოსულან ამა თუ იმ საქველმოქმედო ორგანიზაციის სახით, უამრავჯერ, ხომ?

თუმცა საშიშროება ნაკლებად ემუქრება იმას, ვისაც თავისი პოლიტიკური მიზნები ჯერ არ გაუცხადებია, მაგრამ თქვენთან მჭიდროდ დაკავშირებულმა პირმა თუ უკვე განაცხადა, თქვენზეც ავტომატურად გავრცელდება აკრძალვა. მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტზე კი არ გავრცელდება, არამედ იმ საწყალ ადამიანზეც, რომლისთვისაც ის მცირეოდენი დახმარება იმ მომენტში მნიშვნელოვანი იყო. ის ადამიანიც შეიძლება ციხეში აღმოჩნდეს.

ტელევიზიით არაერთხელ მოგისმენიათ, დავუშვათ, ამა თუ იმ ადამიანს აქვს ესა თუ ის დაავადება და გთხოვთ გადაურიცხოთ თანხა. თუკი მას გადაურიცხავთ ფულს და თქვენი პოლიტიკური ინტერესების შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მის მოსყიდვაში დაგედებათ ბრალი. თქვენთან ერთად



6 gv.

# jer kidev ar aris gvian

ჩვენ დღეს გადარჩენაზე ვფიქრობთ და აუცილებელია, რომ ყველას ერთნაირად გვესმოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა და არა მარტო ამ სიტყვის.

მე როგორც ვფიქრობ, უმრავლესობა გადარჩენაში ჭამას და მონელებას გულისხმობს. ჰოდა, თქვენო უმრავლესობავ! უვიცნო, ბოროტნო, მოღალატენო, თქვენ უკვე გადარჩენილები ხართ, სადარდებელი არაფერი გაქვთ (დარდი არც აქამდე იცოდით!).

ახლა უმცირესობას, მამულიშვილებს მივმართავ: გაგიკვირდებათ და ბუნების კანონებს თუ გავითვალისწინებთ, ცოტანი უფრო ადვილად "გადავირჩენთ" თავს(!) (ორი კაცი უფრო ადვილად შეიპარება მტრის ბანაკში, ვიდრე ორასი; ორი კაცი უფრო ადვილად გაიპარება ტყვეობიდან, ვიდრე ორასი!), მაგრამ ეს ზუსტად ის გადარჩენა იქნება, რასაც უკვე მიაღწია უმრავლესობამ.

ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ეს არ გავკმაყოფილებს. ჩვენ გვინდა არამარტო საკუთარი თავის გადარჩენა, არამედ – სამშობლოს გადარჩენა, ერის გადარჩენა, ყველა მამულიშვილისა და თანამემამულის გადარჩენა. აქ თავის მოტყუება ყოვლად დაუშვებელია. თვალში ნაცრის შემყრელები არ გვაკლია და ჩვენ თვითონ ნუღარ გავაკეთებთ ამას.

ყველამ კარგად ვიცით, რაც გვჭირს, რატომაც გვჭირს, ვისითაც გვჭირს და ამ ყველაფერს გაუთავებლად ჩავძახით ერთმანეთს და ზედმეტად ვაღიზიანებთ (იმათ საქმეს ვაკეთებთ!). ზომიერების შეგრძნება დავკარგეთ, დაგვავიწყდა, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს.

1000-ს რომ წაგართმევს და ერთს უკან მოგიბრუნებს საჩუქრის იარლიყით, შენ მას მადლობას ეუბნები ღიმილით, მუხლმოყრით – აბა, შენ კაცი ხარ?!

ჩვენს ბავშვებს 366 დღე წაართვა წელიწადში და 10 დღე "აჩუქა". ვინც მიიღო საჩუქარი, პატრიოტებადაც მონათლა.

უწიგნურები "ეს რაღაზე დავკარგო"-ში ვერ ხედავენ საკუთარი თავის ღალატს!

კარგად დაფიქრდით და მიბაძეთ ხელისუფალთაგან დაჯილდოვებულთა შორის ერთადერთ ღირსეულ ადამიანს ნოდარ მგალობლიშვილს, რომელმაც ღირსების სანაცვლოდ მიცემული „ღირსების" ორდენი უკან მიუგდო უღირს ხელისუფალს.

მიბაძვა ვახსენე და ბარემ ვიტყვი, რომ ჩვენმა "განათლებულმა" ახალგაზრდობამ, "ინტელიგენციამ" ძალიან დიდი ნიჭი გამოავლინეს მიბაძვაში, რაც ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ზიზღის მომგვრელია.

წარმოუდგენლად მაღიზიანებს "წინსართები" ევროპული, დასავლური თანამედროვე. . . მე სიამოვნებით ვიხმარდი მათ ადგილზე: ჩვენებური, ძველებური. . .

საქმე ის გახლავთ, რომ ზემოთ ხსენებული უწიგნურნი ამ "თავსართებს" ხმარობენ პირდაპირ ასეთი გაგებით: ჩვენსაზე უკეთესი. და ვერც ხვდებიან, როგორ აფურთხებენ ამით საკუთარ თავს, და არა მარტო საკუთარს.

მიბაძვა სრულიადაც არ არის სათაკილო, მაგრამ როდესაც ბაძავ მას, ვისაც ასი თავით სჯობიხარ, აინშტაინს დავესესხები: "სიბეცეს საზღვარი არა აქვსო". მართალი უთქვამს!

მე 3000 წლის რომ გავხდი, ეგენი მაშინ "დაიბადნენ", მაგათ რა უნდა მასწავლონ. არ გააჩნიათ ეროვნება, ადათი, წესი, სალაპარაკო ენა, დამწერლობა.

ბავშვს მამა რომ ყურს აუწევს, პოლიცია ერევა „საქმეში". მე უნდა მივბაძო თუ მაგათ უნდა მომბაძონ?! როგორ უნდა მომატყუონ, როგორ უნდა მომერიონ?

რა, ძლიერები არიან?

დათვი, ლომი, სპილო... ძლიერები არიან, მაგრამ ადამიანი მათ ძალას თავის სასარგებლოდ იყენებს.

მათ იციან, რომ მომერიონ, ჯერ უნდა გამიტოლდნენ, ჯერ ის 3000 წელი უნდა წამართვან (დამავიწყონ) და ცდილობენ ამას. რაშიც მათ (ჩვენს მტრებს) სიამოვნებით და დიდი სიამაყით ეხმარებიან (ემსახურებიან) "დასავლური", "თანამედროვე", "მაღალ ღირებულებებზე" "აღზრდილ-განათლებული" ჩვენი თანამემამულენი (უწიგნურნი და უნებლიე მოღალატენი!).



არ გამოგვადგება:

1. ვინც არ იცის, რომ "სამშობლო სვირინგზე ღრმად არის" (ნ. დუმბაძე).

2. ვინც სამშობლოს მოღალატეს ზურგს არ შეაქცევს.

3. ვინც ღირსებას "ღირსების" ორდენში გაცვლის.

4. ვინც დაიჯერა, რომ შევარდნაძე ყვავილებით "გააგდეს".

5. ვისაც ჰგონია, რომ ამერიკა გვეხმარება.

6. ვინც დალესის დოქტრინას წაიკითხავს და აღშფოთების შეკავებას შეძლებს.

7. ვინც ქადაგებს, რომ საქართველომ სხვა ქვეყნის კანონებით უნდა იცხოვროს.

8. ვინც ზვიად გამსახურდიას დაემალნენ, გაეპარნენ.

9. ვინც არ იცის, გაიძვერას სინდისი როგორ გაუღვიძოს (ჰკითხეთ არისტოტელეს).

10. ვინც ფიქრობს, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს (ყველამ ქვეყნის საქმე უნდა აკეთოს).

11. ვისაც ჰგონია, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს (სასამართლო აუცილებლად უნდა იყოს დამოკიდებული კანონზე).

12. ვინც ფიქრობს, რომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

13. ვინც "პატრიოტებად" იქცნენ ნავიდან გადმოვარდნის შემდეგ.

14. ვინც ნავიდან ნავში გადადიან.

15. ვინც ანტიტყაოსანს მოითმენს.

რა გადაგვარჩენს?:

1. განათლება (სამწუხაროდ, უმრავლესობას არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა).

● "საქართველო ვერ გაძლიერდება და ვერ გახდება თავისუფალი, თუ მისი შვილები არ იქნებიან განათლებული და მცოდნენი."

დავით აღმაშენებელი.

● "მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება."

იაკობ გოგებაშვილი

● „ენა საგანძია ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა.

ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულის ხდაა..."

იაკობ გოგებაშვილი

2. სურვილი (რომელიც არ ისწავლება)

3. რწმენა (ურომლისოდაც არანაირი ბრძოლა შედეგს არ მოგვცემს)

4. ზომიერება (არა მარტო სიყვარულში, სიძულვილშიც)

ქართულ ადათ-წესებში ყველა ეს გამონაკლისი გათვალისწინებული იყო (ზოგი "წერით", ზოგი დაუწერლად!), რითიც ვჯობდით და ვჯობნიდით იმ "თანამედროვე განვითარებულ" სამყაროს.

დიახ! ჩვენ გვჭირდება "პოლიციელები აგურის ქარხნიდან", რომლებიც კანონის დარღვევით ხელს შეუწყობენ ახალი ბედნიერი ოჯახის შექმნას.

დიახ! ჩვენ გვჭირდება "ბანდიტი აგურის ქარხნიდან", რომელიც თვითნებურად გაასამართლებს მოღალატეს.

დიახ! ჩვენ გვჭირდება "მოსამართლე აგურის ქარხნიდან", რომელიც არ დაიცავს კანონს იმისათვის, რომ საქმრომ საცოლისთვის მიცემული პირობა არ დაარღვიოს.

**ავთანდილ დავითაშვილი**

5 gv.

ისინიც აღმოჩნდებიან სერიოზული პრობლემების წინაშე და ორივე, შეიძლება, ციხეში აღმოჩნდეთ.

მდგომარეობას ართულებს მოსალოდნელი პროვოკაციები, როცა მოწყალების მთხოვნელს შეიძლება თან ჰქონდეს მოსასმენი აპარატურა, რომელსაც შემდეგ თქვენს წინაამდეგ მტკიცებულებად გამოიყენებენ. გაჭირვებული ერთი ან ორი ლარის მიღების შემდეგ პროვოკაციულად გეტყვით: დიდი მადლობა, რომ მოწყალება გაიღეთ, მე თქვენ გიცნობთ და პირობას გაძლევთ, არჩევნებში ამას და ამას

# arCevnebis alternativa aris revolucia...

დავუჭერ მხარს. მორჩა. გათავებული ამბავია. ეჭვი მაქვს, ეს მეთოდი გამოყენებული იქნება პოლიტიკური ოპონენტების გზიდან ჩამოსაცილებლად.

**– ბატონო ვახტანგ, იმის გარდა, რომ ბიძინა ივანიშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს გარკვეული დროის შემდეგ ქვეყნიდან გაძევება ემუქრება, რომელიმე პარტნიორი პოლიტიკური პარტიისათვის ფულადი დახმარების გაწევის შემთხვევაში შეიძლება დააპატიმრონ კიდეც?**

– მოდით, ავიღოთ მაგალითისთვის ბანკი „ქართუ". იგი არიგებს ფულს, არემონტებს შენობებს, აშენებს. ფონდში ფული შეაქვს ივანიშვილს, ან მის კომპანიებს. ფონდი ეწევა ქველმოქმედებას, გამოდის, რომ ქველმოქმედების მიმღები ყველა ექცევა შეზღუდვების რკალში. შეეცდებიან იმის ინკრიმინირებას, რომ ივანიშვილი ფონდის მეშვეობით ეწევა ხალხის მოსყიდვას, რათა იმ პარტიებმა, რომლებთან თანამშრომლობა გაცხადებული აქვს, ხმების მეტი რაოდენობა მოიპოვონ.

**– გამოსავალს რაში ხედავთ?**

– როდესაც ბანკი „ქართუს" საინკასაციო მანქანა დააპატიმრეს, იმ დღეებში საზოგადოებისგან ისმოდა ასეთი მესიჯები – გვითხარით, როგორ, რანაირად და ჩვენ გვერდით დავუდგებით ბანკ „ქართუს". საზოგადოება დიდი ძალაა, 100 000 ადამიანმა რომ პარტიას შესწიროს 1000 ლარი, ეს არის ერთი მილიონი. საზოგადოებამ კარგად უნდა დაინახოს საფრთხე და თუ სურს ჰყავდეს ნორმალური ხელისუფლება, ამისთვის რაღაც უნდა გაიღოს, ანუ არჩევნებზე უნდა მივიდეს, ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს და დაიცვას თავისი ხმა. საზოგადოება უფრო აქტიური უნდა გახდეს. მე ამის იმედი მაქვს.

**– თქვენ წელან ბრძანეთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო მეტი უნდა გაიგონ ხელისუფლების მხრიდან არჩევნებში დარღვევების შესახებ. ოპოზიციური პარტიები რატომ მეტად არ აქტიურობენ, რომ აშკარა გახადონ უცხოეთის თვალში ხელისუფლების მიერ არჩევნებში დაშვებული ხარვეზები და დანაშაულობანი?**

– ოპოზიციური სპექტრის ნაწილი სისტემატიურად აწვდის ინფორმაციებს საზღვარგარეთს.

შეერთებული შტატების ელჩმა რომ მომენტალური განცხადება გააკეთა, ეს იყო სწორედ ოპოზიციის დამსახურება. ბასის აქტიურობა ჩემთვის, უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად გასაკვირი იყო, რადგან საშობაო შვებულება მათთვის მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, დღესასწაულების დამთავრების შემდეგ მეტი აქტიურობა იქნება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საერთაშორისო ორგანიზაციები აპირებენ არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში თვალყური ადევნონ საქართველოში დემოკრატიის განვითარების მიმდინარეობას, მაგრამ მთავარი მოთამაშე ამ პროცესებში ქართველი საზოგადოებაა. როგორი ხელისუფლება გვეყოლება? – ეს არის ჩვენი გადასაწყვეტი.

**– გასაგებია, მაგრამ, როგორადაც თქვენ დაგვიხატეთ საარჩევნო გარემო, ბატონო ვახტანგ, მიიჩნევთ, რომ თავისუფალი არჩევნები იქნება? აზრი აქვს ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**

– რა თქმა უნდა. იმიტომ რომ, არჩევნების ალტერნატივა ერთადერთია, ეს არის რევოლუცია. რევოლუცია არის ძალა, რომელიც კანონებს და წესრიგს არად დაგიდევთ. რევოლუციით მოსული ძალა დასაშვებად მიიჩნევს კანონგარეშე ქმედებას და თვითონაც მოქმედებს უკანონოდ. არჩევნების დროს ცუდი საარჩევნო კანონის დროსაც შესაძლებელია მოგება თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება.

**ირანდა კალანდაძე**

## „თავისუფალი საქართველო": საქართველომ ავღანეთში მეთერთმეტე ჯარისკაცი დაკარგა




კახა კუკავას პარტია „თავისუფალი საქართველო" 2011 წლის 31 დეკემბერს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ნაღმის აფეთქების შედეგად ქართველი სამხედრო მოსამსახურის კაპრალი ბესარიონ ნინიაშვილის დაღუპვას გამოეხმაურა. „თავისუფალი საქართველო" მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

„კაპრალი ბესარიონ ნინიაშვილი რიგით მე-11 ქართველი სამხედრო მოსამსახურეა, ვინც ავღანეთის ოპერაციას შეეწირა. აღნიშნულის ფონზე, „თავისუფალი საქართველო" გმობს ხელისუფლების გადაწყვეტილებას ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით. მივიჩნევთ, რომ საჭიროა შეიზღუდოს ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო მისიებში, რათა თავიდან იქნას აცილებული უცხო ქვეყნის ინტერესების გამო დაღვრილი ქართული სისხლი", – აცხადებს კახა კუკავას პარტია.

## ირაკლი ალასანია სოფლების დასახმარებლად საგანგებო ფონდის შექმნის ინიციატივით გამოვიდა



ირაკლი ალასანია საქართველოს მთავრობას სოფლების დასახმარებლად საგანგებო ფონდის შექმნის ინიციატივით მიმართავს. ინიციატივის შესახებ „თავისუფალი დემოკრტების" ლიდერმა გუშინ გორის რაიონის სოფელ ფხვენისში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ფონდი რეგიონებში იმ სოფლებს უნდა დაეხმაროს, რომლებიც უამინდობისა და ყინვების გამო უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მოსავლის გარეშე დარჩნენ. "საბიუჯეტო თანხები მხოლოდ გართობაზე და შადრევნებზე არ უნდა იხარჯებოდეს, ეს თანხები მოსახლეობის გაუსაძლისი ვითარების გამოსწორებას უნდა ხმარდებოდეს", – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

**„მედიანიუსი"**



# gamoCndeba Tuara mesame politikuri Zala?

**პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ ოპოზიციის გაერთიანების იდეა წამოსწია წინ. წინასაარჩევნო პერიპეტიების კვალდაკვალ ამ პარტიის თავმჯდომარესა და ამასთანავე მოწოდების ინიციატორს კახა კუკავას გავესაუბრეთ:**

—საერთოდ, სოციოლოგიის და პროპაგანდის კულტურა აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. ის, რასაც აკეთებს იაგო კაჭკაჭიშვილი, „აირაი“ და სხვა მსგავსი სტრუქტურები საქართველოში — არის პროპაგანდა. არაფერი აქვს საერთო სოციოლოგიასთან.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ სოციოლოგიური გამოკითხვის დამკვეთი იყოს პოლიტიკური პარტია. ხოლო რაც ჩვენთან ხდება, ისეთივე ამბავია, აი, მაგალითად, სილამაზის კონკურსის რომელიმე მონაწილე, იმავდროულად ჟიურის თავმჯდომარე რომ იყოს. ან ფეხბურთის გუნდის კაპიტანი ითავსებდეს მეორე ფუნქციას-მსაჯობას. ამიტომ, როცა სოციოლოგიური გამოკითხვა ტარდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში დამკვეთი მედია საშუალებაა და როგორც წესი, ხშირად ეს არის რამდენიმე მედია საშუალება ერთად, რომ გარკვეული მიკერძოება გამოირიცხოს.

ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება არჩევნები, სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემები მისგან მხოლოდ 3-4%-ით განსხვავდება.

ჩვენთან ასე არ ხდება. აი, საქართველოში ყველას კარგად გვესმის, რომ ეს სოციოლოგიური გამოკითხვები არის მიკერძოებული და ასახავს არა იმას, თუ რა მდგომარეობაა პოლიტიკურ ბაზარზე, არამედ თუ რა პრიორიტეტებია დღეს ამერიკის საელჩოში...

**—კახა, არჩევნების შემდეგ პროტესტი რამდენად ეფექტური საშუალება და რამდენად არის გამართლებული დროში?**

— პროტესტის წინა პირობა დღეს საქართველოში არ არსებობს, რადგან საზოგადოება დიზორიენტირებულია. 2007-2009 წლებში, როცა მასობრივი საპროტესტო ტალღა შეინიშნებოდა, ორგანიზატორად გაერთიანებული ოპოზიცია გვევლინებოდა. მაშინ ძალიან ხშირად გვაკრიტიკებდნენ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია სუსტი და არასოლიდური პოლიტიკური ძალააო. თუმცა ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეძლო ქუჩაში 100 ათასი ადამიანის გამოყვანა. დღეს, ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავს ხელისუფლების ალტერნატივას უწოდებენ, რეალურად, არ არიან მზად მასობრივი საპროტესტო აქციების მოწყობისათვის და უფრო ხელისუფლებასთან თანამშრომლობით არიან დაკავებული, ვიდრე მასთან კონკურენციით

**— რატომ არ არიან მზად?—**

— ფაქტია, რომ მზად არ არიან. აი, თბილისის ქუჩებს შეხედეთ და ამაში თავად დარწმუნდებით. ისეთი სიმშვიდეა, თითქოსდა, იდეალურ პირობებში ვარსებობდეთ.

**— ესე იგი, არჩევნების გზა გამართლებულად არ მიგაჩნია, მაშინ ხელისუფლების შესაცვლელად რა ფორმა უნდა მოიძებნოს?—**

— არჩევნები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ბრძოლის რესურსია. თუმცა ეს არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი რესურსი და მასობრივი აქციები თუ პოლიტიკური ბრძოლის სხვა ფორმები ასევე გამოსაყენებელია.

ახლა, პოლიტსპექტრში მოდურ თემად იქცა აგვისტოს ომზე აპელირება. მაშინ ხელისუფლებასთან მორატორიუმი გამოაცხადა ოპოზიციის ერთმა ნაწილმა, ე.წ. პროამერიკულმა ოპოზიციამ, ხოლო მე, პირადად, მორატორიუმი არ გამომიცხადებია. თუ გადახედავთ ჩემს მაშინდელ ინტერვიუებს, რომელიც მათ შორის ზოგიერთი ევროპულ პრესაშიც დაიბეჭდა, დადასტურდება, რომ მორატორიუმი არ გვქონია. სხვათა შორის, მკვეთრად ვაკრიტიკებდით ხელისუფლებას. ეს არ ნიშნავს, ვამართლებდით რუსეთის აგრესიას, მაგრამ იქვე მითითებული იყო, რომ ამ ყველაფერზე პასუხიმგებლობა ეკისრება მიხეილ სააკაშვილს. ასე რომ, აბსოლუტურად გეთანხმებით, ხელისუფლებას ოპოზიცია ნებისმიერ თამაშში არ უნდა აჰყვეს.

**—კახა, ზოგიერთი ექსპერტი ორპოლუსიან არჩევნებს ვარაუდობს, თუმცა სავარაუდოა, მესამე ძალაც გამოიკვეთოს, ვინ იქნება მესამე? იქნებ, ხელისუფლების ე.წ. სატელიტი პარტიები, ან იქნებ ამ სეგმენტზე კონკრეტული ოპოზიციური ძალა აცხადებს პრეტენზიას?**

— ორპოლუსიანი არჩევნები არჩევნები არ არის. ორ პოლუსიანი არჩევნები — ეს იგივეა, რაც ერთ პოლუსიანი არჩევნები. ანუ, როდესაც ამომრჩეველს არ ეძლევა რეალური არჩევანი. ერთპარტიულ არჩევნებზეც ხომ შეგიძლია გამოცხადდე, მისცე ხმა, ან არ მისცე ხმა. თუმცა ეს არჩევნები არადემოკრატიულია, რადგან ერთკანდიდატიანია და არ შეგიძლია ვისაც გინდა, იმას მისცე ხმა. იგივეა ორპარტიული არჩევნებიც. ამიტომ, რეალურად, არჩევნები მრავალპარტიული უნდა იყოს. ყველა განწყობა და ყველა ფერი, რაც პალიტრაში არსებობს, წარმოდგენილი უნდა იყოს რეალურ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ორპოლუსიანი მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება გახდეს პოლიტსპექტრი: როცა ტაქტიკა შეირჩევა და ყველა ერთი პოლუსის წინააღმდეგ გაერთიანდება. აქედან გამომდინარე, იქნება არა ერთი ფერი, არამედ მრავალფეროვანი გაერთიანებული ოპოზიცია. თუმცა ჯერჯერობით ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია — ივანიშვილის კოალიცია, როგორც ჩანს, კატეგორიულად გამორიცხავს ფართო ოპოზიციურ გაერთიანებას.

რაც შეეხება, შეკითხვას ახალ სეგმენტზე, აი, ჩვენ „თავისუფალი საქართველო“ წარმოვადგენთ არჩევნებში იმ სპექტრს, რომელსაც ეწოდება ეროვნული ძალები. ვაპირებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სისრულეში მოყვანას. ჩვენთვის ხელისუფლება და ოპოზიციის ერთი ნაწილი, რომელიც პროამერიკულ ძალებს წარმოადგენს ერთ მთლიანთან ასოცირდება. ამიტომაც ვართ ოპოზიციური ძალა და ამაზე პრეტენზია გვაქვს, რომელიც არ კონტროლდება ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

**— კახა, ესე იგი, ბიძინა ივანიშვილის კოალიციას ეროვნული იდეოლოგია აკლია და „ქართული ოცნება“, როგორც ასეთი, მხოლოდ დეკლარირების დონეზეა წარმოჩენილი?**

— კი, ეს ფაქტორი აკლია და რა თქმა უნდა, პოლიტიკური ძალა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებზეა ორიენტირებული ეროვნული ვერ იქნება.

დღეს საქართველოში ეროვნულობის მთავარ მოწინააღმდეგეს და მთავარ პრობლემას წარმოადგენს ამერიკული გავლენა. ამ გავლენის მოცილებაა დღესდღეობით, ქვეყნის მთავარი პრობლემა.

დიახ, ამერიკული გავლენა უნდა მოვაცილოთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც, საშინაო პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც კულტურასაც, იდეოლოგიასაც.... რომ საქართველო გახდეს განვითარებული ქვეყანა. ხოლო ის ძალები, ვინც ამ გავლენის გაძლიერებასა და შენარჩუნებას უჭერენ მხარს, ბუნებრივია, ჩვენი იდეოლოგიის თანამოაზრეები ვერ იქნებიან.

**— სულ ახლახან პარტიის ყრილობაზე ოპოზიციის გაერთიანების იდეა წამოჭერი, უფრო კონკრეტულად, როგორ წარმოგიდგენიათ ეს ერთობა?**

— საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა იყოს დროებითი ტაქტიკური კოალიცია, რომ ოპოზიცია დაუპირისპირდეს არა ერთმანეთს, არამედ ხელისუფლებას და მივიღოთ 50%+1. არ ვიზიარებ იმ შემოთვაზებას, რომ რომელიმე ოპოზიციურ ძალას უნდა ჰქონდეს 2/3. მეტსაც გეტყვით, არც ერთ ოპოზიციურ ძალას 50% კი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ჯამში ყველა ოპოზიციურ პარტიას უნდა ჰქონდეს 50%+1. ეს არის საქართველოს გადარჩენის აუცილებელი წინა პირობა.

უნდა გვესმოდეს, რომ პრობლემაა არა ნაციონალურ მოძრაობაში, არამედ სისტემაში. თუ ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ძალა მოვა იგივე უმრავლესობით, რა უმრავლესობითაც დღეს პოლიტიკურ ხელისუფლებას აკონტროლებს ნაციონალური მოძრაობა, ის გახდება იგივე, რაც არის ნაცმოძრაობა.

**— თუმცა საკითხავია, რამდენად შესრულდება ეს იდეა, ანუ, რეალურად, თუ მოახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას?**

— ვნახოთ. ვფიქრობ, ახალი წლის შემდეგ ახალი პოლიტრეალობა გვექნება და პოლიტძალებს მოუწევთ ამასთან შეგუება. რადგან ორპოლუსიანი არჩევნები — ეს არის ზოგიერთი არაკომპეტენტური სოციოლოგის და პოლიტიკოსის პროგნოზი. გარწმუნებთ, და მერე იმ სოციოლოგებს გაახსენეთ თავისივე სიტყვები.

აი, იმ სოციოლოგებს, რომლებიც ასეთ არაკომპეტენტურ პროგნოზებს გვთავაზობენ, ცოტა ჯიბეები გაუსქელდათ და მათი პროგნოზები, უფრო ანგარებას ეფუძნება, ვიდრე რეალური სურათის წარმოჩენას.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ირანმა ურანის გამდიდრება დაიწყო

**ირანმა მიწისქვეშა კომპლექს ფორდოში, ურანის გამდიდრება დაიწყო. ამის შესახებ „ბი-ბი-სი” იუწყება.**

**ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს განცხადებით, ირანმა ურანის გამდიდრება ქვეყნის ჩრდილოეთით, კარგად გამაგრებულ მიწისქვეშა კომპლექსში დაიწყო.**



**სააგენტო ადასტურებს, რომ ირანი, ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრებაზე მუშაობს.**

**ირანული მხარე ირწმუნება, რომ ურანის გამდიდრება მათ იზოტოპების მიღებისათვის ესაჭიროებათ, რომლებიც ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის გამოიყენება.**

**თუმცა, დასავლელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრება, შესაძლოა სამხედრო ურანის მიღებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყოს.**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის ვიქტორია ნულანდის განაცხადებით, ურანის ამ დონით გამდიდრება ირანის მხრიდან კონფლიქტის მომავალ ესკალაციას უწყობს ხელს. მისი თქმით, ირანი მანამდმე არსებული შეთანხმებების დარღვევას კვლავაც აგრძელებს.**

**ირანული მხარე აცხადებს, რომ ისინი დასავლეთის სასარგებლოდ არ იმოქმედებენ.**

**„მედიანიუსი“**

# riTi sjobs `amerikuli Ceqma~ `rusul Ceqmas~?

„ამერიკული სამხედრო ხომალდები ირანის სანაპიროებს მიადგნენ". — ეს ინფორმაცია ინტერნეტით გავრცელდა. მესამე მსოფლიო ომის საფრთხეზე საუბარი კარგა ხანია მიდის და ირანის მიმართ სადამსჯელო სანქციების გატარებაზეც დასავლეთში კარგა ხანია საუბრობენ. მიზეზად ირანის მიერ ატომური იარაღის საიდუმლოდ დამზადება ცხადდება. სინამდვილეში კი, ნავთობსა და გაზთან ერთად ის ისლამური სარწმუნოებაა, რომელზეც „დემოკრატიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში" წერია, რომ ისლამი და მართლმადიდებლობა ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას. შესაბამისად, „დემოკრატიის მამებისთვის", რომლებიც ამერიკასა და დასავლეთში სხედან, ის, რაც „დემოკრატიის განვითარებას ხელს უშლის" განადგურებას ექვემდებარება! რამდენადაც „დემოკრატიის გარანტორად" და მსოფლიოში მის გამავრცელებლად უალტერნატივოდ მხოლოდ აშშ მოიაზრება, ამას დავმატოთ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სხდომაზე აშშ-ს ადმინისტრაციის გენმდივნის ჰილარი კლინტონისგან გაკეთებული განცხადება **საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების დაცვასთან დაკავშირებით**. ისიც, რომ თურმე „აშშ-მ მთელ მსოფლიოში სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვის პროგრამა შეიმუშავა." ეს კი აშშ-დან დაწყებული "ფერადოვანი უბედურებების" გათვალისწინებით იმის სიგნალი უნდა იყოს, რომ ახლა მთელ მსოფლიოში, "სექსუალური უმცირესობების რევოლუციებსაც" უნდა ველოდოთ. ინგლისის პრემიერ-მინისტრის განცხადებით კი, რომელი ქვეყანაც სექსუალური უმცირესობების უფლებებს არ დაიცავს, დახმარებებს ჩვენგან ვერ მიიღებსო. გესმით, ხალხნო, ეს ყოფილა „დემოკრატია და თავისუფლება" — „თუ შენ ჩემს „შემოთავაზებულ" (უფრო სწორად თავსმოხვეულ) სოდომიზმზე თანახმა არა ხარ — მე შენ აღარ დაგეხმარები". ამას „ქრისტიანულად წოდებული ქვეყნის" პრემიერ-მინისტრი აცხადებს. ანუ გარყვნილებისა და სოდომიის ხელშეწყობას თუ არ დაიწყებთ „კაკა-კუკებს" ჩვენგან ნუღარ ელოდებითო.

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური გადახრებით გაჩენილ ადამიანებს საქართველოში არავინ ერჩის მანამ, სანამ ისინი თავისი ორიენტაციის საზოგადოებისთვის თავსმოხვევასა და ახალგაზრდობის გაყვნას არ შეეცდებიან, საქართველოც თავისი ტრადიციული და მართლმადიდებლური რელიგიის წესის გამო "სექსუალური დემოკრატიის" ხელის შემშლელთა ნუსხაში აუცილებლად აღმოჩნდება! არ იფიქროთ, ერთეულთა გარდა, რომელიმე პოლიტიკოსმა აღიმაღლოს ხმა სოდომიზმის წინააღმდეგ. მათ დაცვაში დიდი ფული იშოვება და იმიტომ. მართალია, სააკაშვილი ყველა რელიგიური კონფესიის ისტორიულ როლზე საუბრობს საქართველოში, გარდა მართლმადიდებლურისა, მაგრამ მართლმადიდებლურ საქართველოში 8 მორწმუნე ადამიანი სწორედ "პედერასტობის" გაპროტესტების გამო რომ გამოამწყვდია ციხეში, ამაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმიტომ რომ, "ქართული დემოკრატია" ყველა კონფესიისა და ყველანაირი გადახრების მქონე ადამანის უფლებების დაცვას გულისხმობს, გარდა ტრადიციული ქართულისა. იმიტომ, რომ ეს ქართული მორალი და ტრადიცია იმ გარყვნილი ცხოვრების წესში არ ჯდება, რა ცხოვრებითაც სააკაშვილი პრეზიდენტად გახდომის დღიდან ცხოვრობს და ამავე ცხოვრების წესსა და მორალზე უნდა მთელი საქართველოს გადაყვანაც. თურმე ამაში კარგ ფულებს იძლევიან. ის კი ვინც ამ გარყვნილებასა და უზნეობას, შეეწინააღმდეგება, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის ჩათვლით, ლიბერალების მიერ "რუსეთის აგენტებად და დემოკრატიის მტრებად" შეირაცხებიან. ეტყობა ლიბერალების გაგებით,







მამა ღმერთიც „ექსტრემისტი იყო"?! თუმცა აშშ-ის ამ პრიორიტეტს ერთი დადებითიც ახლავს. პრეზიდენტ ობამას აწ უკვე წინა წელს ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, აშშ-მ ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს სექსუალური ორიენტაციის გამო დევნილ ლტოლვილებს. ანუ ასეთებს, დევნის შემთხვევაში, აშშ-ში მოქალაქეობას მისცემენ. ასე რომ, ვისაც აქამდე აშშ-ის მოქალაქეობაზე პრობლემა ჰქონდა, „სექსუალური უმცირესობისა და დევნის სტატუსით" აშშ-სკენ გზა ხნილი აქვთ, რასაც ქართულად თუ ვიტყვით — „წინ წყალი და უკან მეწყერი" შეესაბამება, რადგან ერის გარყვნა-გადაჯიშების, გენოფონდის კლებისა და აშშ-ს ლაბორატორიებში შექმნილი მომაკვდინებელი ვირუსების — შიდსისა და ცე ჰეპატიტის გავრცელების გარდა, არც ერთი ერისა და ქვეყნისთვის სექსუალური უმცირესობების პოპულარიზაციას სასიკეთო არაფერი მოუტანია. იმის გარდა, რომ „ადამიანის უფლებების დაცვაზე" აპელირებით კაცობრიობა სოდომ-გომორას ცოდვისკენ შეგნებულად მიჰყავთ. თუმცა სანამ აშშ „დემოკრატიის მედროშედან" „პედერასტ-ლესბოსელ" ბისექსუალ-ტრანსსექსუალთა შეერთების შტატებად" იქცევა, აშში „პარტნიორულად", წინ კიდევ ერთ უბედურებას გვიმზადებს. ეს მესამე მსოფლიო ომში საქართველოს ჩათრევას შეიძლება მოჰყვეს. 24 დეკემბრიდან ირანის ისლამური რესპუბლიკა ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს აწარმოებს. დასავლეთიდან ირანის ნავთობის ექსპორტზე სანქციების დაწესების შემთხვევაში, ირანი "ორმუზის სრუტის" ჩაკეტვით იმუქრება. დასავლეთი კი იმას არ დაუშვებს, რომ ნავთობი და გაზი, რომელზე მსოფლიო კონტროლის პრეტენზიაც აშშ-ს გააჩნია, ირანმა ჩაუკეტოს და აშშ ნავთობის გარეშე დარჩეს. ირანის მზვერავმა თვითმფრინავმა ირანის გაფართოებული სამხედრო სწავლების ზონაში აშშ-ს სამხედრო გემების ჯგუფთან ერთად, ამერიკული ავიამზიდი "ჯონ ც. სტენისი" დააფიქსირა. ირანის ნაციონალური სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელი, მუჰამედ მუსავი აცხადებს მზადყოფნას, წინ აღუდგნენ დამრღვევებს, რომლებიც პატივს არ სცემენ გაფრთხილებას და წვრთნების ჩატარების პერიმეტრს. აშშ-ს სამხედრო გემებისა და ავიამზიდის შესვლა სპარსეთის ყურეში მდგომი აშშ-ს მეხუთე ოპერატიული ფლოტის განცხადებას მოჰყვა. 2010 წლის 1 დეკემბრიდანაც ევროკავშირმა გააფართოვა სანქციები ირანის წინააღმდეგ. აშშ-სა და მისი მოკავშირეების აზრით, ირანელები საიდუმლო ატომური ბომბის შექმნას ცდილობენ. უკონტროლო და აგრესიული მმართველის ხელში ატომური ბომბი მსოფლიოსთვის სერიოზულ საფრთხეს რომ წარმოადგენს, საკამათო არავისთვისაა. თუმცა ანალოგიური მიზეზით (ქიმიური იარაღის არსებობის საბაბით), ერაყში აშშ-ის შეჭრაც და სადამ ჰუსეინის სამგალითო ჩამოხრჩობაც ყველას გვახსოვს. "შემდგომ კი გაირკვა", რომ ერაყში არანაირი ქიმიური იარაღი არ ყოფილა. სამაგიეროდ, ერაყის ნავთობს ისევ აშშ-ი აკონტროლებს.

ირანისგან ატომური ბომბის წარმოებაზე განსაკუთრებით მისი უახლოესი მეზობელი — ისრაელია შეშფოთებული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თურმე თუ აიათოლა ჰომეინი ამერიკას "უდიდეს სატანას" ეძახდა, დღევანდელმა პრეზიდენტმა — აჰმედინეჯადიმ თავის საარჩევნო კამპანიაში მანამდე არსებულ ამერიკის სახელწოდებას- "უდიდესი სატანა", მეორე სახელით — ისრელით "დიდი და პატარა სატანაც" დაამატა. აჰმადინეჯადი ისრაელს ამერიკის მოკავშირედ და სულისჩამდგმელად განხილავს. ბრიტანულმა პრესამაც განაცხადა, რომ ირანზე აშშ-სგან დარტყმის შემთხვევაში, მხარდაჭერას ბრიტანეთიც ამზადებს. ირანზე შეტევის გეგმას განიხილავს ისრაელიც. ნავთობთან, გაზთან და ბუნებრივი რესურსების დაპატრონებასთან ერთად „აღმოსავლური რევოლუციები" მანამდე სერბეთი, საქართველო, უკრაინა და "ბოლო მსუყე ლუკმად" დატოვებული რუსეთი, თანდათან, ყველა ფუნდამენტური (საფუძვლიანი) რელიგიის მოსპობას და ერთიან „მსოფლიო რელიგიაზე" გადაყვანისთვის მზადებას წარმოადგენს, სადაც, ქრისტიანული კაცობრიობისთვის ყველა ღირებული ფასეულობა უკუგდებული იქნება და „ფართო გზა" ქრისტიანობისთვის მიუღებელ სოდომიას — იგივე „პედერასტობას" დაეთმობა. ირანთან სავარაუდო ომისთვის მზადყოფნაში მყოფი „კომიტეტ 300"-ს, აშშ-ინგლისის მილიარდერებისგან შემდგარ იგივე „მსოფლიო მთავრობას", სამხედრო ოპერაციების წარმოებისთვის ირანის მეზობელ ქვეყნებში ბაზებისა და ჰოსპიტლების განლაგება დასჭირდება. ირანთან ასეთ მეზობელ ქვეყანად, რომლის მთავრობასაც არც თავისი ქვეყნის მიწა-წყალი, არც მისი ხალხი და არც საპასუხო დაბომბვების შემთხვევაში, მის მიწაზე განლაგებული საუკუნოვანი სიწმინდეების განადგურება ადარდებს — მხოლოდ ანტიქართული მთავრობით მართული საქართველო წარმოადგენს. „ლაზიკის" მშენებლობაც "ნატოს ბაზისთვის", ყველა ახლადგახსნილი საავადმყოფოც სამხედრო ჰოსპიტალად გამოსაყენებლად არის ნაგულისხმევი და არა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. თანაც **რუსეთისგან კონტროლირებად ტერიტორიებთან რაც შეიძლება ახლოს**! სააკაშვილის მიერ ირანთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაც ერთი ქვეყნიდან (საქართველოდან) მეორეში (ირანში) აგენტურული ქსელის მართვას ემსახურებოდა. რუსეთის დამოკიდებულებაც ირანთან სავარაუდო კონფლიქტის შემთხვევაში ცნობილია —ის ირანთან ძალადობრივი სანქციების წინააღმდეგია. წინააღმდეგია აზერბაიჯანიცა და ჩინეთიც. რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის "რუსულ ჩექმას და ბაზებს" "ამერიკულით" თუ ჩავანაცვლებდით? რა დროსაც დემოკრატიის სახელით შემოსული "ამერიკული ჩექმა" თურმე მომავალში "სოდომ-გომორასთვის დემოკრატიულად მზადებას" გულისხმობდა! მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ "ნატოს ბაზებისთვის" სახელდახელოდ გამოთავისუფლებული რუსული ბაზები

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ivaniSvilis gamoCenam xelisuflebaSi SiSi gaaCina, amitom moigones politikuri partiebis dafinansebis kontroli



***„ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა ყოველდღე მატულობს. მათი რიცხვი უკვე 18 000 აღემატება. „ქართული ოცნების“ შტაბბინა მუშაობის ყოველდღიურ რეჟიმზეა გადასული და მოსახლეობას 10-18 საათამდე ემსახურება.***

***თვის ბოლომდე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საზოგადოებრივი მოძრაობის ოფისების გახსნა იგეგმება, რომელთა მთავარი მიზანი საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია იქნება. რაიონული ოფისების გახსნამდე ხალხი „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად რეგიონებიდან ჩამოსვლას არ ერიდება.***

**გიორგი ფალავა, „ქართული ოცნების“ წევრი** – დღეს დასავლეთ საქართველოდან „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად ჩამოვედი. მჯერა, ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება. შემცირდება უმუშევართა რაოდენობა, ქვეყანაში აღდგება სამართლიანობა და ყველა ადამიანი პატიოსანი შრომით შეძლებს ოჯახის რჩენას. ბუნებრივია, ხელისუფლება ეცდება ივანიშვილს წინააღმდეგობა გაუწიოს, მაგრამ ყველაფერი საზოგადოებაზე იქნება დამოკიდებული, როგორც ხალხი გადაწყვეტს, ისე იქნება.

***„ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად მოდიან მოხუცებიც, რა თქმა უნდა, უკეთესობის იმედით. საზოგადოებრივ მოძრაობაში გასაწევრიანებლად 82 წლის ქალბატონი იმიტომ მოვიდა, რომ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადოს და ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ქალბატონ ნათელას სწამს, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და ქვეყანაში აღსრულდება კანონის უზენაესობა.***

**ნათელა გოზალიშვილი,** პენსიონერი, **„ქართული ოცნების“ წევრი** – პროფესიით ინჟინერი ვარ და წლების განმავლობაში ჩემი პროფილით ვმუშაობდი, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია უმუშევარი ვარ და ჩემი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა, რომელიც თვიდან თვემდე არ გვყოფნის. ბატონი ბიძინას გამოჩენამ იმედი და რწმენა, გამიჩინა ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდება სააკაშვილის რეჟიმისგან. ახლა ივანიშვილმა გონივრულად უნდა იმოქმედოს, არ უნდა აჰყვეს ხელისუფლების პროვოკაციებს და ყველაფერი კარგად იქნება.“

**დავით ბოჭორიშვილი, „ქართული ოცნების“ წევრი** – ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ სააკაშვილის გუნდში სერიოზული შიში გააჩინა, ამიტომ მოიგონეს ვითომ პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის გაკონტროლება. სინამდვილეში ივანიშვილის შეზღუდვას ცდილობენ. ისე, სად იყვნენ აქამდე? დარწმუნებული ვარ, დაფინანსების კუთხით ყველაზე სერიოზული დარღვევები თავად „ნაცმოძრაობას“ აქვს. ვფიქრობ, ივანიშვილი საქართველოსთვის და ქართველებისთვის ცუდს არაფერს გააკეთებს. იგი წლების განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდა ჩვენს სახელმწიფოს, ბევრ გაჭირვებულს და ვფიქრობ, დღესაც იგივე გზას გააგრძელებს. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნებს საშუალებით აპირებს და მნიშვნელოვანი სწორედ ესაა. დავიღალეთ ვითომ ოპოზიციის აქციებით, ხელისუფლების რევოლუციური მეთოდებით შეცვლით. ძალადობას და სისხლის ღვრას კარგი არაფერი მოუტანია, ამიტომ მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდებით, უნდა შევცვალოთ სააკაშვილი.



***საზოგადოებრივ მოძრაობის ოფისში მოსულ ახალგაზრდას, ხანში შესულსა თუ მოხუცს, უკეთესობის იმედი აქვთ. სჯერათ, ბიძინა ივანიშვილი დანაპირებს აუცილებლად შეასრულებს და, ქართველებს „ქართულ ოცნებას“ აუხდენს.***

**ლეილა პაცაძე, „ქართული ოცნების“ წევრი** – უკვე დიდი ხანია უკეთესობის იმედი დავკარგე. ასაკის გამო გამათავისუფლეს სამსახურიდან. იგივე ბედი გაიზიარა ჩემმა მეუღლემაც. ახლა ორივე „ვსხედვართ“ სააკაშვილის სანაქებო პენსიაზე, რომელიც ხელმომჭირნედ გამოყენების შემთხვევაშიც 15 დღე ძლივს გვყოფნის. თვიდან თვემდე პროდუქტს ნისიად ვყიდულობთ და პენსიის მიღების შემდეგ ვალებს ვისტუმრებთ და ასე გრძელდება სისტემატიურად. ამიტომ ბიძინას გამოჩენამ იმედი გამიჩინა, ყველა შრომისუნარიან ადამიანს, ვისაც საკუთარი შრომით ფულის გამომუშავება შეუძლია დაასაქმებს.

**ლალი სერგია, „ქართული ოცნების“ წევრი** – უკვე 15 წელია თბილისში ქირით ვცხოვრობ. ივანიშვილის გამოჩენამ რწმენა გამიჩინა სოხუმში – ჩემს მიწა-წყალზე დაბრუნების. თუმცა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი ვერაფერს გააკეთებს, თუ ხალხი გვერდით არ დავუდგებით. მას დღეს სჭირდება ჩვენი დახმარება და იმედი არ უნდა გავუცრუოთ.





**მარიამ გვარამია, „ქართული ოცნების“ წევრი** – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ ძირეულად შეცვალა პროცესები. ივანიშვილის სახით სააკაშვილის სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა, ამიტომ ცდილობენ ბიძინას საზოგადოების თვალში იმიჯი შეულახონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ქართველმა ხალხმა კარგად ვიცით, ვინ ვინ არის. აარსებული ხელისუფლება უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანობა, ხალხს კი ნაცმოძრაობის არხები მდარე, არასწორი ინფორმაციას უტენიან თავში – თითქოს ყველაფერი კარგადაა. მითხარით, რას აკეთებს სააკაშვილის სანაქებო პატრული, დღე ისე არ გადის, ვინმე არ დაჭრან, მოკლან, ვინმეს რამე არ წაგლიჯონ. ბატონი ბიძინას გამოჩენამ ხალხს იმედი გაუჩინა, რა თქმა უნდა, უკეთესობის. იმედი მაქვს, ივანიშვილი საკუთარ მოქალაქეებს ასე უხეშად არ მოექცევა და საქართველოში კანონის უზენაესობა აღსრულდება.

**ია იაძე, „ქართული ოცნების“ წევრი** – ბიძინა ივანიშვილი უკვე დიდი ხანია ქართველებს გვეხმარება, ამიტომ, არა მგონია, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ცუდი გააკეთოს. სამწუხაროდ, საზოგადოებაში, შიშის სინდრომი ჯერ კიდევ არსებობს, ამიტომ, სურვილის მიუხედავად, ბევრი მხარდაჭერას ღიად ვერ გამოხატავს. თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე. თუ გვინდა ვიცხოვროთ უკეთეს სახელმწიფოსი მხარი უნდა დავუჭიროთ ბატონ ბიძინას, არ უნდა დავიზაროთ არჩევნებზე წასვლა და უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი საარჩევნო ხმისთვის.



***„ქართული ოცნების“ ოფისში საღამოს ხალხის ნაკადმა თანდათანობით იკლო. დღის ბოლოს „ქართული ოცნების“ წევრი დამატებით 453 ადამიანი გახდა, მთლიანობაში მათი რაოდენობა 18 000 აღემატება. საზოგადოებრივი მოძრაობის შტაბბინამ 18:00 საათზე მუშაობა დაასრულა. ხვალიდან შაბათ-კვირის ჩათვლით „ქართული ოცნების“ ასახდენად მუშაობა კვლავ უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება.***

**მირანდა ნაბახტეველი**

---

ჩვენს სიწმინდეებთან ძალზე ახლო მანძილზე მდებარეობს. იმის მიუხედავად, რომ ამ ბაზების საქართველოში არსებობა არავის მოსწონდა, ქვეყნის დაბომბვისა და პოლიგონად ქცევის საფრთხეს ის არ შეიცავდა. ახლა, როდესაც ქართველი ხალხის ნების დაუკითხავად “აშშ-ს ფეხებთან გართხმული” ხელისუფლება თურმე საქართველოში “ნატოს ბაზების” განლაგებას გეგმავს. ეს ბაზები კი ირანის საპასუხო დაბომბვის შემთხვევაში, საქართველოს პირდაპირ განადგურებით ემუქრება. მაშ, რა განსხვავებაა ვისი ბაზა იდგება საქართველოში და “ვისი ჩექმა დაგაჭერს წიხლს”? ერთდროულად ამდენი ათლეტური აღნაგობის აფროამერიკელისა თუ ზანგის გამოჩენა თბილისის ქუჩებში, არაფერზე გაფიქრებთ? თუ ამერიკაში გადასახლებულ ზანგებს აფროამერიკელები უწოდეს ევროპიდან გადასახლებული ევროპელების შექმნილ ამერიკასა და ამერიკელებს “ევროამერიკელები”, ჩინელებს “ჩინაამერიკელები” რატომ არ ეწოდებათ? რუსული ბაზებისგან გამოთავისუფლებულ პოლიგონებზე, ირანისგან საქართველოს შესაძლო საპასუხო დაბომბვაზე ახლა ნატოს სასროლი პოლიგონების განლაგება მიმდინარეობს და ცხვირს იქ დღეს არავის შეაყოფინებენ”! თქვენი თვალით შეგიძლიათ ნახოთ, ჯვრის მონატერს რომ გასცდებით, გზის მარჯვენა მხარეს. არმაზის ციხის თავზე. მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეს. ირანის საპასუხო მუქარაც, საქართველოში “ნატოს ბაზების” განლაგების და იქედან მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში, ყველას გვახსოვს, დავბომბავ საქართველოსო რომ განაცხადა. ამერიკის ნავთობინტერესების გამო საქართველოს დაბომბვა რომელ “სტრატეგიულ პარტნიორობაში” ჯდება? ჩემი ქვეყნის განადგურების ხარჯზე “ამერიკან ტრანს ოილის” ზარალი რაში მენაღვლება?



კოსოვოს დაბომბვის მაგალითზე კი ისიც გვემახსოვრება, “ბომბდამშენებს” როგორ “ეშლებათ ხოლმე” საომარი მოქმედებებისას მიზანში მორტყმა და ზუსტად მართლმადიდებლურ სიწმინდეებსა და ტაძრებს როგორ ხვდება ხოლმე ყუმბარები? რა უფლებითა და ვინ მისცა ამ ანტიქართული ხელისუფლების ჯგუფს ჩვენი საუკუნოვანი სიწმინდეების საფრთხის ქვეშ დააყენების, საქართველოში მაცხოვრებელი ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის უფლება? თავად სააკაშვილი პირველივე გასროლის ხმაზე ჩვენი ფულით ნაყიდ 200 000 000-იან ბოინგში ჩასკუპდება და ოჯახთან ერთად, საქართველოდან გაქუსლავს. ზუსტად ისე, გორში რომ მიფორთხავდა თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე. ჩვენს მიწა-წყალს კი იავარსაქმნელად „მსოფლიო მთავრობასა“ და ირანს შეატოვებს. სხვათა შორის, ირანის შაჰის რეზა ფეჰლევის „გურჯი“ დედის გამო, რომელიც კეთილშობილებითა და სიბრძნით გამოირჩეოდა, „გურჯებს“ ირანში დიდ პატივს სცემდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც ამ კეთილშობილი „გურჯი ქალბატონის“ სამშობლოდან ირანი აშშ-ს სამიზნედ შეიძლება იქცეს, ალბათ აღარც “გურჯების” პატივისცემა გაჭრის და არც მეზობლობა. ჩვენგან განსხვავებით, თავისი მიწა-წყალი ირანელებს მეზობელი “გურჯების პატივისცემაზე” მეტად უღირთ!



**ბაია ამაშუკელი**

# teritoriuli mTlianobis aRdgena upirobo mcneba unda gaxdes ruseTTan Semdgomi urTierTobisas

***დღევანდელი საქართველოს რთული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ვესაუბრებით ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ქალბატონ თამარ ჩხეიძეს.***



**— ქალაბტონო თამარ, პირველ რიგში მინდა გთხოვოთ, როგორ შეაფასებდით რუსეთში სულ ახლახან ჩატარებული არჩევნებს, იმოქმედებს თუ არა მიმდინარე პროცესები ჩვენ ქვეყანაზე დადებითად?**

— პირადად მე მგონია, რომ არც რუსეთში და არც საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჯერ არც ჩატარებულა და არც იქნება მომავალში. უბრალოდ, დასავლეთს როცა სჭირდება, დარღვევას „ხედავს", თუ არ სჭირდებათ არ „ხედავენ".

სასიხარულოა ისიც, რომ რუსეთში მოსახლეობის ნაწილმა გამოიღვიძა და ისეთი ლოზუნგებით გამოვიდნენ, რომელიც მანამდე იქ არ ყოფილა. მე არ ვიცი ამას ამჯერად რა შედეგი მოჰყვება, მაგრამ პროცესი რომ არ დაიწყო — ეს ცხადია.

ჩვენთვის, ეს პროცესი ვფიქრობ კარგი უნდა იყოს იმიტომ, რომ თავად პუტინი ოდიოზურ ფიგურად მიმაჩნია. მან საქართველოს მიმართ მძიმე დანაშაულებები ჩაიდინა, რაც ყველასათვის თვალნათელია. შეიძლება რუს პოლიტიკოსებს ახასიათებთ იმპერალისტური მიზნები, მაგრამ თუ მოხდება იქ ხელისუფლების ჩანაცვლება დემოკრატიული ძალებით, ეს ჩვენზე კარგად იმოქმედებს, რაც მოგვცემს შემდგომში იმის საშუალებას, რომ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები. თუმცა, იმისიც მტკიცედ მჯერა, რომ გინდაც დარჩეს პუტინი ხელისუფლებაში, ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენს მიმართ, რუსეთს მაინც მოუწევს! უბრალოდ ამის ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას საქართველოში.

**— „არაბული გაზაფხულის" თემას როგორ უყურებთ ჰქონდა უფლება ევროპას და ამერიკას ქვეყნების განადგურებისა, იქ ხომ არ იყო ბრძოლა მხოლოდ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, იქ უამრავი უდანაშაულო მოქალაქე დაიღუპა...**

— მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ბედი იმ ქვეყანაში უნდა გადაწყდეს გარე ჩარევების გარეშე. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაჰმადიანები ქვეყნებში ცვლილებები მეტად მტკივნეული გადასატანია, მათთვის არ არის დამახასიათებელი კლასიკური დემოკრატია და ამას მოლოდინი არავის არ უნდა ჰქონდეს. არც ის არ მგონია, რომ ის რეჟიმი რომელიც ამ ქვეყნებში ეხლა არის მუბარაქის რეჟიმზე უკეთესი იყოს. იქ ძალადობა უფრო გაძლიერდა განუკითხაობა დამკვიდრდა. ასევე იყო კადაფიც, ის იყო დიქტატორი, მაგრამ იქნებ თავად ლიბანელ ხალხს გადაეწყვიტა თავისი ბედი? ნატოს ავიაციის ჩარევა ბრძოლებში სრულიად გაუმართლებელი იყო, ის ქვეყანაზე ზრუნვით არ იყო გამოწვეული, პირიქით უდანაშაულო ხალხი დაიხოცა.

თავად კადაფის მკვლელობა ბარბაროსული აქტი იყო, ვერ წარმომედგინა, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო 21 საუკუნეში! და იმ ქვეყნებს რომლებიც დემოკრატიაზე საუბრობენ თითიც არ გაუნძრევიათ




მის აღსაკვეთათ, უფრო მეტიც, არანაირი პროტესტიც კი არ გამოუთქვამთ! პირიქით, კმაყოფილებიც კი დარჩნენ — ეს არის დემოკრატია?! ეს ჩემთვის შოკის მომგვრელია! ის ვინც ამას უწონებს გამკეთებელს — ის კადაფზე უარესია დემოკრატი კი არა! რომელ დემოკრატიულ ხელისუფლებაზეა ლაპარაკი, როდესაც იმ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოდის ის ხალხი, ვინც ეს ჩაიდინა.

**— დღეს საქართველოში ახალი პოლიტიკური ფიგურა გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილის სახით, რომელსაც დღევანდელი ოპოზიციის გარკვეული ნაწილი მას ჩაება როგორც „ლოკომოტივს" დაფუძნდა მისი საზოგადოებრივი მოძრაობა — ქართული ოცნება", როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— მისი გამოჩენა პოლიტიკაში თავიდან დავინახე ისე, რომ იყო ქართული შინაგანი იმპულსით გამოწვეული. გარკვეული პროცენტით ეს მართლაც ასეა. მაგრამ გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ სისტემა, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, ცოტა სკეპტიკურად განმაწყობს. ასეთი მასშტაბური პროცესი რომ გარედან არ იმართებოდა ამისი შანსი მცირეა, მაგრამ არის. ბედნიერი ვიქნები თუ ეს ასე იქნება და მივესალმები.

თუმცა, მე მექნება რჩევა ასეთი, რომ ბატონ ბიძინას არ უნდა დაეწყო ჭეშმარიტ და არაჭეშმარიტ ოპოზიციაზე ლაპარაკი, არ უნდა დაეხარისხებინა ისინი. მითუმეტეს, რომ მან მაინც ვერ შეძლო ამ ეტაპზე მათი საუკეთესო ნიშნით დახარისხება. მას უნდა შეექმნა თავისი გუნდი, და მერე შეხედავდა ვისთან ითანამშრომლებდა და ვისთან არა — პოზიციიდან გამომდინარე. კითხვებს იწვევს ისიც, რომ „რესპუბლიკელების" პარტია აირჩია, მე მათ მიმართ არანაირი პირადი ინტერესები არ გამაჩნია, მაგრამ მათი პოზიციები ჩემში იწვევს შიშს. ჩემთვის დღეს მთავარი არის ცხინვალისა და აფხაზეთის საკითხი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ საკითხზე კი ამ პარტიას აქვს გამოქვეყნებული კონცეფცია, რომელიც ნიშნავს ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარებას. ეს არის ზაქარეიშვილის კონცეფცია, რომლის შედგენაში თავის დროზე მონაწილეობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კერძოდ ბაქრაძე; ამას კი ეს პარტია იზიარებს. მნიშვნელობა აქვს თავად ხელშეკრულებით ურთიერთობას ჩვენსა და ამ ორ ერთეულს შორის, ეს დაუშვებელია. როგორც კი ისინი დამოუკიდებელ სუბიექტებად იქნებიან აღიარებული, მერე მთელმა მსოფლიომ შეიძლება ისინი დამოუკიდებლად აღიაროს და ეს კავშირი გაგრძელდება თუ არა, ამას მნიშვნელობა შემდგომში აღარ ექნება; 2008 წლიდან დღემდე ეს რუსეთმა ჯერ ვერ მოახერხა. და ეს პრეცედენტი ჩვენ არ უნდა დავუშვათ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუნდაც ადრე რომ ეს პოზიცია ეკავა ამ პარტიას, თუ ეს მათი პოზიციაა, ცოტა კითხვის ნიშნებს ბადებს ეს ყოველივე ასევე, მიუღებელი იყო ამ პარტიის პოზიცია განათლების რეფორმის საკითხში.

რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მომხრე მეც ვარ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ რაც შეწყვეტს საქართველოს ოკუპაციას და ტერიტორიებს დააბრუნებს. დაბრუნების მექანიზმი კი იმაში გახლავთ, რომ რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაგრძელება ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ გადაწყდება. აი ეს უნდა გააკეთოს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

ვფიქრობ მოლაპარაკება, შეთანხმება, ყველა ეტაპზე ყველასთან შეიძლება, ტერორისტებთანაც კი. მით უმეტეს, რომ ამისი შანსი დღეს ჩვენს შორის არსებობს. მთავარია, ამ მოლაპარაკებაზე რას იტყვი? თუ ამის გარეშე მოხდება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ეს იმას ნიშნავს რომ საქართველო შეგუებულია ტერიტორიების დაკარგვას და ვერც მსოფლიოს ვერ მოვთხოვთ ამ საქმეში ჩარევას. ყველაფერი დანარჩენი მიბმულია ამაზე — ეს მთავარია.

**— რუსეთი დაუშვებს თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას?**

— მიუხედავად ჩემი დასავლური ორიენტაციისა, ნატოს იდეაფიქსად არასოდეს არ მივიჩნევდი, არც ახლა არ მივიჩნევ. ის პანაცეა არ გახლავთ. ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს ერთიან კონტექსტში, რომელიც იწყება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, შემდეგ მოდის უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა.

სხვათაშორის ოპოზიციის ნაწილმა ნატო ჩაანაცვლეს კომუნიზმს. ნატოში შესვლის იდეა უნდა არსებობდეს, მაგრამ დღეს ეს იდეაფიქსი არ უნდა გახდეს, იქ დღეს არავინ გვიშვებს.

ამ საკითხებზე ბატონ ბიძინას ჯერ არ ულაპარაკია, ვიმედოვნებ, რომ მას ეს საკითხი კარგად ესმის და სწორად გადაწყვეტს.

ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენა უპირობო მცნებაა მჯერა ბატონი ივანიშვილის პატრიოტული სულისა, მაგრამ ჯერჯერობით მას თავისი პოზიცია ამ კუთხით ჯერ არ დაუფიქსირებია და კარგი იქნება თუ ის ამ ეჭვებს გაფანტავს და თავის აზრს წარმოაჩენს ამ კუთხით და თავის ხედვას.

**ეთერ კასრელიშვილი**

## „ქართული ოცნების" ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების თემატური ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართა

გუშინ საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ქართულმა ოცნებამ" ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების თემატური ჯგუფის პრეზენტაცია გამართა. თემატურ ჯგუფს ოთარ ხუფენია უხელმძღვანელებს. ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების თემატური ჯგუფი ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის და სადაზღვევო ბაზრის რეგულირების ქვეჯგუფებს აერთიანებს. თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის ოთარ ხუფენიას განცხადებით, ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ჯგუფის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, სადაზღვევო ბაზრის რეგულირების არსებული სისტემების რეორიენტაციისათვის საფუძვლების მომზადება. „მიგვაჩნია, რომ



რეორიენტაცია აუცილებელი და გარდაუვალია, რადგან ქვეყანაში არ არსებობს სოციალური დაცვის პოლიტიკა, ხელისუფლების ცალკეული „ნოვაციები" უსისტემოა, არ არის ნათელი მისი მიზნები და მიზნის მიღწევის შეფასების კრიტერიუმებიც", — აღნიშნა ხუფენიამ.

მისი თქმით, ხელისუფლების „წყალობად" მიიჩნევა კლასიკური სოციალური სადაზღვევო გასაცემლები (პენსია, დეკრეტული შვებულება, უმუშევრობის დახმარება), ხოლო ე.წ. „სიღარიბის ზღვრის" მექანიზმი „კოლექტიური მათხოვრობის" სისტემად გადაიქცა. „მთელი პასუხისმგებლობა დეგრარირებულია კერძო სექტორზე, რის შედეგადაც დაუცველი დარჩა როგორც სამედიცინო პერსონალი, ისე პაციენტი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო „სადაზღვევო ბროკერად" არის ქცეული იმის გამო, რომ არ არსებობს ბენეფიციართა და სადაზღვევო კომპანიების ურთიერთობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები"-აღნიშნა ხუფენიამ და დასძინა, რომ არარეგულირებული სადაზღვევო ბაზრის პირობებში შეიქმნა „ხელოვნური მონოპოლია" და ერთი ეკონომიკური სუბიექტის ხელში აღმოჩნდა მედიკამენტი, ჰოსპიტალი, სადაზღვევო საქმიანობა. მისი თქმით, მოსახლეობის სოციალური დაცვის თანამედროვე სისტემის ნაცვლად ჩამოყალიბებულია ხელისუფლების მიერ გაღატაკებული მოსახლეობის მოსყიდვის, მამა-მარჩენლის კომპლექსი და შესაბამისად, ძალაუფლების შენარჩუნების ფეოდალური მექანიზმები. „ჩვენმა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს ახალი კონცეპტუალური ხედვა იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური სისტემის რეორიენტაცია შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსესუსის შედეგად, რომელიც დაეფუძნება არსებული ვითარების ობიექტურ შეფასებას და საერთაშორისო გამოცდილებას"-აღნიშნა ხუფენიამ და დასძინა, რომ თემატური ჯგუფი სისტემატიურად შეხვდება თბილისსა და რეგიონებში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მისი თქმით, მათი მიზანი პირველ ეტაპზე არსებული მდგომარეობის შესწავლა და სამომავლო გზების დასახვა იყო. ოთარ ხუფენიას განცხადებით, ჯგუფი ახალ კონცეპტუალურ ხედვას, ხელმძღვანელობას 20 იანვრამდე წარუდგენს, შემდეგ კი გაიმართება პროგრამის ფართო პრეზენტაცია, რომელზეც რეორიენტაციის თემა იქნება შემოთავაზებული.

**„მედიანიუსი"**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `yvelaferi, rasac xelisufleba sakanonmdeblo doneze axorcielebs, arCevnebs ukavSirdeba~

**სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის რწმუნებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსჯავრდებულების რაოდენობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინა პერიოდთან შედარებით აღარ იზრდება. აღნიშნული ტენდენცია მინისტრმა სისხლის სამართლის პოლიტიკისადმი ლიბერალური მიდგომითა და უწყებაში განხორციელებული ცვლილებებით ახსნა. თუმცა კალმახელიძემ კონკრეტული ციფრების დასახელებისგან რატომღაც თავი შეიკავა.**

**„საერთო გაზეთს“ პარლამენტარი გიორგი ცაგარეიშვილი ესაუბრა:**

— თუ მართლაც შემცირდა პატიმრების რაოდენობა, როგორც ამას კალმახელიძის უწყება ავრცელებს, მინისტრი ის თანამდებობის პირია, ვინც უნდა საუბრობდეს არა ზოგადი ფრაზებით, არამედ კონკრეტული ფაქტებითა და ციფრებით. სამწუხაროდ, პენიტენციარულ სისტემაში არ გვაქვს შედეგები, რომ დარწმუნებით შევძლოთ თქმა, ამ კუთხით ქვეყანაში ვითრება გაუმჯობესდა თუ არა. ხათუნა კალმახელიძემ, რადგან კონკრეტული ციფრები ვერ დაასახელა, ვვარაუდობთ, რომ საპატიმროებში პატიმრების რაოდენობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. დაახლოებით ექვსი თვი წინ პარლამენტში სტუმრობისას კალმახელიძემ განაცხადა, საქართველოში 24 000 პატიმარია. მონაცემებში ბევრმა ადამიანმა, გასაგები მიზეზების გამო, ეჭვი შეიტანა. ახლა მარჩიელობას ნუ დავიწყებთ თუნდაც 24 000 პატიმარი ჩვენაირი ქვეყნისთვის უკვე კატასტროფაა. შეგახსენებთ, პატიმართა რაოდენობით მსოფლოს ხუთეულში, ევროპის მასშტაბით კი რუსეთის შემდეგ 2-ე ადგილზე ვართ. იმ რუსეთის შემდეგ, რომელსაც გვინდა გავექცეთ. დავით დარჩიაშვილის თქმით, სააკაშვილი საქართველოს ევროპისკენ მიაფრენს, თუმცა ასე მარტივად ვერ გავფრინდებით. ჩვენ არ ვართ „შერეკილების“ გმირები.

ქართული საზოგადოება რომ დემოკრატიული არაა და სწორი მიმართულებით არ ვითარდება, შეგვიძლია საპატიმროების მაგალითითაც დავრწმუნდეთ. გახსოვთ ალბათ, ყოფილ ოფიცერს, შეიარაღებული ძალების გენერალ თეთრაძეს როგორ მოექცნენ მეგის ქარდავა და მისი ჯალათები. მათ ოფიცერს ცემისგან სული ამოხადეს და მომაკვდავი, შეიძლება მკვდარი, გლდანის №8 დაწესებულებაში დააგდეს. ორი დღის თავზე ციხის ადმინისტრაცია დაუკავშირდა თეთრაძის ოჯახს და გვამი ციხიდან გადმოასვენებინეს, სიკვდილის მიზეზად კი გულის შეტევა დაუსახელეს.



აღნიშნულის შემდეგ ხათუნა კალმახელიძეს, რბილად რომ ვთქვათ, არ შეიძლება კარგი მინისტრი ეწოდოს.

**— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი, მათ შორის თქვენი კოლეგები, ბევრს საუბრობენ სისტემაში არსებულ პრობლემებზე. ვითარება კვლავ უცვლელია. რა არის მიზეზი?**

— სააკაშვილის ხელისუფლება ძალადობაზეა დაფუძნებული, ამიტომ სიტუაცია მანამდე არ გამოსწორდება, სანამ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებიდან არ წავა. შევარდნაძის დროსაც ადამიანთა უფლებათა დაცვის კუთხით ბევრი პრობლება არსებობდა. დღეს ვითარება კვლავ უცვლელია. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, სააკაშვილის გუნდი ტრანსფორმირდა და საპატიმროებში შექმნილი პრობლემები სათავისოდ კარგად შეფუთეს. სააკაშვილის მოწოდებამ — „ნულოვანი ტოლერანტობა ყველა ციხეში“, მდგომარეობა უფრო დაამძიმა და პროკურორები, მოსამართლეები, პრეზიდენტის მოწოდების მძევლები გახადა. „ვარდების რევოლუციამდე“ თუ 7 000 პატიმარი გვყავდა, დღეს ეს მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდა, რაც ტრაგიკული რეალობაა.

**— მინისტრი პატიმრების რაოდენობის შემცირებას უწყებაში განხორციელებული ცვლილებებითა და სისხლის სამართლის კოდექსისადმი ლიბერალური მიდგომით ხსნის. ეთანხმებით კალმახელიძის აზრს?**

— პირველ რიგში, სისხლის სამართლის დევნის პოლიტიკა მთლიანად გადასახედია. ცოტა ხნის წინ „შეკრებითობასთან“ დაკავშირებით, „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივა პარლამენტში განსახილველად შევიტანეთ, თუმცა დიდი იმედი არ მაქვს, ხელისუფლება ჩვენს ინიციატივას გაითვალისწინებს. ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს „შეკრებითობითობის“ პრინციპთან დაკავშირებით. არ გვინდა გაუქმება, თუმცა გარკვეული კუთხით მისი შეცვლა აუცილებელია. ვფიქრობთ, შთანთქმის პრინციპი კანონმდებლობაში უნდა დაბრუნდეს.ამაგალითად, ადამიანი თუ ორი სახის დანაშაულს ჩაიდენს, ვთქვათ, ერთი თუ ითვალისწინებს სამი წლით, მეორე კი შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას „შთანთქმის “პრინციპის მიხედვით, შვიდი შთანთქავს 3 წელს და მსჯავრდებული მხოლოდ 4 წელს მოიხდის ანუ დიდი სასჯელი შთანთქავს მცირე სასჯელს. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს ასევე ყველა უკანონო სასჯელის გადახედვა, რომელიც სააკაშვილის სადამსჯელო მანქანამ გამოიტანა. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხრუშჩოვმა ყველა უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანი გაათავისუფლა. საქართველოშიც დაახლოებით, ასეთი რამ უნდა გაკეთდეს და უკანონო განაჩენები გადაიხედოს.

**მირანდა ნაბახტეველი**

---

# arCevnebis moaxloebam nacionalebi dazafra _ SiSis ZiriTadi mizezi fulia



ვიდრე კანონს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ მიიღებდნენ „ნაცებმა“ სრული კონტროლი დაამყარეს ბანკებში ფულადი ოპერაცების წარმოებაზე. აიძულეს სახელმწიფო თუ კომერციული ბანკები მათთან მსხვილი თანხების შემოსვლისა და გატანის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ პროკურატურისათვის.

პარლამენტის გადაწყვეტილებით პროკურატურას უფლება მიეცა „დასაბუთებული ვარაუდის“ საფუძველზე საბანკო ანაბრების ანგარიშებზე მონიტორინგის ჩატარებისა. ანუ ანგარიშზე ჩარიცხული თანხის შესახებ პროკურატურას იმაზე ადრე უნდა ეცნობოს, ვიდრე, ადრესატი გაიგებდეს, კანონის პროექტი პარლამენტარებმა კუკავამ და ანჯაფარიძემ წარმოადგინეს. მათი განმარტებით თუ არსებობს „დასაბუთებული ეჭვი“, რომ ფულის მიმღები პიროვნება მას დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად გამოიყენებს, პროკურორი უფლებამოსილია გენპროკურორის, ან მისი მოადგილის თანხმობით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით, განჩინების გაცემის თაობაზე. კანონი ბანკს ავალდებულებს გასცეს ამ კუთხით ნებისმიერი ინფორმაცია, ის იძულებულია აგრეთვე აცნობოს პროკურატურას თანხების მოხსნა-გადარიცხვის შესახებ ოპერაციის ჩატარებისთანავე. კუკავა-ანჯაფარიძის ნამოღვაწარში ხაზგასმულია, რომ კანონის მიზანია, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში არსებული ხარვეზების დახვეწა-გამოსწორება და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

უფლებათა დამცველები ახალ კანონს ადამიანების პირად ცხოვრებაში უხეშად ჩარევად და საბანკო ანგარიშების ანონიმურობის ხელყოფად აღიქვამენ. ეროვნული ბანკი ფულადი მასების მიმოქცევას ხომ ისედაც აკონტროლებს, მაგრამ ეს ხდება ოპერაციის შემდგომ-პოსტფაქტუმ, თანხების მიმოქცევაზე (5 ათას ლარს ზევით). ნაცებმა ვითომდა „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენელთა ფულადი სახსრების ბრუნვაზე კონტროლის მიზნით, დააწესეს. კანონის შექმნისთანავე ცხადი იყო რეალური მიზანი — აცხადებენ ექსპერტები. ადეიშვილის უწყებას სურს ფულად გზავნილებზე ჰქონდეს ინფორმაცია ოპერაციის დაწყებამდე, ისე რომ, ამის შესახებ თანხის მფლობელი საქმის კურსში არ იყოს.

## მოსალოდნელია თუ არა საბანკო კრიზისი

შემოღებულმა სიახლემ გარკვეული დარტყმა უკვე მიაყენა საბანკო სისტემას. შეილახა მსხვილი ბანკების იმიჯი — აღარ შემოდის მსხვილი შენატანები, გადის შემოსული თანხები. უცხოეთში მოღვაწე, ან სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეები ერიდებიან სამშობლოში თავიანთი ახლობლებისათვის მოზრდილი თანხების გადმორიცხვა“. მსხვილ ქართულ ბანკებში შექმნილ ვითარებას ექსპერტი-ფინანსისტები 2006 წლის მდგომარეობას ადარებენ. ამ დროს წლის მიწურულს დაწყებული საკრედიტო ბუმი, მთელი 2007 წელსაც გაგრძელდა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა 2008 წლის საბანკო კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბანკების უმეტესობა ფასიან ქაღალდებს ყიდულობს, მათი დიდი ნაწილი ამით არ კმაყოფილდება და ფინანსების მოძიებას უკვე ანაბრებზე სპეციალური აქციებით ცდილობს. „თი-ბი-სი“ ბანკი და „საქართველოს ბანკი“ მომხმარებელს სარგებელზე +1 პროცენტს, ხოლო „პროკრედიტ ბანკი + 1,5 პროცენტს სთავაზობენ მომხმარებელს. საბანკო საკითხებში **ექსპერტი ქეთევან ლობჟანიძე** ამტკიცებს, რომ ფასიანი ქაღალდების ყიდვასთან ერთად მაინც ცდილობენ დამატებითი სახსრები რიგითი მოქალაქეებისაგან მოიზიდონ. ამ ორი პროცესის პარალელურად მიმდინარეობა პარალელურად აჩენს ეჭვს, რომ ბანკებს შემოსავლები შემოაკლდათ, — ამბობს ექსპერტი-ეკონომისტი და იქვე დასძენს, რომ ანაბრებზე პროცენტების მომატება, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე. ამცირებს მას. იზრდება რა დეპოზიტის რაოდენობა, თითქმის იმავე ოდენობით კლებულობს მოხმარება. აქტივობის შემცირება კი საბოლოო ჯამში, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაწევას იწვევს.

ლობაჟანიძე ამტკიცებს, რომ თუ ეროვნულმა ბანკმა ქმედითი ზომები არ გაატარა აღნიშნული ტენდენციის შესაჩერებლად, ბანკები მიმდინარე წელსაც გააგრძელებენ ანაბრებზე პროცენტის მომატებას, მანამ ვიდრე თავიანთ ფინანსურ რესურსს არ შეავსებენ, საბოლოოდ 2008 წლის მაგვარს მივიღებთ, — აცხადებს ჩვენთან მოსაუბრე.

მალე არჩევნები მოდის. ხელისუფლება ბანკებს აუცილებლად მოსთხოვს სერიოზულ თანხებს როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში მათთვის სასურველი კანდიდატების კამპანიის დასაფინანსებლად. ბანკებმაც წინასწარ დაიჭირეს თადარიგი. პროცენტების გაზრდით ახალი მეანაბრეების მოზიდვას ცდილობენ, რათა „ნაციონალების“ მიერ „შეწერილი“ თანხების ახალი რესურსებით შევსება მოხდეს.

**ზაზა ბილიხოძე**

# `qarTvelTa dedaenis _ qarTuli enis sikvdili saqarTvelos sikvdilia~

## qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs




*კონსილიუმში ენის თემატიკის პრობლემებზე ამჯერად სოციალური ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ხუფენია გვესაუბრება.*

**— ბატონო ოთარ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში ქართული ენის როლი საკმაოდ დაკნინებულია. თუმცა, არც საბჭოთა პერიოდში ულხინდა ქართველს. მაშინ რუსულს გვაძალებდნენ, ახლა ინგლისური ხდება ჩვენი „მშობლიური“ ენა?**



— ქართველი, რომელიც 20 წელია საქართველოდანაა წასული, მას მიწის, ენის ძახილი არ გააჩნია, მას ეს განცდა დაკარგული აქვს, მისთვის ქართული მშობლიური აღარ არის. ნორმალურ საზოგადოებაში საკამათო არ უნდა იყოს, რომ ენა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია. დღეს, ქართული ენის მივიწყების, მიჩქმალვის პოლიტიკა ხორციელდება და სამწუხაროდ, ეს შეცდომით არ ხდება. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ „პოლიტიკის“ ავტორებს კაბინეტებში ილიას სურათი უკიდიათ. ამ დროს ენა, მამული, სარწმუნოებაზე წარმოდგენაც არ აქვთ. როდის ჩნდება პოლიტიკოსისთვის ენის როლის დაკნინების საჭიროება? — როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიამ შემოიერთა, რუსიფიკაცია დაიწყო, ინტელიგენტობის განმსაზღვრელად რუსულად მეტყველება აქციეს. ადამიანები რუსულად საუბრობდნენ, რაც გამორჩეულობის სინდრომი იყო. დააკვირდით რა ხდება ახლა, როგორ მეტყველებენ ჩვენი ქართველი პოლიტიკოსები, რაც მეტ ინგლისურს გაურევენ საუბარში, თავი მით უფრო მაგარი ჰგონიათ. ეს შეცდომით არ ხდება. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს კარგად იცოდნენ როგორ დაევიწყებინათ, მეხსიერებიდან ამოეშალათ ჩვენთვის მშობლიური ენა. მოვიყვან კლასიკურ მაგალითს. ავიღოთ ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუცია. სტალინი, რომელიც იმპერიას გააზრებულად ჰქმნიდა, დადგა პრობლემის წინაშე — ერთიანი, საბჭოთა ხალხის არსებობისთვის, საჭირო იყო მათ ერთ ენაზე ესაუბრათ და ენის დეფინიციის შესახებ დისკუსია წამოიწყო. გაიმარჯვა სტალინურმა დეფინიციამ, სადაც ეწერა — ენა ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების საშუალებაა. სოსელომ, რომელიც არცთუ ურიგო ლესებს წერდა განა არ იცოდა ენა რა იყო? მაგრამ ენა საკომუნიკაციოდ სჭირდებოდა. ახლა, დამოუკიდებელ სახელმწიფოში ურთიერთგაგებინების საშუალებად ინგლისური იქცა? ანუ დღეს, ქართული ურთიერთგაგებინების საშუალებადაც აღარ გვინდა და ინგლისურმა უნდა შეცვალოს?! რა მიზანს ემსახურება ის, რომ ყველამ ინგლისური უნდა ვიცოდეთ, სკოლებში აი იასთან ერთად, პირველი კლასიდან, ინგლისურს რატომ ვასწავლით ბავშვებს, ორენოვანი ერი ვხდებით თუ რაშია საქმე?! სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებას ენის როლი და ფუნქცია, როგორც მდგენელისა არ ესმის. ამ საკითხს კიდევ ერთი მხრიდან შევხედოთ. ყველამ ვიცით, რომ გასაბჭოებამდე პეტერბურგის მერე დიდი უნივერსიტეტი საქართველოში შეიქმნა. მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ პეტრე მელიქიშვილის ხელმძღვანელობით არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ამოცანა დაისახეს — ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია შექმნილიყო. მაშინდელ ჩვენს წინაპარს გააზრებული ჰქონდა — უნივერსალური განათლების მიღებად, რათა ქართველს ენა და მეცნიერება ემშობლიუროს, ტერმინები იყო საჭირო.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს 1898 წელს ნიკო ნიკოლაძემ დაწერა ესსე, სადაც გააკეთა პროგნოზი — შემდეგი საუკუნე იაპონელების იქნებაო, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებს — მათ განათლების რეფორმა დაიწყეს და ამას საფუძვლად ეროვნული წესჩვეულებები, ტრადიციები და ენა დაედო. ამით, მან, რუსეთის ცარიზმის პირობებში თქვა: ქართველო, ეს შენთვის გამოხმაურებაა უნივერსიტეტის იდეის მოსამზადებლადო. როგორც ზემოთ ვახსენე, ცარიზმი ცდილობდა ქართული ენის მოსპობას. გასაბჭოებამდე თბილისის საკრებულოში პირველ სამეცნიერო მოხსენებაზე, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა სომხები, რუსები და უმცირესობაში ქართველები იყვნენ, საკრებულომ ფიცი სომხურ და რუსულ ენაზე დადო. ქართველებმა დასვეს საკითხი ვაჟას იუბილეს მოწყობის შესახებ. იცით ეს იდეა რატომ იბლოკებოდა? — ამბობდნენ ვაჟა იმდენად დიდია, საკმარისი ქართული ტერმინოლოგია არ გაგვაჩნია და ქართულად რომ ჩავატაროთ განხილვა ვაჟას შეურაცხყოფა იქნებაო. ექვსი თვე გრძელდებოდა ამ საკითხზე დავა. როგორ ფიქრობთ, მათ ვაჟას შემოქმედება აინტერესებდათ? — პრობლემა ის იყო, რომ რუსული ენა არ ემშობლიურებოდათ. ბოლოს მიიღწა, რომ პირველი სამეცნიერო მოხსენება ქართულად წაიკითხეს. ასე რომ მას, ვისაც ქართულობის გაქრობა, მოსპობა უნდა, გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყანას ამით საძირკველს აცლის.

ცნობილია, რომ ადამიანი ბოლო სიტყვას მშობლიურ ენაზე ამბობს და როგორც წესი სიზმრებსაც მშობლიურ ენაზე ხედავს. მომავალ თაობას ქართული რომ არ ეცოდინებათ და აღარც დასჭირდებათ, ინგლისურად ნახავენ ამ სიზმრებს? ამიტომ ხელისუფლებას ვეუბნები — თავი დაანებონ ჩემს სიზმრებს. მე და ჩემს შთამომავლობას სიზმარი ჩვენს ენაზე გვანახოს. სულელურ ექსპერიმენტებს თავი დაანებონ. მეორეც, ვინ უთხრა ამ „ჭკვიან“ ხელისუფალს, თითქოს მთელი მსოფლიო ინგლისურად ილაპარაკებს. თუ ევროპისკენ მივდივართ, იქ ინგლისური სამუშაო ენა არ არის, არამედ უბრალოდ ურთიერთგაგებინების საშუალებაა. ან თუნდაც ვინმე გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას შეგვიცვლის და აღარ დაგვიჭირდება რუსეთთან ურთიერთობა?! მეტიც, ვინ თქვა, რომ ნაკლებად საჭირო იქნება საქართველოში ჩინური ან რუსული ენა.

ფილოლოგებისგან ვიცი, რომ ნებისმიერ ენაში 40 პროცენტამდე უცხო სიტყვებია დამკვიდრებული, თუ ეს 50-70 პროცენტს გასცდა, ენა იკარგება. ერი უნდა შეეცადოს უცხო ტერმინოლოგიის ადეკვატური, შესატყვისი სიტყვებით ისაუბროს. ჯერ კიდევ კომუნისტურ საქართველოში, როცა პირველი კომპიუტერები შემოდიოდა, ჩნდებოდა ტერმინები ნიუსი, და ა.შ. ვცდილობდით ამ ტერმინების შესატყვისები მოგვეძებნა. მაშინ ვამბობდი, იქნებ მეგრულში ან სვანურშია ისეთი სიტყვები, რაც უფრო კარგად ერგება უცხოურ ტერმინოლოგიასმეთქი. ამის მერე 1988-89 წლები დაიწყო, ნაცია ქუჩაში გამოვიდა და ასეთი სიღრმეებისთვის, ფიქრისთვის არც მოთხოვნაა და არც სურვილი.

**— ბატონო ოთარ, როგორც ცნობილია ქართულ ენასთან დაკავშირებით არსებობს ჩვენი დიდი წინაპრების ბრძნული მოსაზრებები. აკაკი წერეთელი ერთგან მეგრული ენის როლზეც საუბრობს. თქვენ, როგორც კოლხი კაცი, რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— მოგახსენებთ, თუ რას ამბობს აკაკი ამის შესახებ — „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ-საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსაც სწყენს. მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ურჩევთ ჩვენს მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქედან ამოკრეფილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი. ფაქტობრივად, ეს დიდი ხნის წინ, მე-19 საუკუნეშია ნათქვამი. აქ სინამდვილეში მხოლოდ მეგრულ ენაზე არაა საუბარი. ეს რეალურად ქართული სახელმწიფოს მოწყობის პროექტია, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს ქართული სახელმწიფო. კერძოდ, ამით ნათქვამია, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გათათრებული, გასომხებული, გასპარსებული ხარო. არადა, აგერ არის ნამდვილი ქართულ-მეგრული ენა, საიდანაც ერმა აღორძინება უნდა დაიწყოსო. რა შეაგება ამ პროგრამას ქართულმა სახელმწიფომ? — ასევე, ძალზედ მტრული დამოკიდებულება მეგრული ენისადმი. ახლა, აკაკი ცოცხალი რომ ყოფილიყო ვიღაც-ვიღაცებს შეიძლება ჩაექოლათ კიდეც, ან სეპარატისტად გამოეცხადებინათ. არადა, როდესაც ქართულ სახელმწიფოზე და აქ მცხოვრებ ადამიანებზე ვსაუბრობთ, კერძოდ იმავე სვანურ და მეგრულ ენებზე, ზოგიერთს ჰგონია, თუ იტყვის, რომ არც მეგრული და არც სვანური ქართული ენა არაა, არამედ ეს რაღაც დიალექტია, სინამდვილეში ეს სრულ უწიგნურობასა და უმეცრებაზეა აგებული. იმიტომ, რომ ქართული ენა სინამდვილეში ნაკრებია ამ ენებისა. სამწუხაროდ, სვანური არ ვიცი, მაგრამ საბედნიეროდ ვიცი მეგრული. უამრავი ძირი დევს მეგრულში. ასე მივიღეთ ჩვენ ერთი კულტურა, ტაძარი, რომელსაც ქართული ენა ჰქვია. მაგრამ როდესაც აქედან მეგრულს გამოაძევებ, ამ ტაძრის ერთ-ერთ აშენებელს ეტყვი — მეგრულად რომ საუბრობ, ქართველი არ ხარო, ამით ქართულ სახელმწიფოს არღვევ. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ქართველზე, რომელმაც მეგრული, სვანური არ იცის, და მას ელემენტარული ცოდნა მაინც მისცეს, აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოლიტიკა ტარდებოდა და დღემდე ტარდება, რომელმაც ჩემი ღრმა რწმენით აფხაზეთის დაკარგვამდე მიგვიყვანა. ერთ-ერთი მიზეზთა-მიზეზი ისიცაა, რომ ქართულმა სახელმწიფომ — თბილისმა ვერ მოუარა 300 ათას კაცს, რომელიც აქვე სახლობდა, აფხაზეთის ქართველობას ანუ მეგრელობას და მას უთხრა — შენ, არ ხარ ქართველი, ვინ ხარ მეგრულად რომ ჟღურტულებ მანდო. ასე გააუცხოვა იგი საქართველოს ცნებასთან. ხელისუფლება ამბობს ეს ლტოლვილები აქ რომ დაძრწიან, აფხაზეთში ებრძოლათო. მათ წელიწადი და სამი თვე იბრძოლეს და 10-12 ათასი ქართველი კაცი დაიხოცა. აქ კიდევ, 5 საათში დამარცხდნენ. გალელი კაცი საკუთარ ბავშვს ბილიკებით ატარებდა, ზუგდიდში გადმოჰყავდა, რათა მისთვის ქართული ესწავლებინა. ასეთი ქართველის ქართველობაში ჩვენ ეჭვი შევიტანეთ. ახლა, არ მითხრას ვინმემ ეს ასე არ არისო. როგორ არ არის ასე, მაშინ როცა ქუჩაში სამმა კაცმა მეგრულად რომ დაილაპარაკოს, შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენონ და უთხრან — ქართულად ილაპარაკეო. სწორედ, ქართულად ლაპარაკობს იგი, ოღონდ

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

შენ არ იცი ეს ქართული, რადგან გასომხებული, გაუბედურებული ხარ და არ გესმის, რომ სწორედ ეს არის შენი საქართველო. და არა ის ქართული, რასაც დღეს ლაპარაკობ, რომელშიც უამრავი უცხო სიტყვაა შერეული, სინამდვილეში ფესვი და საწყისი სწორედ იმ მეგრულ ენაში დევს.

ჩემთვის, როგორც კოლხი კაცისთვის უმნიშვნელოვანესი იყო დიდი ილიას სიტყვები — სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახეო. ბავშვობიდან მაწუხებდა შეკითხვა — აბა, სხვა რა უნდა ენახა, მაგრამ როცა წამოვიზარდე მივხვდი, რომ ეს ნადიმზე ნათქვამი სიტყვა და სამეგრელოსთვის ამ დიალოგის შემდეგ ვაჟა ლაკონკურ დასკვნას აკეთებს, რაც თითოეულ ქართველს გულის ფიცარზე უნდა გვეწეროს: „ქართველთა დედაენის — ქართული ენის სიკვდილი საქართველოს სიკვდილია“. ასე უყურებდნენ ენას ჩვენი დიდი წინაპრები. ვინმემ საქართველოში შეისწავლა ორენოვნების ბუნება, ვინმემ იცის რა ხდება ამ დროს? ახლა ცდილობენ ინგლისური მოგვახვიონ თავს, 20-30 წლის შემდეგ შეიძლება ჩინეთმა იმძლავროს და მერე რა ვქნათ, ჩინური ენის სწავლება დავაწყებინოთ ბავშვებს პირველი კლასიდან?! ქართველებმა მარტივი რამ უნდა გავიაზროთ — ჩვენ გვაქვს საკუთარი — ქართული ენა, მეორეც, 14 ანბანთაშორის ერთ-ერთი ჩვენია. ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ლობაში“. სინამდვილეში განათლებასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ცხონებულ აკაკი შანიძეს ჰკითხეს — რამდენი ენა იცით ბატონო აკაკიო, მან უპასუხა — ნეტა, ქართული მაცოდინაო.

ჩვენს ქვეყანაში სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, რუსი და სხვა ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ .რატომ არ ხდება 10 ათასი ქართული ენის მასწავლებლის ჩაყვანა კომპაქტურად დასახლებულ არაქართულ რეგიონებში, 10 ათასი უცხო ტომის ინგლისური ენის მასწავლებლები ხომ დავასაქმეთ ჩვენს სამშობლოში. ამ ეთნიკურ უმცირესობებს ჩვენს მშობლიურ ენას თუ შევასწავლით, ამით ხომ გავმთლიანდებით. განა აღტაცებას არ გამოიწვევს კარგი ქართულით მოუბარი აზერბაიჯანე-

# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

ქართველობის შენარჩუნების აღტაცებით გამოხატული მოფერებაა. აკაკი წერეთლის საოცარი გამონათქვამი სადაც მეგრული ენის ადგილსა და როლზეა საუბარი, რაზეც კითხვის დასაწყისში მოგახსენეთ, 90-იან წლებში მოიკვლია ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა პოეტმა ვახტანგ ხარჩილავამ. მაშინ მაღალჩინოსანი გახლდით და მახსენდება მაშინდელი ხელისუფლების პირველი რეაქცია. კანცელარიაში, პარლამენტში და სხვა სახელმწიფო უწყებებში გაზეთი დარიგდა. სერიოზული და უმნიშვნელოვანესია ქართული სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით აკაკის სიტყვები ენასთან დაკავშირებით. უამრავი მაღალჩინოსანის კაბინეტს ამშვენებდა გაზეთიდან ამოჭრილი ეს სიტყვები. დღევანდელი გადასახედიდან ეს ნიშნავს, რომ ენისადმი, ეროვნულობისადმი დამოკიდებულება მაშინ ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღესაა. დარწმუნებული ვარ დღევანდელი ხელისუფლების ყმაწვილებს წაკითხულიც არ აქვთ აკაკის სიტყვები და როცა წაიკითხავენ დაიწყებენ ფიქრს მეგრელები სეპარატიზმს ხომ არ იწყებენ მეგრულ ენაზე საუბრითო. მეგრულ ენასთან ერთად უნდა განვიხილოთ სვანურიც, ჭანური, ლაზური და ა.შ. აქვე მოგახსენებთ, როგორ შეაფასა აკაკის დიდმა თანამედროვემ ვაჟა-ფშაველამ ენისადმი დამოკიდებულება: „ახალ თაობაში ისეთი მახინჯი შვილებიც გამოერივნენ, რომელნიც თვით საქართველოსაც ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი“. თითქოს დღესაა ეს სიტყვები დაწერილი. ენის მოკვდინების მცდელობაა 5 წლის ბავშვისთვის ორენოვნების ჩანერგვა. საუბარია იმაზე, რომ ამ ასაკის ბავშვმა, რომელმაც მომავალში ქართულ ენაზე უნდა ნახოს სიზმარი, გაითავისოს ქართული, აი ია თავის ხელით უნდა დაწეროს და არა კომპიუტერის კლავიშებით აკრიფოს უცხოური ანბანის ასოებით. დღესაც აქტუალურია ვაჟას ნათქვამი, მიაქციეთ ყურადღება — ამით ისინი ქართულ ენას კლავენ. მდგენელი ენაა, ამ დროს რატომ ვაფეტიშებთ მეორე, სხვა ენას? ვთქვათ, 15-20 წლის მერე უფრო მეტი საჭიროება დაუდგა ქართველს სხვა ენის ცოდნის, მაშინ რა ვქნათ ხალხს ვუთხრათ ეს ყველაფერი დაივიწყეთ და ახლა მესამე ენა ისწავლეთო?! ასეთი აბსურდულობა, და ნოვაციები ჩვენი ხელისუფლების მხრიდან უკვე კლასიკად იქცა.

თუ გენეტიკური ქართველი ხარ, მეგრული ენის გაგება ძნელი არაა. ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ხარ კახელიც, ქართლელიც, მეგრელიც, სვანიც. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს — თუ ქართველი ხარ, როგორ შეიძლება მეგრელი არ იყო.

**— როგორი ქართველია ჩვენი ხელისუფლება?**




— მის „ქართველობაზე“ ერთი ფაქტი კარგად მეტყველებს — ენის სახელმწიფო პალატა გავაუქმეთ. როგორ, როცა სახელმწიფოს ერთი კონცერტი მილიონები უჯდება, 20 კაციანი საშტატო ერთეულის შენახვის პრობლემა გვაქვს?! ცრუ ინტელიგენტური, ცრუ არისტოკრატულობის მაჩვენებელია ეს ყოველივე. ადრე ჩვენი „ელიტა“ რუსულად მეტყველებდა, ახლა საზოგადოებას მოუწოდებენ უცხო სიტყვებით ისაუბრონ. ქვეცნობიერად, მათ უცხო სიტყვების მეტყველებაში გამორევით თავი მაგრები ჰგონიათ და მიხოს და ძუკუს აჯერებენ თავიანთ „განათლებულობაში“... ლი ან სომეხი?! ეს ნიშნავს იმას, რომ დაკარგული ტერიტორიების გარდა, ის ტერიტორიებიც, რომელთაც ჩვენ ვაკონტროლებთ მთლიანი არ არის, გამთლიანებული არ არის. ტაშ-ფანდურში გადაყრილი მილიონები ამ კუთხით რომ დახარჯულიყო, 8-10 წელიწადში სულ სხვა სურათს მივიღებდით. არ მწამს, რომ ზღვის სანაპიროზე მოსმენილი რახა-რუხით, რაშიც მილიონები იყრება, ჩვენი კულტურული დონე აიწევს. ასეთი კონცერტები ხომ 5 წუთში აღარავის ახსოვს.

აქვე ერთ საინტერესო ნიუანსზე მინდა კიდევ თქვენი ყურადღება გავამახვილო. როდესაც თბილისში სარკოზი ჩამოვიდა, თავისუფლების მოედანზე შეხვდა ხალხს. ჩვენი პრეზიდენტი მოხსენების მერე მანქანისკენ გაეშურა, სარკოზი კი ხალხში ჩავიდა და მერე გაჰყვა პრეზიდენტს. ეს არ გაპიარებულა. ასევე, არ გაპიარებულა ფრაზა, რომელიც მან თქვა — იმედი მაქვს, ჩვენ აქ ფრანგულადაც დავილაპარაკებთო. ამით სარკოზიმ მიგვანიშნა, რომ ევროპის ერთ-ერთი სამუშაო ენა ინგლისურთან ერთად ფრანგულიც უნდა იყოსო. საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოში თავისი ენის ინტერესი დაიცვა. ჩვენ კიდევ ჩვენი საცოდავი ენა ჩვენსავე „კონტროლირებად“ ტერიტორიაზეც ვერ დაგვიცავს.

**თამარ შველიძე**

# facebook

# xalxis azriT

გლდანში ყელ–კისერს იღერებს ტოტო, ბათუმის ცისქვეშ გალობს ხულიო... ეს სიმართლეა — არ არის ფოტო — მრუდე სარკეში დანახულიო. “ჩვენ ევროპა ვართ!” — ეს ფრაზა მწველი მოფრინდა როგორც გაზაფხულიო... ვითომ ეს იყო ათასი წელი ქართულ ენაში ჩამარხულიო?!

ნამდვილი საქართველო!!!!!! სულ მაინტერესებდა მიშიკას ტრიბუნის მოგზაურობა ჩვენს გაღარიბებულ რეგიონებში, როგორ ალამაზებდნენ უკანა ხედს და აპიარებდნენ რაღაც ახალ სულელურ ქალაქების აშენებას, სასტუმროს და უაზრო სამკუთხედების გეგმა პროექტების გამოჭიმვას! აჰაა მეგობრებო მიშას ტრიბუნა, დააკვირდით როგორი დიდი და მრავალი მხარდამჭერი უკრავს ტაშს და ოვაციებით ეგებება საქართველოს ბოლო დიქტატორს! უბედურება ის არის, რომ მონტაჟნიკები საქართველოს რეალურ ცხოვრებას ამონტაჟებენ!!!! ამონტაჟებენ, ისე როგორც კომედიური ჟანრის ინდურ ფილმში ხდება !!!! სიმართლე, გაჭივრება, სიღატაკე, ტერორი, ელიტ-კორუფცია, უსამართლობა და ახალგაზრდების მომავლის ლიკვიდაცია?! რათქმაუნდა ამოსაჭრელია! რა საჭიროა ხალხმა სინამდვილე იცოდეს???? როდესაც შეიძლება ისედაც ნატანჯ და გაუბედურებული მოსახლეობის პროტესტი ან უბრალოდ სიცოცხლის სურვილის საჯაროდ გაჟღერებას...... ქვეყნის გადატრიალება და ამბოხი დაარქვა.... ან საქართველოს გამთლიანების და უკეთესი მომავლის მსურველ მოქალაქეებს, მოქალაქეობა წაართვა (რომელიც მათ უფალმა მიანიჭა პირველ რიგში, რომ საქართველოში დაიბადნენ) რუსეთის აგენტად და პუტინის მხარდამჭერ პირებათ გამოიყვანო!!! რა კარგია არა დიქტატორობა? მიდიიიიიი ხოცე, ჟლიტე, ანგრიე და რაც მთავარია უმნიშვნელოვანესი მომენტი დიქტატურის გამოსავლენად.... ააშენე და გააკეთე მხოლოდ ის, რაც შენს სიამუვნებას ეხება!!!!! მაგრამ ერთი უეჭველი ფინიში მოზდევს ამ სასაიმო ცხოვრებას!!!!!! გიტლერი, მუსოლინი, ხოჯა, პინოჩეტი, ჩაუშესკუ, ჰუსეინი,კადაფი დაააააა ძალიან ბევრი, ბევრი დამარცხებული ბიჭებიიიიიიი!!!!!!!

საქართველოში ჩამოსასახლებლად ეპატიჟებიან ყველას. საქართველო ცარიელი ტერიტორიაა თუ განუვითარებელი და ჩლუნგები ვართ, რომ ჩამოსახლებულებმა გვასწავლონ რამე? ვერ იტანენ, რომ ქვეყანაში დაახლოებით 85% ქართველია, დანარჩენი — სხვა ეროვნების. რუსეთში სხვა ეროვნების მოსახლეობის 20%-ია, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, მიწას არ ყიდიან. საქართველოს ზღვისპირეთი თურქებმა იყიდეს. მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ და წაიღებენო, ეს ზღაპარი შვილიშვილებს მოუყვნენ. თუ ინგლისური ენა არ იცი, ატესტატს არ გაძლევენ, რომელ ქვეყანაშია ეს? ეს ძალადობრივი ასიმილაციაა, რაც მთელ მსოფლიოში დაგმობილია. ადრე კომუნისტური პარტია გვარუსებდა და ახლა ვიღაცას უნდა აქ ინგლისურენოვანი კოსმოპოლიტური სახელმწიფო შექმნას

მთავარია ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა! ნაცები ამით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში და ეს ნდობა ნაცრად აქციეს, არადა, რომ არა სიხარბე და ფულისადმი ასეთი ღორული სიყვარული, ისინი დღესაც ხალხის რჩეულნი იქნებოდნენ! დაკარგეს ყველაზე მთავარი თვისება - ღირსება...(ნეტა ან თუ ჰქონდათ საერთოდ?) ყველას კარგად გვახსოვს, როგორ მგზავრობდა ეიფორიაში მყოფი მიშა სამგზავრო თვითმფრინავით, ხალხისთვის ფული დავზოგოვო, შემდეგ კი მადაგაზრდილს სუშიბარში 12 ათასი ლარის გადახდა არაფრად მიაჩნდა; გვახსოვს, როგორ მგზავრობდა უგულავა მეტროთი, შემდეგ კი ჯერ ერთ ცოლს თბილისელების ჯიბეებიდან ამოღებული 200 ათასი საჯდომის პლასტიკურ ოპერაციაში გადაუხადა, მეორე კი ავსტრიაში სამშობიაროდ დააფინანსა, აქაოდა ჩემს შვილს როგორ ვაკადრო თბილისის სამშობიაროში გაჩნდესო. მოირგეს საქართველოს ბიუჯეტი, საკუთარი პაპის დანატოვარი ოქროთი სავსე ქისასავით და რაღას დათმობენ უბრძოლველად?





# `bednieri~ avadmyofebi msoflio sagiJeTi!

ბოლო წლებში იმდენი ე.წ „მსოფლიო სახის“ გარშემო ატყდა ხმაური, რომ გასული საუკუნის მიჯნაზე საფრანგეთის წიგნის სამყაროში გამოჩენილი ბესტსელერი გამახსენდა, — პიერ აკოსას გამოკვლევა და დასკვნა „ჩვენ ავადმყოფები გვმართავენ“.

ყველას აქვს უფლება, საიდუმლოდ შეინახოს და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, მაგრამ ისეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, რომელზეც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ბედი, თავისთავად, რიგითი ადამიანი არ არის. ამდენად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სურათი ღია უნდა იყოს.

თვალი რომ გადავავლე მსოფლიო ისტორიას, გაოგნებული დავრჩი. პიერ აკოსა ცალკეულ პირებზე ამახვილებდა ყურადღებას, არადა, ოდნავ რომ ჩაუღრმავდე, აღმოჩნდება, რომ მსოფლიოს ცნობილ ადამიანთა გვარიანი უმრავლესობა ავადმყოფი ყოფილა და არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნაწილს კონკრეტული ორგანოს დაავადებიდან გამომდინარე ჰქონდა სენი შეყრილი,



ნაწილს კი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მათი ისტორიები, ცხოვრებისეულიც და ავადმყოფობისაც, საინტერესოცაა, ამაზრზენიც და ერთგვარად ნაღვლიანიც, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მათ ავადმყოფობას ჰყავს მიყვანილი მათივე ქვეყანა გარდაუვალ კატასტროფამდე.

აკოსას თქმით, კომპლექსურად არავის გამოუკვლევია, როგორ აისახება პიროვნების ავადმყოფობა მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, მაგრამ ფაქტები ამბობენ, რომ ავადმყოფი ხელმძღვანელი პირები ყველაზე ნაკლებად გამოდიან ნაციონალური ინტერესებიდან.

ის, რომ სახელმწიფოს მეთაურები, რაგინდ უკანასკნელ მდგომარეობაში იყვნენ, საკუთარ ექიმებს აიძულებენ, დაუმალონ ხალხს მისი ჯანმრთელობის ამბავი, ცნობილია. ეს კი არა, ხშირ შემთხვევაში, მათ გარდაცვალებას რამდენიმე დღის გასვლის შემდეგღა ახმაურებენ დაუსაბუთებელი მოტივით.

აკოსას, საკუთარი გამოკვლევის დამადასტურებლად მაგალითად ბროზ ტიტო მოჰყავს, რომელმაც, ხელისუფლება არაფრით დათმო, არ გადასცა იმ ძალებს, რომელთაც ბალკანეთის ომების აცილება შეეძლოთ და ხუან ბუმენდენის ავადმყოფობის დამალვა, რის გამოც ისეთმა ძალებმა იგდეს ხელთ ძალაუფლებმა, რომლებმაც გაანადგურეს ალჟირი.

მსოფლიო პოლიტიკური სივრცის შესწავლის შემდეგ პიერ აკოსა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სრულიად ჯანმრთელი მეფეები და პრეზიდენტები, ფაქტობრივად, არც არასდროს ყოფილან და არც არიან.

მისი თქმით, განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელია ახლო და შორეული აღმოსავლეთის დესპოტებზე და მათზე, ვინც ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ რუსეთს.

იგი, მაგალითად, თვლიდა, რომ დამაფიქრებელი იყო სადამ ჰუსეინის ანამნეზი, ვინაიდან, ჯერ კიდევ 1982 წელს სპეციალურად მის გამოსაკვლევად გამოძახებულმა ბრიტანელმა ექიმებმა ერთხმად დაადგინეს მისი დიაგნოზი, — მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი. ჰუსეინმა სხვა, უფრო „გამოჩენილი“ ექიმები გამოიძახა, მაგრამ მათ უფრო დამამძიმებელი დიაგნოზი დაუსვეს. ამის შემდეგ, ირანელმა ექიმებმა ფსიქოტრონული პრეპარატები დაუნიშნეს, რის შემდეგაც ავადმყოფობამ პროგრესირება დაიწყო. (რომელმა პიროვნებამ რატომ და როგორ დაასრულა სიცოცხლე, სხვა საკითხია, ამდენად, არ განვიხილავთ)

აკოსას დაკვირვების ობიექტი გახდა ახალგაზრდა კიმ ჩენ ირი, რომელსაც მამისგან, კიმ ირ სენისგან მემკვიდრეობით გადაეცა პროგრესირებადი ათეროსკლეროზი და განდიდების მანია, რაც ფსიქიური წონასწორობის დარღვევით იყო გამოწვეული. ამას თან ერთვოდა შორსწასული დიაბეტი.



აკოსა თვლიდა, რომ ლიბიელი დიქტატორის მუამარ ყადაფის იმპულსური მოქმედებები და გადაწყვეტილებები იმის მანიშნებელი იყო, რომ მისი მენტალური ჯანმრთელობა წესრიგში არ იყო.

სირიის ბელადი ჰაფაზ ასადი თავის ტვინის ნერვების ხშირი სპაზმის გამო არასდროს ტოვებდა ქვეყნის საზღვრებს...

მენტალური ჯანმრთელობის საკითხი იდგა მაოსა და დენის შემთხვევაშიც, რომელთა მოქმედება გაურკვევლობაში აგდებდა პოლიტიკურ ანალიტიკოსებს.

მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს, ბენ ლადენს, შემაერთებელი ქსოვილის პათენტიკური, აუტოსომურ-დომინანტური დარღვევა, ანუ „მარფანის სინდრომი“ ჰქონდა (ეს დაავადება იმ პირველ ხუთეულში შედის, რომელიც გენიოსებს ახასიათებთ — მ.ჭ)

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში გააფრთხილეს პრეზიდენტი კენედი, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი ჰიპომანიაკია, რომელიც საშიშია შეტევის დროს, განსაკუთრებით ბობოქრობისას. ამის შემდეგ და სწორედ კენედის ინიციატივით შეიქმნა ე.წ „სამედიცინო დაზვერვა,“ რომელიც ინფორმაციას აგროვებდა როგორც მოწინააღმდეგეების, ისე მოკავშირეების შესახებ.





მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტ პომპიდუს სისხლის დაავადება ჰქონდა, რომელიც გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ნიქსონმა ექსტრაორდინალური ხერხით (რეიკიავიკში უმაღლესი დონის შეხვედრისას მისი რეზიდენციიდან შარდი მოიპოვეს აგენტებმა) მაინც მოახერხა ინფორმაციის მოპოვება.

ცნობილია, რომ რუზველტს პოლიომელიტი ჰქონდა;

აკოსას გამოკვლევაში საკმაო გვერდები ეთმობა ელცინს. მისი მონაცემებით. ელცინის გულგრილობა სექსისადმი შეიძლება, პლუსადაც ჩათვლილიყო, რადგან ფსიქოგენური იმპოტენცია მიანიშნებდა თავის ტვინის ქერქის აქტიურობის კონტროლზე, რის გამოც ადამიანი უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა. კონინას დასკვნით, ელცინის სექსპორტრეტი მაზოხისტისა იყო.

რა თვალსაჩინო შტრიხებია საჭირო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ამ სექსტიპს მიაკუთვნო?

მაგალითად, ახლობელი ადამიანების თავიდან მოშორება, — ეს მოწმობს, რომ ადამიანი ცივი და სასტიკია, მაგრამ ასე იმიტომ იქცევიან (ეს ქვეცნობიერად ხდება მათში), რომ ამგვარი საქციელის შემდეგ სურვილი უჩნდებათ, გალანძღონ, უწოდონ დამამცირებელი ეპითეტები და ა.შ კონინას მოჰყავდა ფაქტები ცნობილი „ავტორიტეტების“ ქმედებებიდან. მას შემდეგ, როცა ვინმეს აწამებენ, შეურაცხყოფენ ან სულაც მოკლავენ, სასტიკი ადამიანები მიდიან „მკაცრ ქალბატონთან“ რათა განმუხტონ (დაკბინონ, დაამცირონ, დატუქსონ და ა.შ). რადგან პრეზიდენტისთვის ამგვარი საქციელი მიუღებელია და არ სჩადიან, ეს არაფერს ცვლის, ასეთი მმართველი მაზოხისტია. ისინი ხშირად იწყებენ ისეთ ავანტიურისტულ საქმეებს, რომლებიც მათვე აყენებთ ტანჯვას და ტკივილს, თანაც წინასწარ იციან, რომ დამარცხებითვის არიან განწირულნი, მაგრამ მაინც იწყებენ. (ვიღაც მეცნობასავით!)

კონინა, აქტიური ჰომოსექსუალისტის ტიპს მიაკუთვნებდა ალექსანდრე იავლინსკის. თურმე, ადამიანის ამ ტიპისთვის დამახასიათებელია ადამიანების „ფლობა“, მისდამი მორჩილება და ძალზე ეჭვიანები არიან. ამის დასამტკიცებლად კონინას მოჰყავს მაგალითი, რომ იავლინსკი ეჭვიანობდა ეგორ გაიდარზე, რომელსაც თავის მეტოქედ თვლიდა და ელცინს ევაჭრებოდა გრაჩოვზე, ჩერნომირდინსა და ეგოროვზე. კონინას თქმით, ეს მოტივაცია ფსიქოსექსუალურად ღიაა, — სამივე მამაკაცი უსიმპათიო იყო, აქტიური ჰომოსექსუალი კი ორგანულად ვერ იტანს მახინჯ მამაკაცებს.

კონინა ექსჰიბიციონისტის ტიპს მიაკუთვნებდა მილიონერ ბრინცალოვს, ფარმაცევტული იმპერიის შემქმნელს პოსტსაბჭოურ რუსეთში. ბრინცალოვმა თავი დაამახსოვრა მაყურებელს იმით, რომ სთხოვდა ყურადღება მიექციათ მისი ლამაზი თვალებისთვის, პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, რომ მისი პირველი სიყვარული ონანიზმი იყო. კონინას დასკვნით, მისი ლტოლვა პრეზიდენტობისკენ განპირობებული იყო იმით, რომ სურდა, მისი პირადი ცხოვრება საყოველთაოდ ცნობილი გამხდარიყო. ექსჰიბიციონისტური გადახრის მქონე ადამიანისთვის სიამოვნების მომგვრელია როცა შიშვლად წარდგება ხალხის წინაშე. სწორედ ამიტომ, მათ სიამოვნებთ ინტიმური დეტალების მოყოლა.

თვალის ერთი გადავლებით, „მსოფლიოს ცნობილები“ ამგვარად წარმოდგებიან: უტოპიური სოციალიზმისა და პოზიტიური ფილოსოფიის ფუძემდებელი, დიდი მოაზროვნე, ოგიუსტ კონტის ძლიერი ფსიქიური აშლილობის გამო ათი წელი საგიჟეთში მკურნალობდნენ; უტოპიური სოციალიზმის მეორე ფუძემდებელი, სენ სიმონი, განდიდების მანიით იყო შეპყრობილი; უტოპიური სოციალიზმის მესამე ფუძემდებელი, ფურიე პარანოიკი გახლდათ; გენიალური მათემატიკოსი, „ევკლიდეს გეომეტრიის“ გამმართავი ბოლიე, აღიარებული შეშლილი იყო; „ირონიის მამამთავარი“ ჯონათან სვიფტი ჭკუიდან შეიშალა; მუჰამედი, ლუთერი და სავონაროლა ჭკუიდან შეშლები იყვნენ; ალექსანდრე მაკედონელი — ჰომოსექსუალისტი, ეპილეფსიიანი ალკოჰოლიკი; იულიუს კეისარი — ჰომოსექსუალისტი, უფრო ზუსტად, როგორც ძველ რომში ამბობდნენ, ქალისათვის — ქმარი, მამაკაცისთვის — ცოლი. აწუხებდა ეპილეფსია და კოშმარები, ჰქონდა განდიდების მანია; კალიგულა — ჰომოსექსუალისტი, ეპილეფსიიანი სადისტი — სულიერად ავადმყოფი, თანაცხოვრობდა საკუთარ დებთან, ჰქონდა განდიდების მანია; იმპერატორი ნერონი — ჰომოსექსუალისტი, სადისტი, პოეტი, პირომანი; გოეთე — სრული შიზოიდური და ციკლოიდური ფსიქოპათი; პათოლოგიური მატყუარა და ეპილეფტიკი. მამამისი ალკოჰოლიკი გახლდათ. ძმა ლუდოვიკო — ფსიქოპათი, ერთ-ერთი და პოლინა — სრული დეგენერატი; ჟან ჟაკ რუსო — ჰქონდა განდიდებისა და დევნის მანია, იპოქონდრია, შიზოფრენია; ვილჰელმ II — გერმანიის იმპერატორს არასრულფასოვნების კომპლექსი გამუდმებით სტანჯავდა (სწორედ ამ კომპლექსმა დააწყებინა მსოფლიო ომი); იდი ამინი — აფრიკელი დიქტატორი განდიდების მანიით შეპყრობილი პარანოიკი იყო.







**მაია ჭელიძე**

**რობერტ სტურუა:** მაინცდამაინც სასიამოვნო ნამდვილად არ იყო, როცა თეატრიდან გამათავისუფლეს. როგორც წესი, მთავრობა ერთს ამბობს და მეორეს გულისხმობს. როცა ქსენოფობიას დაგაბრალებენ და სინამდვილეში ეს არის გაძევება, რადგან არ ეთანხმები მთავრობას გარკვეულ საქციელში, ეს უკვე წმინდა წყლის დემაგოგიაა. ისეთი იარლიყი დაგეკვრება, რომ მსოფლიოსთვის ცოტა მიუღებელი ხდები. თუმცა მალე გაირკვა ყველაფერი.ინგლისში ვიყავი და იქ უკვე ყველაფერს ხვდებიან, იციან, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ასე რომ, თამაშით, მშვიდობის კოსტუმების გადაცმით ვერავის მოვატყუებთ. ამიტომ საწირო არ იყო ასეთი სახელების დარქმევა და ლაფში ამოსვრა,მათ ადგილას რომ ვყოფილიყავი და ვინმე თეატრის ხელმძღვანელი არ მომსვლოდა თვალში, პირდაპირ გავაგდებდი.



ეს იგივეა, ახლა სკოლიდან რომ უშვებენ ბავშვებს ისეთი მდგომარეობით, რომ ვერსად ვერ ისწავლის. ადრე ,,მგლის ბილეთი‘‘ ერქვა ამას. მგონი ყველაფერი ბრუნდება, რაც სტალინის და ბერიას დანერგილია. ნეოკომუნისტები არიან ჩვენს თვალწინ, უფრო ეშმაკები და უფრო პატარები; მარიონეტები, რომლებიც თამაშობენ თავიანთ პატარა ისტორიებს პატარა სცენაზე. პარლამენტშიც თოჯინების აქვთ გამართული, გამოდიან, ,,ჭკვიანურად‘‘ გამოდიან...

მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უარესი გველის....ახლა ორი გემი ერთმანეთისკენ მიდის და ერთმანეთს უნდა შეეჯახოს.

(რობერტ სტურუას წინასწარმეტყველების უნარი აქვს. სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ ზურაბ ჟვანია ხელოვანებს შეხვდა. საღამოდან დაბრუნებულმა რობერტ სტურუამ ჟვანიას გაზით გაგუდვის სცენა დახატა ფოტოშოპით.)

ივანიშვილი პრეზიდენტი თუ იქნება, იგი იქნება ნიორმალური პოლიტიკოსი, იმიტომ რომ არ ყვირის, ლაპარაკობს ნორმალურად, დუჟი არ მოდის, საღად აზროვნებს. მე მას ადრეც ვიცნობდი, მოსკოვში შევხვედრივარ, დაგვეხმარა იქ, უფულოდ რომ ვიყავით ჩასული. სხვათა შორის ბენდუქიძეც დაგვეხმარა და იცი რა გვითხრა, თუ რუსულად ითამაშებთ სპექტაკლს დაგეხმარებითო, იმედი მაქვს, იხუმრა ალბათ! მას საერთოდ თეატრი არ უყვარს და, მგონი, დაგვცინა! ასეთ რამეს არ იტყვის კაცი, რომელსაც უყვარს თეატრი, თავისი ქვეყანა!

რაც შეეხება ნაფტალინს და ქართულ ოცნებას; მე ვიყავი ქართული ოცნების დაფუძნებაზე; მე არ მიყურებია იმ გადაცემისთვის, მერე ნაცნობმა დამირეკა და მითხრა, ბატონო რობერტ, თქვენ არ ინერვიულოთ, ნაფტალინში ყველაზე ძვირფას ნივთებს დებენო. მე გამეცინა და გამახსენდა ცნობილი რეჟისორის ეს გამონათქვამი, ნამდვილად მაყრია ნაფტალინი, იმიტომ რომ გარშემო უამრავი ჩრჩილია და ვეომებიო. ჩრჩილს ხმლით ხომ ვერ შეებრძოლები, მას სპეციალური ქიმიური ნივთიერება სჭირდება.

ზემოთ ნახსენები ინციდენტის შემდეგ მეგობრებმა ლონდონში დამპატიჟეს. მთავაზობენ მომავალ წელს დავდგა სპექტაკლი, ამიტომ მთელი თეატრალური ლონდონი მაჩვენეს. შემომთავაზეს ,,ჰამლეტი‘‘ დავდგა, მაგრამ ეს სპექტაკლი 7-ჯერ მაქვს უკვე დადგმული და ტვინი ახალს ვერაფერს ხარშავს. შევთანხმდით, რომ ვიფიქრებ ამ თემაზე. შემდეგ ჩემმა ყოფილმა სტუდენტებმა დამპატიჟეს თურქეთში. ახლა რუსეთში მივდივარ.

ახლა აღმოვჩნდი კატასტროფის წინაშე, ჯამაგირი ხომ მომიხსნეს. მე, როგორც ყველა ხელოვნების მუშაკს, მიხდიდა ივანიშვილი, აღმოჩნდა, რომ ისიც მოიხსნა. არადა, ოჯახში 10 სული ვართ, არცერთი არ მუშაობს. როცა ტელევიზიით გვამცნეს, რომ ივანიშვილს ქველმოქმედებას უკრძალავენ, ჩემი ცოლი შეშფოთდა. გუშინ შეშინებულმა მკითხა, შენც უმუშევარი დარჩი და ივანიშვილის მიერ დანიშნული ჰონორარიც თუ წაგვართვეს, რა გვეშველებაო. რა თქმა უნდა, ოჯახს მშიერს არ დავტოვებ. საზღვარგარეთიდან ბევრი შემოთავაზება მაქვს და უმუშვარი არ დავრჩები. მირჩევნია ქვეყნიდან წავიდე, დავდგა რუსეთში სპექტაკლები, იქ კარგად მიხდიან, ვიმუშაო და როგორც ბევრმა ქართველმა, ეს ფული ჩემს ქვეყანაში გამოვაგზავნო, ვიდრე აქ დავრჩე და ხელგაწვდილმა ვიმათხოვრო.

სასაცილოა უკვე ის ფაქტი, რომ კარტა, სადაც დარიცხულია ივანიშვილის თანხა, არც ერთმა ბანკმა არ გაატარა. მაშინ დამიწერონ თვითონ რამდენი ფული აქვთ რეალურად, ან საიდან აქვთ ნაშოვნი. რა თქმა უნდა, არ დამიწერენ, ამიტომ ეს არის ძალიან იაფფასიანი ინტრიგები.

...მე ბედნიერი ვარ, რომ თეატრიდან გამაგდო მთავრობამ და არა მსახიობებმა. მე ვერ ავიღებდი იმხელა ცოდვას საკუთარ თავზე, რომ მსახიობები წამეყვანა თეატრიდან. ჩემი ურთიერთობა რუსთაველის თეატრთან დამთავრდა. შეიძლება შემდეგ ჩამოვიდე და იქ დავდგა რაიმე როდესმე, მაგრამ ეს უკვე ის რუსთაველის თეატრი არ იქნება. იქნება სხვა.

მირჩევნია, ახმეტელივით დამხვრიტონ, ვიდრე რუსთაველის თეატრის განადგურებას ვუყურო. მე ვზივარ ჩემთვის და ვხედავ, რომ რუსთაველის თეატრი ჭკნება და უკან მიდის, იმიტომ კი არა, რომ თეატრიდან წავედი, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლებას სურს თეატრის დასუსტება, მათ არ სჭირდებათ თეატრი და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ხელისუფლებას თეატრის სცენიდან ნათქვამი იდეის, სიმართლის ეშინია.

**გიორგი ვოლსკი:** ადამიანებმა უნდა გააკეთონ არჩევანი; ან უჭერენ მხარს საქართველოს გადარჩენას, რადგან ქვეყანა უფსკრულის პირას არის მიმდგარი, რაც შეიძლება დეფოლტით ანუ ეკონომიკური კოლაფსით დამთავრდეს და ეს აუცილებლად იქონიებს გავლენას პოლიტიკაზე. ან მეორე საკითხია, ჩვენ ყველას ერთად ძალგვიძს გარკვეული გავლენა ვიქონიოთ შექმნილ ვითარებაზე.

საიდუმლო არავისთვისაა, რომ მე ,,ქართული ოცნების‘‘ წევრი ვარ, აქაც პრაგმატული გათვლა შეგვიძლია ვიგულისხმოთ, მე აქ ვხედავ რეალურ გამოსავალს და გზა და იმიტომაც ვარ. მე ვერ ვხედავ ხელისუფლების პოზიციას, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს გადარჩენისკენ. როგორ შეიძლება ტაშ-ფანდური იყოს გამართული გარკვეული ობიექტების გახსნაზე, ლენტების გაჭრაზე, ლაზიკის დაარსებასა თუ ჰიბრიდული სიმინდის ჩამოტანაზე და ადამიანებს არ უთხრა სიმართლე, თუ რა დღეშია ქვეყანა. მაგრამ ისე აქვთ შეტოპილი ამ ჯგუფს, რომ საფიქრალად ერთადერთი თემა დარჩათ, როგორმე დარჩნენ ხელისუფლებაში. ამიტომ ნუ გგონიათ, გასროლილი ფრაზა, რომ ქვეყანას გაუმჯობესებული მიშა უშველის.



სააკაშვილს ,,რესპუბლიკურ პარტიაში‘‘ გაერთიანებული ინტელექტუალებისა და გამოცდილი პოლიტიკოსების პანიკურად ეშინია, ამიტომ ,,ანტირესპუბლიკური‘‘ პროპაგანდის მანქანა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად მუშაობს. რა თქმა უნდა, არის აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს შორის, მაგრამ ეს ხალხის გადასაწყვეტი იქნება ვის დაუჭიროს მხარი. საკამათო საკითხები იმედია გადაინაცვლებს პარლამენტში; ამასთან ბატონი ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გააქტიურდება ხალხთან კონსულტაციები და რეფერენდუმის საკითხი. რესპუბლიკელებიც, თავისუფალი დემოკრატებიც და ივანიშვილის გუნდის სხვა წევრებიც ერთიანნი არიან იმ საკლითხში, რომ ქვეყანას ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური კრიზისიდან გამოყვანა სჭირდება და მთელი ინტელექტუალური რესურსები აქეთ იქნება მიმართული. ამიტომ ხალხმა რელური ძალა უნდა ამოარჩიოს და ხმა მისცეს.



**ირაკლი ალასანია:** მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ქართველ საზოგადოებას, რომ 2012 წელი გადამწყვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ რწმენას, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკამ გატეხა. ქვეყანაში თითქმის ყოველი მე-10 მოქალაქე პრობაციონერია და სასჯელს იხდიან დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩაუდენიათ. ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ თავისუფლებას და ავაშენებთ იმ თავისუფალ საქართველოს, რომელსაც აგერ უკვე ოცი წელია ველოდებით.

რაც შეეხება იმ კანონს, რომელსაც მე ''შეშინებული ხელისუფლების პათოლოგიურ გადაწყვეტილებას'' ვუწოდებ, ცვლილებები არა მხოლოდ კონსტიტუციას, არამედ საღ აზრსაც ეწინააღმდეგება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ''ნაციონალურ მოძრაობას'' მხოლოდ საკუთარი ოცნებების ასრულება უნდა, ჩვენ კი გვინდა, ყველა ქართველ მოქალაქეს ქართული ოცნება აუხდეს. ვფიქრობ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები გახდება ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებების დასაბამი. ეს არის აშკარად დამფრთხალი ხელისუფალის ნაბიჯები, პათოლოგიური გადაწყვეტილებები, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ხალხის ნებას. ეს არის კიდევ ერთი აშკარად ღია მცდელობა პოლიტიკური სივრცის ჩაძირვისა და სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ოცნების ასრულებაზე ფიქრი. მათ დაინახეს, რომ კონკურენტულ არჩევნებში მათი დამარცხება გარდაუვალია. რუსეთში მიმდინარე და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ხელისუფლებას არ მიეცემა არჩევნებში გაყალბების საშუალება, რითაც აქამდე ინარჩუნებდა ძალაუფლებას.

ჩვენი პარტიის ყველა ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი იქნება თებერვალში, კანონით გათვალისწინებულ დროს. საინტერესოა, როგორ წარადგენს იგივე დოკუმენტს ''ნაციონალური მოძრაობა'' და სრულად გახსნის თუ არა იმ თანხებს, რომლებიც გადმორიცხული იყო სხვადასხვა ფინანსური კორპორაციებიდან, მათ შორის რუსეთის მიერ კონტროლირებადი ფინანსური კორპორაციებიდან.

,,ნაციონალურ მოძრაობაში'' დამარცხების რეალური საფრთხე დაინახეს და ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების'' შესახებ კანონში ,,ლოგიკას მოკლებული'' ცვლილებებიც ამის შედეგია. საერთაშორისო თანამეგობრობა ამ ცვლილებებს საკუთარ შეფასებას მისცემს.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# dadasturebuli, utyuari faqtebi sabraldebo daskvnisTvis



*ვესაუბრებით ცნობილ პუბლიცისტს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, გაზეთ „თანადგომა"-ს რედაქტორ-გამომცემელს, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელს* **ანზორ ბაბუხადიას.** *იგი ავტორია ქართული ენის გადარჩენისადმი მიძღვნილი გახმაურებული სტატიებისა: "ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ (გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 28. 09. 07), „ენა გადავარჩინოთ ქართული ენა" ("საერთო გაზეთი", 08.0409), "ვაითუ, ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს..." (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 14.01.2010), "გადავარჩინოთ ქართველები"! (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 19. 10. 10), "ქართული ენის გადარჩენა ხელისუფლების სერიოზული საფიქრალი უნდა იყოს"! (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 14. 04. 11) და სხვ.*

**— ბატონო ანზორ, პირდაპირ თუ ვიტყვით, თქვენს სტატიებში ფარდა აქვს ახდილი ხელისუფლების ყველა შტოს უმოქმედობას, დაწყებული პარლამენტიდან, დამთავრებული აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკამდე. შეიძლება თამამად ითქვას, დანაშაულებრივ წაყრუებას და პრობლემის ფეხზე დაკიდების უტყუარ ფაქტებს.**

— დიახ, დავიწყებ იმით, რომ აღნიშნული პუბლიკაციები, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ წერილებთან შედარებით, რომლებსაც სისტემატიურად და მაღალ პროფესიულ დონეზე აქვეყნებენ ქართული ენის თვალსაჩინო, თავგადაკლული სპეციალისტები. ვინმე რომ არ გამოგვრჩეს, შეგნებულად არავის გვარს არ ვასახელებ. ახლა კი გადავალ მთავარ სათქმელზე. პრაქტიკულად, ჩემი სათქმელი თქვენ უკვე ბრძანეთ, მაგრამ შევეცდები თქვენი პოპულარული გაზეთის მკითხველი უფრო დეტალურად ჩავაყენოთ საქმის კურსში. აღნიშნულ სტატიებში და ჩემს ნაშრომთა ციკლის "შეცდომა თუ დანაშაული?!"-ის მე-5 ნაწილში, პრაქტიკულად, ქართული ენის გადარჩენის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე და მათი გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზეა საუბარი, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში, არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადგმულა საქმის სასიკეთოდ.

**— როგორც თქვენი პუბლიკაციებიდან ჩანს, 2010 წლის 16 ოქტომბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბეთ „დედა ენის საზოგადოების" კომისიის წევრები და ერთხმად მიიღეთ „დედაენის დაცვის მანიფესტი", სადაც წერია:**

**„გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქსურმა სიმახინჯეებმაც. ენა ერის ბურჯია და შველას საჭიროებს.**

**დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგად ეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.**

**მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფილოლოგები), რომლებიც შეიმუშავებენ ქართული ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით ლექსიკისა თუ პრესის მეშვეობით სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება — გავრცელების გზით.**

**მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცშესხმას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება — გადამზადების მიზნით.**

**სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ხანგრძლივვადიანი კომპლექსური გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოვფხიზლდეთ და დავიცვათ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.**

**გადავარჩინოთ ენა და ენა გადაგვარჩენს ჩვენ".**

— კი ბატონო, მანიფესტი მივიღეთ, მაგრამ რად გინდა, "კრება დარჩა მხიარული". უფრო მეტსაც გეტყვით. ჩემს გარდა, "დედაენის კომისიის" წევრები ბრძანდებიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც არიან (ჩამოვთვლი ტიტულების გარეშე, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდი) ბატონები: ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, რისმარგ გორდეზიანი, ვახტანგ როდონაია, გია ნიჟარაძე, მანანა დუმბაძე, ლევან ჩიქვანაია, თამაზ ებანოიძე, ლევან ღვინჯილია, მანანა გიგინეიშვილი და სხვ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კომისიის ასეთი პერსონალური შემადგენლობა "მთას ძვრას უზამდა", მაგრამ მოვტყუვდი. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შევკრებილვართ, არ გვიმსჯელია, ჩვენი წინადადებები და პროგრამები არ შეგვიჯერებია...

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ კომისიის ცალკეული წევრები დაკავებული არიან პირადი პრობლემებით და ამ "უბრალო" საქმისათვის ვერ მოიცალეს. დიახ, ვერ მოიცალეს! ამ ხნის განმავლობაში, ზოგიერთი, უმაღლესი დონის სახელმწიფო ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით ან თბილი კაბინეტის შენარჩუნებაზე ზრუნვით იყო დაკავებული; ზოგიერთი, ხელისუფლებას თვალში არ ეჩხირება თავიანთი შვილებისათვის მყუდრო გარემოს შენარჩუნების მიზეზით; ზოგი სერიოზული საქმეებით დაკავებულობის გამო ვერ იცლის ამ "უმადური" საქმისათვის; ზოგი კი, ჩემი არ იყოს, ხლაფორთობს და იქნევს დაჩლუნგებულ და ყავლგასულ ხმალს და ა.შ. შედეგს კი ყველა ვხედავთ.

2011 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით ღია წერილი გავუგზავნე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატ. დავით ბაქრაძეს, რომელშიც ამ პრობლემის მთელ ისტორიას მოვუყარე თავი. ჩამოვაყალიბე კონკრეტული წინადადებები, რომლებიც ითხოვენ ოპერატიულ გადაწყვეტას და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფუჭი გამოდგა ჩვენი მცდელობა.

**— რაიმე სახის რეაგირება მოჰყვა ამ ღია წერილს?**

— საქმეც ეს არის. არავითარი რეაგირება, არავითარი დაინტერესება, არავითარი უხერხულობის გრძნობა. უფრო მეტიც, ჩემი წერილი პარლამენტის თავმჯდომარემ ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე გადაუმისამართა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს. ამ უკანასკნელმა ეს წერილი ასევე არაფრისმთქმელი რეზოლუციით დააწერა თავის მოადგილეს ქალბატონ ხათუნა ოჩიაურს. დიდი მცდელობის შედეგად, როგორც იქნა ოფიციალურ მიღებაზე ვეახლე მას და კარგა ხანს ვისაუბრეთ აღნიშნული პრობლემის თაობაზე. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ხათუნა ოჩიაური დამპირდა, რომ გარკვეულ ღონისძიებებს გაატარებდა და შედეგს მაცნობებდა. დაპირება არარეალური რომ იყო, თავიდანვე ვიგრძენი, რადგან ყოველმხრივ მიმტკიცებდა, ქვეყანას და პარლამენტს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი და ამისათვის, ალბათ, ვერ მოვიცლითო. ისე აგიხდათ ყოველივე კარგი. არც მოიცალეს და დღემდე არც არანაირი პასუხი არ გამოუგზავნიათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს შეხსენების წერილიც გავუგზავნე, რომელიც ასე დავამთავრე: **„ბატონო დავით, რა ხდება? გაებუტეთ ქართულ ენას თუ უბრალოდ ვერ იცლით მისთვის?!"** თითქმის წელიწადი გავიდა და არც ამ წერილზე გამოუგზავნიათ პასუხი.

**— ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ გკითხავთ. მაინც რას ითხოვდით ასეთ უსაშველოს?**

— დროულად შევატყვე, რომ ჩვენი ხელისუფლება დედაენის გადარჩენის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს არ მიხედავდა და ამიტომ იძულებული გავხდი, ბოლოს და ბოლოს ჩვენი მოთხოვნა მინიმუმამდე შემემცირებინა და მხოლოდ ასეთი ფორმით ჩამომეყალიბებინა:

"პრობლემა კომპლექსურია და ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ მოგვარდება. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრის პირველი ეტაპის კონკრეტულ წინადადებას: საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სათანადო ჩასწორება კანონში "რეკლამის შესახებ", რომელშიც ერთმნიშვნელოვნად, გარკვევით ჩაიწერება, რომ ვაჭრობისა და მომსახურების ნებისმიერ ობიექტს, აგრეთვე წარმოება — დაწესებულებებს, საკუთრების ფორმების მიუხედავად, სარეკლამო აბრები, წარწერები, სახელწოდებები და მათი დანიშნულების გამომხატველი ნებისმიერი მინიშნება, როგორც წესი, გაუკეთდეს ქართულ ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, შედარებით მცირე ზომებით, რომელიმე უცხო ენაზე.

სასურველია, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის კომიტე-



ტებმა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად მოამზადონ სათანადო კანონპროექტი და არსებული რეგლამენტის შესაბამისად, მისცენ მას მსვლელობა".

**— თქვენი მოთხოვნა რეაგირების გარეშე რომ დატოვეს, დღევანდელი ხელისუფლების გადამკიდე, გასაკვირი არ არის, მაგრამ გვეჩვენება, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება, ხშირად არღვევს კანონს. ამას სხვა თუ არაფერი, განუკითხაობა ქვია. ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? თუ იზიარებთ ჩვენს პოზიციას, მაშინ იქნება კონკრეტული ბრალდებაც ჩამოაყალიბოთ.**

— საყოველთაოდ მიღებული წესია, რომ კანონს, ბრძანებას, განკარგულებას ვინც გამოსცემს, ჯეროვანი კონტროლიც მან უნდა დააწესოს მის შესრულებაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", არასათანადო ყურადღების გამო, პრაქტიკულად, არ სრულდება. თავს უფლებას ვაძლევ და შეგახსენებთ ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, რომელთა შესრულებაზე სათანადო კონტროლის არარსებობის გამო, რთულად გამოსასწორებელი პრობლემები შექმნა მშობლიურ ენას. აი, ზოგიერთი მათგანიც:

„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე" (მუხლი 4. პ. 2)

„უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში)... არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას" (მუხლი 4, პ. 3);

„ორენოვანი მანათობელი წარწერების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა "ქართულიც და უცხოურიც" იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი "(მუხლი 4, პ. 4);

დამეთანხმებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პუნქტი საქართველოში ძალიან ხშირად უხეშადაა დარღვეული;

კანონის მე-4 თავი (პუნქტი 17), რომელიც ეძღვნება სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში, ნათლადაა ჩაწერილი, რომ: "ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ახორციელებს... რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს; იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შესრულებასა და კონტრრეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს, კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნებით".

უფრო მეტიც, განხილული კანონის მე-6 მუხლით, რომელიც გარე რეკლამის რეგულირებას ეხება, მკაფიოდაა ჩაწერილი, რომ "ამ მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები". არ მესმის, რა უნდა ჩაეწერა კანონპროექტის ავტორს კიდევ, რომ ზემოაღნიშნული კანონის ეს პუნქტები მკვდრადშობილი არ ყოფილიყო?!

პრობლემისადმი კანონის ამგვარი დამოკიდებულების პირობებში, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის არც ერთი ორგანოს წლიურ ანგარიშში არ აღმოჩნდა არც ერთი ფაქტი, რომ სათანადოდ აკონტროლებენ და იცავენ ზემოაღნიშნული კანონის ძირითად მოთხოვნებს!

**—ჩემი აზრით, იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს ამ წერილში ჩამოთვლილი საქართველოს კანონის დამრღვევთა მოქმედებებს და უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.**

— ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირთათვის დამატებით, კონკრეტული ფაქტების მიწოდებაზე ვალდებულებას ჩვენს თავზე ვიღებთ.

**ანა ვადაჭკორია**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

საქართველოს მიზანმიმართული სათავდაცვო, ორგანიზაციული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, მეცნიერულ-საგანმანათლებლო, სულიერი და ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკაში დღეს ყველაზე თვალსაჩინოა **დემოგრაფიული** მიმართულების გააქტიურება. ერთის მხრივ, ადგილი აქვს მკვიდრი მოსახლეობის იმ დონეზე გაღატაკებას, რომ საქართველოს გაუკაცრიელება ხდება ემიგრაციის გზით: ორი ათწლეულია, რაც არ იკლებს საქართველოდან ყველაზე უფრო აქტიური, აღწარმოების მაღალი უნარის მქონე მოქალაქეების გადენა. ამ ფონზე ორგანიზებულად ხორციელდება და უკვე პრაქტიკულად, მასობრივ ხასიათს იძენს უცხოეთიდან საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა **შემოსახლება.** სახეზეა დემოგრაფიული ვითარების (ხელოვნურად) შეცვლის მიზანმიმართული პოლიტიკა. ამ საქმეში ბევრი უცხო ძალის ინტერესთა თანხვედრა ხდება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე. პირველ ყოვლისა, ჩამომსვლელები ხელში იგდებენ **სოფლის მეურნეობისა** და ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ **ტყის** მეტად **ნაყოფიერ სავარგულებს.** მეორე. ამით საქართველოს გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები — და პირველ რიგში, რუსეთი — ქვეყანა „საქართველოს“ ნაცვლად იღებენ დემოგრაფიულად ეკლექტურ (ჭრელ) და პოლიტიკურად განეიტრალებულ გეოგრაფიულ წარმონაქმს, რომელსაც აღარ ექნება ეროვნული ინტერესები და მისი სახელმწიფოებრიობა მთლიანად იქნება დამოკიდებული საგარეო ფაქტორზე. ამ ორი ფაქტორის თანამოქმედება ორი-სამი ათწლედის მანძილზე საკმარისია, რათა საქართველოს ისტორია **დამთავრდეს.** საქართველოს ამჟამინდელი მმართველი ძალა, რომელსაც უკვე ერისთვის უამრავი შეცდომა თუ გადაცდომა აქვს ჩადენილი, რის გამოც ხელისუფლებიდან წასვლა მისთვის შესაძლოა სავალალო შედეგით დასრულდეს. ამ კონტექსტში მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქართველი ერის ნებას, რომლის დათრგუნვაც სულ უფრო ძნელი გახდება (ხელისუფლების ხელთ რესურსების არქონის გამო) ახლო მომავალში. აღნიშნულის გამო ხელისუფლებაში

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ხანგრძლივად დარჩენის ერთადერთ საშუალებად (გზად) საქართველოში დემოგრაფიული ვითარების იმგვარად შეცვლა დღევანდელ მმართველთათვის რჩება, რომ შეიქმნას საზოგადოება მოზაიკური პრინციპით, რომლის მართვა უფრო ადვილი იქნება.

ეს გეგმები უნიათოდ ინილბება ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით (რომელსაც რუსეთის ერთერთი პირდაპირი რეზიდენტი საქართველოში ბენდუქიძე ახმოვანებს) და იმ მოსაზრებით, რომ შემოსულნი, როგორც ზოგადად მაღალი შრომითი კულტურის და, კონკრეტულად, ფერმერული მეურნეობის გამოცდილების მქონენი, საქართველოს სოფლის მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტია ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოს მოსახლეობის **შეცვლაში** — ქართველების განდევნაში ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით და ახალი, უცხო მოსახლეობის შემოყვანაში. რომელიც, როგორც აღვნიშნეთ,

ა) სავსებით გულგრილი იქნება




# kidev erTxel uqarTvelebo saqarTveloze

საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი, მაშასადამე, — ადვილად მიმართავადი საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ, და

ბ) უეჭველად ხმის მიმცემი იქნება სააკაშვილის პოლიტიკური გუნდისთვის.

უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, აღნიშნული ღონისძიება ერთერთი მოსამზადებელი ზომაა ქართველი მოსახლეობის მასობრივი განდევნისა ყველა საწარმოდან, რომელთა საკუთრება იქნება უცხოელების ხელში.

ჩვენი გათვლით, ეს უკანასკნელი ნაბიჯი დაგეგმილია 2013 წლის შემდეგ, როცა უკვე მთელი სიცხადით დადგება საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალების გადახდის (მომსახურების) აუცილებლობა მისგან გამომდინარე უმძიმესი ფინანსური შედეგებით. ამ დროისთვის მმართველ გუნდს (მისი აზრით) მოგებული ექნება ორი საეტაპო არჩევნები.

ამავე პერიოდს ემთხვევა პრეზიდენტის მიერ დაანონსებული ქალაქ ლაზიკის აშენების გეგმაც. სამწუხაროდ, არაშორსმჭვრეტელმა „ოპოზიციამ“ — რიგმა „ოპოზიციურმა“ პარტიებმა — საცინრად აიგდეს ეს იდეა და ამით ნებსით თუ უნებლიეთ დაასხეს წყალი სააკაშვილის წისქვილზე, რომელსაც ამ პროექტის ჯერჯერობით მხოლოდ დაანონსება ესაჭიროებოდა, — ალბათ, უფრო დაინტერესებული საზღვარგარეთელი დამფინანსებლების ყურთასმენისთვის (ცხადია, რომ ეს მათთვის მიცემული ერთგვარი გარანტიაა). არადა, ეს გეგმა შესაძლოა, რეალობად იქცეს და იგი საქართველოსთვის მომაკვდინებელ საფრთხედ განვითარდეს. ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ამ პროექტის დათქმულ ვადებში განხორციელება, რომელიც მინიმუმ 10 მლრდ აშშ დოლარი ეღირება? საქართველოს არც ეს თანხა გააჩნია და არც დაანონსებული დემოგრაფიული რესურსი 0,5 მილიონი ადამიანის ოდენობით. თუ მთაში შემორჩენილთა ჩამოსახლებაა გამიზნული, მაშინ ხელისუფლებას შევახსენებთ, რომ მთა და ბარი ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილებია. მათი გათიშვის ექსპერიმენტის (რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო) შედეგები კარგადაა ცნობილი. მთის მკვიდრი მოსახლეობის არანებაყოფლობითმა ჩამოსახლებამ, ფაქტობრივად, დააცარიელა ფშავის, ხევსურეთის, თუშეთის, ხევის. რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, მესხეთის და სხვა მხარეების 1000-მდე სოფელი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს არ გააჩნია ადამიანური რესურსი ახალ ქალაქებსა თუ რაიონებში განსახლებისა და იქ მათი რეალური დასაქმებისთვის.

დღეს მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც მსგავსი წამოწყებისთვის სამი უმთავრესი პირობა გააჩნია, — ფინანსები, დემოგრაფიული რესურსი და დაინტერესება. ამის დასტურად მოვიტანთ ამას წინათ ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნებულ ინფორმაციას: ჩინეთი ჩინელი ბიზნესმენების ხელით 2011 წელს აპირებდა ისლანდიაში (!!!) შეეძინა 300 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ეს გარიგება ჩაიშალა და ალბათ, არა მარტო ისლანდიის საზოგადოების, ან მთავრობის ძალისხმევით. ცხადია, ეს საჭირო იყო არქტიკაზე გასასვლელი პლაცდარმის შექმნისთვის. მსგავსი აქტივობა ამ ქვეყანას ესაჭიროება ზესახელმწიფოს სტატუსიდან მსოფლიოს მეორე პოლუსის რანგში ასამაღლებლად, რასაც ის უახლოს 10 წელიწადში გეგმავს. საქართველო კი ბრწყინვალე პლაცდარმია ევროპის, რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის კონტროლისთვის, ამდენად, ეჭვი არაა, რომ ლაზიკის აშენება აქ საბოლოოდ შეცვლის დემოგრაფიულ ვითარებას და ავტოქტონურ მოსახლეობას ეროვნულ უმცირესობად აქცევს.

ხელისუფლების აღნიშნული ზრახვები ჩვენ მიგვაჩნია **პრინციპულად არასწორად,** იმიტომაც, რომ რადგან მიმდინარეობს:

— ქართული წარმოშობის კაპიტალზე განხორციელებული მიზანმიმართული ტერორი და ამ ფონზე უცხოური საეჭვო ინვესტიციებისთვის ხელის შეწყობა;

— ხელისუფლების მიერ ღია ბაზარზე (რომელზეც დღეს არც ერთი კონკურენტუნარიანი საკუთარი მოქალაქე არ არის), თავისი მოსახლეობის ძირითადი საარსებო ბაზის — მიწის გატანა, მაშასადამე, ხელისუფლება თავისი ქვეყნის მომავალ თაობებს შეგნებულად ტოვებს დედამიწაზე, პრაქტიკულად, **საკუთარი მიწის გარეშე;**

— მონოპოლისტური სტრუქტურებით გამოწვეული მაღალი ფასები, მათ შორის, სურსათსა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე (პირველ ყოვლისა, — საწვავზე, სასუქზე, პესტიციდზე); საკრედიტო რესურსების უმძაფრესი დეფიციტი, რაც იწვევს მათი ღირებულების იმდენად გაზრდას, რომ ის სრულიად ხელმიუწვდომელი ხდება არა მარტო სოფლის მეურნეობაში მოქმედი სუბიექტისთვის, არამედ ნებისმიერი მეწარმისათვის;

— გლეხსა და სამომხმარებლო ბაზარს შორის მტაცებლური სტრუქტურების: ლოჯისტიკური ცენტრების, პირუტყვის სასაკლაოების და ა.შ. — ძალისმიერი ჩანერგვა, რომლებიც **დარგში შექმნილი საერთო შემოსავლის უდიდეს ნაწილს ითვისებენ;**

ცალკე დიდი ფაქტორია აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის და კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმის, პოლიტიკის თუ ხედვის არქონა და ამ საქმის პერმანენტულად მინდობა ისეთი კადრებისთვის, რომელთაც „განათლება და გამოცდილება“ აძლევს იმის საშუალებას, რომ „შექმნან“ ბაყაყების, ნიანგების, ლოკოკინების და „მამალი ძროხების“ მოშენების, ზეთისხილის და ბროწეულის საყოველთაო გაშენების, მასობრივი სიმინდიზაციის, წვეთოვანი რწყვის პროექტები, რის შედეგადაც, ამ ბავშვური გართობების მსგავსი ჭირვეულობის ფონზე, პარტახდება საქართველო, უბედურდება ათასობით გლეხი, სამშობლოდან გარბის ერის საუკეთესო ნაწილი.

საქართველოს მოსახლეობა უკვე მრავალი წელია, რაც მასობრივი შიმშილის ზღვარზე იმყოფება (რასაც ადასტურებს უცხოელი ექსპერტების მიერ წარმოებული კვლევები, რომელთა მითითება შეგვიძლია), რის გამოც მას არ შეუძლია იმ ძალისხმევის გაღება, რაც სჭირდება სახელმწიფო პოლიტიკის კორექციას ხელისუფლებაზე ზეწოლის სახით. ამგვარად, იგი ვერ იქნება სრულფასოვნად პასუხისმგებელი მისი ხელისუფლების კაპიტულანტურ, კორუფციულ და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ამ და სხვა ქმედებებზე.

ხელისუფლების დივერსიულ მიზანზე არაპირდაპირ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულის მსგავსი გადაწყვეტილებები, თავისი მძიმე შედეგების მიუხედავად, იგეგმება მოსახლეობის გამოკითხვის (პლებისციტის) გარეშე, თუმცა იგივე ხელისუფლება მზადაა რეფერენდუმი ჩაატაროს ისეთ სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის საკითხზე, როგორიცაა. . . საწარმოო და კომერციულ საქმიანობაზე დაწესებული გადასახადების მომატება.

ხელისუფლების მიერ განზრახული ამ ქმედების განხორციელება დაუშვებელია. იგი აღკვეთილ უნდა იქნეს, რისთვისაც საჭიროდ ვრაცხთ შემდეგს:

1. სასწრაფოდ შეიქმნას იურიდიული საფუძველი ზემოაღნიშნულ განზრახულობათა აღკვეთის მიზნით (არდაშვებისა და მისი შედეგების მომავალში გაუქმებისათვის). უნდა შეგროვდეს და გაცხადდეს დიდი უმრავლესობის ხელმოწერა, რომელიც არ აძლევს ხელისუფლებას განუკითხავი იმიგრაციის დაშვების, ლაზიკის მსგავსი პროექტების განხორციელების და საარსებოდ მნიშვნელოვანი ობიექტების (მათ შორის — მიწის) გასხვისების მანდატს საქართველოში მასობრივი შემოსახლების მსურველებზე და **იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოში არიან დაფუძნებულნი, მაგრამ თავის შემადგენლობაში ნებისმიერი მასშტაბით არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირები ჰყავთ.**

2. ფართოდ უნდა გაცხადდეს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის **კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის** გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება რეალურად არჩეული ხელისუფლების მოსვლისთანავე. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი, გაფრთხილების ფორმით, უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება **ნაქურდალის ყიდვის გამო** აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

3. ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს ხსენებულ ანტიეროვნულ ზრახვაზე ხელის აღება პოლიტიკური ზეწოლის **პრაქტიკულად ყველა შესაძლებელი ხერხით.**

მზად ვართ მადლიერებით მივიღოთ საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიის, მოძრაობისა და საზოგადოების თანადგომა ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი ზრახვის ბლოკირებაში.

**ნოდარ ნათაძე,**
**მამუკა გიორგაძე,**
**პაატა კოლუაშვილი,**
**ბადრი რამიშვილი**

მოგზაურობა სამშობლოში





კატაულას „წმინდა გიორგი“ და მისი სტელის ფრაგმენტი. VIII საუკუნე.

# d r o-d r o z e uxnesi

## კავთის ხეობა

კავთისხევი ორჯერ აქვს ნახსენები XVIII საუკუნის მემატიანეს ბერი ეგნატაშვილს, მაგრამ მის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ დაკონკრეტებული არაა მთელ ხევზეა საუბარი თუ ერთ მცირე დაბა-სოფელზე. ამიტომ სრული სიმართლე უნდა იყოს, როცა გიორგი შატბერაშვილი ამბობს – მთელი ხევის სახელი შემდგომ ერთ სოფელზე გადმოვიდაო. თითქოს, სიმართლე უნდა იყოს ის გადმოცემაც, რომ ადრე ამ დაბას (დაბა ადრე სოფელს ერქვა), შავსოფლად მოიხსენიებდნენ.

არის იმის საბუთიც, რომ ლეკთა თარეშისაგან ილაჯწართმეული კავთისხეველების ერთი ნაწილი ერეკლე მეორემ კახეთის დაცლილ სოფლებში ნაფარეულში, კურდღელაურში და კაკაბეთში დაასახლა. ამ ცნობას კიდევ უფრო სანდოს ხდის ის ფაქტი, რომ კაკაბეთში, კახეთის ნებისმიერი სოფლისგან განსხვავებით, კავთობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ ბოლო დრომდე.

რაკი სოფელში ჩამომავალ მდინარეს გუდალეთიდან მოვსდიეთ და თვალადიც ვნახეთ, თავდაპირველად კავთისხევის იმ უბანში შევჩერდით, რომელსაც ხვედრელიანი ჰქვია. უბნის სახელწოდება უთუოდ ხვედრელიძეებიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ამჟამად თითქმის მთლიანად ნაცვლიშვილები ცხოვრობენ. თითქმისთქო, იმიტომ ვამბობ, რომ 2002 წელს აქ თბილისიდან საცხოვრებლად ამოსული ერთი სანდომიანი, ხანდაზმული ქალბატონი თინათინ კოპაძე გავიცანი. ამ ქალბატონს უბნის თავში, მცირე ბორცვზე მდგარი წმ. ნიკოლოზის ეკლესია აღუდგენია და დღენიადაგ მზრუნველობას არ აკლებს. ეკლესია გვიანი შუასაუკუნეების ძეგლია და სასაფლაოს გადმოცქერის, ნაგებია დიდ-დიდი და არასწორი მართკუთხა ფორმის პირმოსწორებული ლოდებით. საყდარი გვიან ხანებში აგურითაც შეუკეთებიათ. ეს მცირე საყდარი (6X4, 5მ) ე.წ. ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშია.

გვიანდელ შუასაუკუნეებს განეკუთვნება კავთისხევისა და თვალადის საზღვარზე, შაყულაანთ უბანში მდგარი კავთის ღვთისმშობლის მცირე დარბაზული ეკლესია და იქვე, ხუთიოდ მეტრში აშენებული „წმ. გიორგი“ (XIX ს). ორივე ეკლესია გასული საუკუნის მიწურულს კავთისხევს შემომატებულმა ჩიგოგიძეების ოჯახმა აღადგინა. გარდა იმისა, რომ ეკლესიები სასაფლაოზე დგას და მრევლი არ აკლია, ისინი სხვა მხრივაც პირველობენ სოფელში. რაკი თავკავთა აქედან შორ და ძნელად მისასვლელ ადგილზეა, კავთობის დღესასწაულს ძირითადად აქ აღნიშნავს სოფელი და აქაურ „წმინდა გიორგისაც“ ამიტომ შეარქვეს თავკავთის წმინდა გიორგის „მისალოცი“. ამ დღეს – აღდგომიდან მე-8 კვირადღეს წმ. გიორგის და ღვთისმშობლის ეკლესიებში წირვა და ღვთისმსახურება მიმდინარეობს, სახლებში კი ერისმსახურება – როგორი შეძლებისაც არ უნდა იყოს ოჯახი, სადღესასწაულო სუფრა ყველგან იშლება. ამ დროს კავთისხევში ყოფნას არაფერი სჯობს: ყველგან ლხინი, ურთიერთმოკითხვა, სიყვარული და სასოებაა.







კავთისხევის და იდლეთის ეკლესიები VI-IX-XV სს.

შაყულაანთ უბნიდან დასავლეთით არის თხინვალიანთ უბანი. სადაც წმინდა გიორგის კიდევ ორი საყდარი დგას გვერდიგვერდ. ერთი მათგანი, უფრო დიდი (20,9X8,6 მ) და კარგად შემონახული, წარწერის თანახმად, 1886 წელს აუგია ოსტატ ჯაბადარს. მის გვერდით არსებული ადრეული შუასაუკუნეების „ლომისის წმინდა გიორგი“, ბუნებრივია ოსტატის სახელს ვერ დაგვიტოვებდა, რადგან სწორედ ის მხარე აქვს მორღვეული, რომელზეც ამოკვეთავდნენ ხოლმე უმთავრესად წარწერას ქტიტორი თუ ხუროთმოძღვარი. შეიძლება პარადოქსიც იყოს, მაგრამ ტაძრის ხიბლი უმთავრესად ეს მორღვეული სამხრეთის ფასადია. აქ ორი გახსნილი თაღი ერთი ფირუზისფერი, განიერი სვეტიდან გადადის.

ამაზე უფრო ძველი ეკლესიის ნახვა შეიძლება ხევგალმა, მონასელიანთ უბანში. უბანი, თითქოს, პატარაა, მაგრამ მისი ტაძარი – ერთობ დიდი და საყურადღებო. მონასელიძეების საგვარეულო სასაფლაოზე მდგარი ეს ძეგლი ახლახან ისევ და ისევ ჩიგოგიძეთა ოჯახს აღუდგენია. 2002 წელს, როცა ეს სამეკლესიანი ბაზილიკა პირველად ვნახე, ისე იყო დანგრეული, რომ ზედ არ შეეხედებოდა, ახლა კი პირვანდელი ფორმა აქვს დაბრუნებული. შემონახულია შედარებით გვიანდელი ხანის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები, თუმცა რომელი კონკრეტული პერიოდია ეს „გვიანდელი ხანა“ ძნელი დასადგენია – მხატვრობიდან მარტოოდენ გაურკვეველი წითელი ლაქები მოჩანს. გარდა ამისა, მთავარი დარბაზის საკურთხევლის მარცხენა მხარეს გამოსახულია იდუმალებით მოსილი კაცუნების სქემატური გამოსახულებები. ძალიან ძველი უნდა იყოს ქვის კანკელისგან შემორჩენილი ძირა ქვა, რომელზეც მედალიონში ჩასმული სამი ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი. აქვე, საკურთხევლის წინ იდგა სტელა, რომელიც ახლა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. მის დასავლეთ წახნაგზე ოთხად დაწყვილებული წმინდანების გამოსახულებაა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის წახნაგებზე კი წარჩინებული მამაკაცებისა და მანდილოსნებისა. აქვე ამოღარული ამ პიროვნებების სახელები მეცნიერებმა სავარაუდოთ ასე წაიკითხეს: „გრიგოლ ვიპატოსი“, „მუჭელი“, „ლატავრა“ „მარიამი“, „ესაკი“. სტელა VIII საუკუნით თარიღდება და ამავე საუკუნისა უნდა იყოს თავად ეკლესიაც, რომელსაც ოდნავ მოგვიანებითაც (დაახლოებით IX საუკუნეში) აქვს ხელი შეშველებული.

მონასელიანთ უბანში მდგარ ამ ეკლესიას ერთობ უცნარი სახელი აქვს – „კატაულას წმინდა გიორგი“. რას უნდა ნიშნავდეს კატაულა და არის თუ არა იგი კატასთან ასოცირებული? სხვათა შორის, ამ სახელწოდებამ ერთხანს ბოლნისის რაიონის ტალავერის (იგივე სახუნდარის) ის ეკლესია გამახსენა, რომლის ინტერიერში. კატის უცნაური, მოზრდილი რელიეფია, მაგრამ ამჯერად, კავთისხევის „კატაულასთან“ მიმართებაში, კატა არაფერ შუაში არ უნდა იყოს. „კატულა“ რატომღაც „კავთ“-იდან ნაწარმოები და სახეცვლილი ფორმა უფრო მგონია – კავთურა-კავთაულა-კატაულა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხეობის თავში „მაღალს კლდესა ზედა შენი“ თავკავთის წმინდა გიორგის ეკლესია XII-XIII საუკუნეების ტაძარია, „კატაულა“ მთელი კავთის ხეობის, თითქმის, ყველაზე ძველი ქრისტიანული ძეგლი გამოდის... თითქმის, რადგან ხეობაში, უფრო ძველი და საეტაპო ეკლესიაც დგას.

... სოფელი იდლეთი. იგი არამარტო კავთის ხეობის, არამედ ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. უამრავი შორეული თუ ახლობელი მტრის მოძალებას გაუძლო მან. ებრძოდნენ, მაგრამ რწმენიდან ვერ გადაახვევინეს.

სოფლის ძველ უბანში ამაყად დგას ნათლისმცემლის უძველესი ტაძარი – ოქროსფერი და ფირუზისფერი თლილი ქვებით აგებული ძეგლი, რომელიც გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში აღდგა ამაგდარი მეცნიერის ვახტანგ ცინცაძის მეთვალყურეობით. იდლეთის „ნათლისმცემელი“ VI საუკუნის ძეგლია. იგი დაჩის ან ბაკურის მეფობის ჟამსაა აგებული... ამ დროს გუმბათის ყელი ჯერ მხოლოდ კვადრატულია. ტაძარი ზედხედში წაგრძელებული ჯვრის ფორმისაა, მაგრამ ეს მოგვიანებით ხანაში დასავლეთიდან მიდგმული საქალებოს ანუ მლოცველ ქალთა სადგომი ოთახის შედეგია. მსგავსი გეგმარების ეკლესიებისგან განსხვავებით, ისევე როგორც იყალთოს ტაძარს, იდლეთის „ნათლისმცემელსაც“ მხოლოდ ერთი, დასავლეთის, კარი აქვს. იგი ამჟამად საქალებოში გადის, რომელსაც თავის მხრივ, სამხრეთიდან აქვს შესასვლელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაძრის სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები გარედანაა თანატოლი, თორემ შიგნიდან სამხრეთისა უფრო ღრმაა. გუმბათის კვადრატული ყელი ტრომპებით კიდევ უფრო დიდი კვადრატიდან არის აზიდული. აქა-იქ კედლებზე XII-XIII საუკუნეების მხატვრობის კვალია.

ეს ყველაფერი 17-საუკუნოვანი ქრისტიანული ცხოვრების ამსახველი ქვათა მატიანეა, მაგრამ კავთის ხეობას წარმართულ წარსულში მომზირალი თვალებიც შემორჩენია.

კავთისხევში, ჩოჩეთის უბანში, არის 24-საუკუნოვანი დიდი სატაძრო კომპლექსის იმხელა ნაშთები, რომლის მსგავსს საქართველოში სხვაგან ვერსად ვერ წააწყდებით. ადგილს, სადაც ეს ნატაძრალი დგას, ციხიაგორა ჰქვია. 3,5-4 მეტრი სიმაღლისა და 1,5 მეტრი სიგანის კედლები აყვანილია ნატეხი ქვითა და გამომწვარი, ნახვრეტებიანი ალიზის კვადრებით (42X45X8 სმ). არმაზციხის კედლების მსგავსად, ეს კედლებიც ხის მართხუთხა პალოებითაა არმირებული. კედლებთან ერთად, შემორჩენილია 2 მეტრი სიმაღლის საკურთხეველი და სამსხვერპლო მოედანი, რომელიც ქვითა და თიხითაა მოსწორებული. არქეოლოგებმა აქ რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძვლები აღმოაჩინეს. სატაძრო კომპლექსში, რომელსაც ჰქონია მარანი, ბეღელი, წისქვილი და თონე, აღმოაჩინეს, ასევე, დამწვარი მარცვლეული, საწნახელი, 48 ცალი ქვევრი, საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწები, წითელი ორღარიანი კრამიტი, აქემენიდური სტილის კაპიტელი ზურგშექცეული ხარების გამოსახულებით, წარმართული ჯვრებით დადამღული თიხის დისკოები, ასევე სხვადასხვა გამოსახულებით დადამღული ბათქაშის ფრაგმენტები და სხვა. ეს სატაძრო კომპლექსი ძვ. წ.-ის IV-III საუკუნეების ანუ ფარნავაზის ეპოქის ნაგებობაა იგი დაშენებული ყოფილა V ძვ.წ.-ის VI-V სს-ის ნასახლარზე. ამ დროს ხალხი „გორიდან“ ქვევით, „ბარში“ ჩასულა საცხოვრებლად, ადგილის დედა კი საზორავ-სახატე ტაძრად უქცევია. სოფელი ამ გორაზე ძვ-წ.ის IV ათასწლეულის ბოლოდან, ანუ ადრე ბრინჯაოს ეპოქიდან არსებობდა. მთელი ამ ნამოსახლარი გორის სიმაღლე 12 მეტრია. იგი გვიან 2 მეტრი სისქის გალავნით და გალავანში ჩადგმული კოშკებით შემოუზღუდავთ.

კავთისხევში მეტალურგთა დასახლებაც ყოფილა ამ 3000 წლის წინათ. ცემენტის კარიერისკენ გადასასვლელი გზის საწინაალმდეგო მხარეს აღმოჩნდა სპილენძის 40კგ-იანი ზოდები, ცულები, თოხი, ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთი, რომლებიც თიხის ჭურჭელში ეწყო.

კიდევ ერთი, თუმცა გაცილებით ახალგაზრდა ნამოსახლარია იმ ადგილებში, რომლებსაც კავთისხეველები „ოქროსმიწებს“ უწოდებენ. იქ გაცილებით ახალი, ძვ-წ.ის III და ახ წ-ის V საუკუნეების ცხოვრების კვალი აღმოჩნდა.

ამასაც თუ ახალი ნამოსახლარი ჰქვია!?

აი, ასეთია კავთის ხეობა, სადაც მოგზაურს უმძაფრესი ემოციები მიაცილებს, მაგრამ წერილში მათ გამოსატანად არც დრო არის და არც ადგილი. ესეც არ იყოს, განა კი ძველი ქვები ყველაზე ემოციური მთხრობელები არ არიან!?

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

ციხიაგორის წარმართული ტაძარი და მისი არქეოლოგიური მონაპოვარი. ძვ.-წ.-ის IV-III სს.







## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ra bedi e l i T ukrainas, be l a russa da saqar Tve l os?

***ზბიგნევ ბჟეზინსკის ბოლო სტატია ასეა დასათაურებული – „ამერიკის შემდეგ. რვა გეოპოლიტიკური სახეობა, რომლებსაც საფრთხე ემუქრება“. მასში გამოთქმულია პროგნოზი, რომ მოიმატებს რუსეთის იმპერიული ამბიცია და მოსკოვის მსახვრალ ხელს კვლავაც იგრძნობენ უკრაინა, ბელარუსი და საქართველო.***

საყურადღებოა ერთი ფაქტი: ზბიგნევ ბჟეზინსკის ეს სტატია, რომელშიც ავტორი ამერიკული ძლიერების მზის ჩასვენებას წინასწარმეტყველებს, ზუსტად 70 წლის მერე გამოქვეყნდა, რაც ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჰენრი ლუისმა ჟურნალ Life-ში დაბეჭდა წერილი „ამერიკული ასწლეული“.

1942 წელს ლუისმა პირველმა იწინასწარმეტყველა, რომ შეერთებული შტატები ისეთსავე როლს შეასრულებდა მსოფლიოში, როგორსაც ადრე ბრიტანეთისა და რომის იმპერიები ასრულებდნენ. თუმცა, ამ იმპერიებისგან განსხვავებით, ლუისის აზრით, ამერიკამ უნდა გამოიყენოს მართვის განსხვავებული მეთოდები – სხვა სახელმწიფოებს დაეხმაროს ფინანსურად, ტექნოლოგიებით და ამით უზრუნველყოს მშვიდობიანობა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვეები სკეპტიკურად აფასებდნენ ლუისის პროგნოზს.

ამჟერად ამერიკელი და გერმანელი ექსპერტები ზბიგნევ ბჟეზინსკის პროგნოზს აანალიზებენ და ცდილობენ უპასუხონ ორ შეკითხვას: როგორ აისახება ამერიკის დასუსტება რუსეთზე და დაასუსტებს თუ არა ამერიკის მზის ჩასვენება უკრაინას, ბელარუსსა და საქართველოს?

რუსეთის წარმატებები და მარცხი დამოკიდებულია არა ამერიკაზე, არამედ რუსეთზე. თუკი ამერიკის გავლენა მკვეთრად შემცირდება, ხოლო რუსეთი ევროკავშირთან და ჩინეთთან ურთიერთობას ვერ ააწყობს, მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდება. ბევრ რამეს განსაზღვრავს აგრეთვე რუსეთის ხელმძღვანელობის სურვილი, გაატაროს რეფორმები, გაახლოს ინფრასტრუქტურა, შეაჩეროს კაპიტალისა და „ტვინების გადინება“. თუ ამერიკის პრობლემები პერიფერიული ხასიათისა იქნება, ეს გარემოება რუსეთზე გავლენას ვერ მოახდენს; მაგრამ თუკი ვითარება სერიოზულად გაუარესდება, ეს ნეგატიურად აისახება მსოფლიო ეკონომიკაზე და რუსეთიც დაზარალდება.



ამერიკასა და რუსეთს საერთო პრობლემები გააჩნიათ და მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს არ სურს ამის აღიარება, შეერთებული შტატები რუსეთს მათ მოგვარებაში ეხმარება. ჩინეთის ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება უპირველესად არა ამერიკას, არამედ რუსეთს ემუქრება, მაგრამ ვაშინგტონი ცდილობს ამას წინ აღუდგეს და ამით რუსეთიც ხეირშია. ავღანეთი რუსეთის სიახლოვესაა, ანუ შეერთებული შტატების მოქმედება რუსეთის სიმშვიდესაც განაპირობებს.

აზრთაასხვადასხვაობის მიუხედავად, მოსკოვმაც და ვაშინგტონმაც შესანიშნავად იციან, რომ ყოველთვის შეძლებენ მოლაპარაკებას, რადგან ერთმანეთზე არიან დამოკიდებული – მოსკოვი რა ტაქტიკურ სვლებსაც არ უნდა აკეთებდეს, სტრატეგიულად ვაშინგტონის ხაზს ემხრობა. რუსეთის ჭირვეულობები, ასე ვთქვათ, შიდა მოხმარებისთვის არის გათვლილი, რადგან რუსეთის ხელისუფლებას ყოველთვის სჭირდება მტერი საკუთარი შეცდომების გასამართლებლად.

ამერიკის დასუსტებით რუსეთმა შესაძლოა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით იხეიროს, მაგრამ თუ შტატების ეკონომიკა შეირყევა, კარგი დღე არც რუსეთს დაადგება. ამერიკის დასუსტება ავტომატურად გააძლიერებს ევროპას, რომელიც საკუთარი არმიისა და საკუთარი უსაფრთხოების სისტემის იმედად დარჩება. თუ ამერიკა ვერ შეძლებს კვლავინდებურად დაეხმაროს ევროპას, არ არის გამორიცხული, „ბებერი კონტინენტი“ ახალ გეოპოლიტიკურ „დერჟავად“ იქცეს.

რაც შეეხება უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს ბედს ამერიკის შესაძლო დასუსტების ფონზე.

ექსპერტთა შეფასებით, ზბიგნევ ბჟეზინსკის პროგნოზი ამ სახელმწიფოებთან დაკავშირებით მეტისმეტად რადიკალურია და „ცივი ომის“ ეპოქის დამახასიათებელ ნიმუშად გამოდგება. შესაძლოა, რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე მეტად უნდოდეს კიდეც ბელარუსის ან საქართველოს „ჩაყლაპვა“, მაგრამ სჭირდება კი მას დამატებითი პრობლემები? საქართველომ უნდა ეძებოს კომპრომისული გზები რუსეთთან დასაახლოებლად, მიუხედავად იმისა, რა ძლიერების იქნება ამერიკა. თუ ამერიკის ძლიერება შესუსტდება, რეგიონში რჩებიან გავლენიანი მოთამაშეები – ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი... ანუ ამერიკის წასვლის შემდეგ, ევრაზიაში უცილობლად გაჩნდება ძლიერების ახალი ძალა და ჩამოყალიბდება ძალთა ახალი ბალანსი.

ბელარუსს ისედაც რუსეთი აკონტროლებს მას შემდეგ, რაც მან თავისი გაზის სატრანსპორტო სისტემა გაყიდა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ეს ორი ქვეყანა სამოკავშირეო სახელმწიფოში იყო გაერთიანებული.

უკრაინის ახლანდელი ხელისუფლება ისე მოუქნელად იქცევა, რომ იგი საკუთარი ფეხით მიემართება რუსეთისკენ – არ ტარდება არანაირი რეფორმა, ევროპისკენ გზა დიდი ხნით აქვს მოჭრილი, ხოლო პრეზიდენტ იანუკოვიჩს ლიდერად არავინ აღიქვამს. მას ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხალხის დაპურება დასჭირდება, საამისოდ კი გაზის სატრანსპორტო სისტემის მსხვერპლად გაღება მოუწევს და როცა ეს მოხდება, კიევს არანაირი „კოზირი“ აღარ დარჩება, რომ რუსეთის ამბიციებს წინააღმდეგობა გაუწიოს. თუ მომავალში ეს პროცესები ამავე კალაპოტში გაგრძელდება, უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაემშვიდობება.

საქართველოსთან დაკავშირებით ვითარება ბევრად უფრო რთულია რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო. ვიდრე ვლადიმირ პუტინი ხელისუფლებაში იქნება და ვიდრე ის არ მოახერხებს თავიდან მოიცილოს მიხეილ სააკაშვილი, საქართველო რუსეთისგან სრულიად დამოუკიდებელი იქნება; დამოუკიდებელი იმ თვალსაზრისით, რომ მათ შორის პრაქტიკულად არანაირი ურთიერთობა არ იარსებებს. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ სამომავლოდ სერიოზული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი – ადრე თუ გვიან, საქართველოს მოუწევს რუსეთთან ეკონომიკური კავშირის დამყარება.

რუსეთი ცდილობს პარტნიორობას, მაგრამ იგი ისეთი პარტნიორია, რომელიც სხვის კუთხეში მომწყვდევას ცდილობს. მოსკოვი ყოველთვის მხარს უჭერდა სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის რეჟიმებს, მაგრამ ვერ მოახერხა თავისი პრეზიდენტების იქ დასმა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი აღარ არის ძველებურად მიმზიდველი. თუ უკრაინა, ბელარუსი და საქართველო რუსეთზე დამოკიდებული გახდებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სხვა გზა აღარ ექნებათ.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ამერიკის გარდა სხვა გეოპოლიტიკური ფაქტორებიც არსებობს და არ არის გამორიცხული, ევროკავშირი ამ რეგიონის მსხვილი მოთამაშე გახდეს.

ახლა ისეთი დრო დადგა, რომ გლობალურ გამოწვევებს ერთიანი ძალისხმევა სჭირდება და შესაძლოა საამისოდ რუსეთისა და ევროკავშირის გაერთიანებაც კი გახდეს საჭირო.

**Voice of America**

# axa l i omis safr Txe ax l o aRmosav l eTSi i rani swrafi, Semtevi da uSeRavaTo pasuxis mo l odinSia

ამერიკის, რუსეთის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები სირიისა და ირანის სანაპიროსკენ, ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ცხელი წერტილებისკენ დაიძრნენ.

რუსეთის ავიამზიდი კრეისერი „ადმირალი კუზნეცოვი“, თანმხლები გემების ესკორტით, სირიის პორტ ტარტუსში ჯერ კიდევ 8 იანვარს შევიდა. კრემლი ცდილობს ისე წარმოაჩინოს, თითქოს ეს მანევრი სამხედრო მიზნებს არ ისახავს მიზნად, თუმცა აშკარაა, რომ მოსკოვი სოლიდარობას უცხადებს დამასკოს დასავლეთისა და არაბული ქვეყნების ლიგის მოსალოდნელი მასშტაბური სანქციების გამო. ამის საპირისპიროდ, საფრანგეთმა ტარტუსში გადაისროლა საესკადრო ნაღმზიდი **Forbin**. სამხედრო წყაროების ინფორმაციით, ბოლო 48 საათის განმავლობაში, ირანის სანაპიროებთან – სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაში – თავს იყრის სამხედრო-საზღვაო ტექნიკა იმ შემთხვევისთვის, თუკი ირანი თავის მუქარას შეასრულებს და ორმუზის სრუტეს ჩაკეტავს.



ბრიტანეთმა ომანის ყურეში რაკეტების გასანეიტრალებელი ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი **Daring**-ის კლასის საბრძოლო-სამანევრო გემების ესკადრილია გაგზავნა. ამავე ყურისკენ მიემართება ფრანგული ავიამზიდი „შარლ დე გოლიც“.

ამერიკის შეერთებული შტატები, პირველად 2011 წლის 4 დეკემბრის შემდეგ, როცა ირანელებმა ამერიკის უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს, კვლავ გამოიყენებს მსგავს აპარატებს. გარდა ამისა, ავიამზიდიდან უკვე აფრინდა უზარმაზარი უპილოტო აპარატი მასშტაბური საზღვაო და საჰაერო დაკვირვებისთვის.

ამერიკის სამხედრო ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე, ამერიკის არმიის გენერალი მარტინ დემფსი დაუფარავად აცხადებს – თუ ირანი ორმუზის სრუტის ბლოკირებას მოახდენს, ჩვენ „იმის გარანტიას ვიძლევით, რომ ამ პრობლემას გამოვასწორებთ“. შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა სწრაფ, შემტევ და უშეღავათო ამერიკულ პასუხს ჰპირდება ირანს, როგორც კი იგი სრუტის ჩაკეტვას შეეცდება.

ირანისა და სირიის გარშემო სამხედრო ესკალაციის მიზეზი, რასაკვირველია, ირანის ბირთვული იარაღის პროგრამაა, თუმცა ანალიტიკოსთააზრით, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზიც – ეს არის დასავლეთისა და ისრაელის შიში, რომ თეირანი და დამასკო სპარსეთის ყურესა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში ერთობლივად გადაწყვეტენ თავიანთი სამხედრო გეგმების შესრულებას.

**MIGnews.com**

# ame r ika saqa r Tve l osTan samxed r o TanamS r om l obas ag r Ze l ebs

**ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს, გააგრძელოს თანამშრომლობა საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში. სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონმა ეს განცხადება კვირის დასაწყისში უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.**

ახალი წლის წინა დღეებში პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა ქვეყნის 2012 წლის ფინანსური წლის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ კანონს, რომელშიც არის მუხლი საქართველოს შესახებაც: „დოკუმენტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 90 დღისა, პრეზიდენტმა უნდა შეიმუშაოს და შეიარაღებული ძალებისა და საგარეო საქმეთა კომიტეტებს უნდა გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის გეგმა, მათ შორის თავდაცვითი შეიარაღების გაყიდვის შესახებ“.



ჟურნალისტთა შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ადმინისტრაცია ამ მუხლის შესრულებას, გორდონმა უპასუხა: ჩვენი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეცვლილა. საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ძირითადად განათლებისა და სამხედრო მომზადების საკითხებს, აგრეთვე ავღანეთში საქართველოს მონაწილეობას მოიცავს და მომავალში თანამშრომლობას ამავე მიმართულებით გავავრცელებთ.

რაც შეეხება თბილისისთვის იარაღის მიყიდვას, რასაც ასე დაჟინებით ითხოვს ზოგიერთი ამერიკელი კანონმდებელი. გორდონის განცხადებით, ადმინისტრაცია ისევე აპირებს თანამშრომლობას საქართველოსთან, როგორც სხვა სახელმწიფოებთან „ინდივიდუალურად, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით“. „ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოსთან ურთიერთობას უსაფრთხოების დარგში ყველა მიმართულებით“ – ასეთია გორდონის დაპირება.

2012 წლის ფინანსური წლის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ კანონის ხელმოწერისას ობამამ განაცხადა, რომ „მისმა ზოგიერთმა დებულებამ ქვეყნის მეთაურს შესაძლოა ხელი შეუშალოს, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური საგარეო-პოლიტიკური უფლებამოსილებები“. კერძოდ, ერთ-ერთი მუხლის გათვალისწინებით, „პრეზიდენტმა კონგრესს 60 დღით ადრე უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ანტისარაკეტო სისტემების შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაციის რუსეთისთვის გაზიარების შესახებ“. ობამას აღნიშვნით, კანონი შეიცავს სხვა მუხლებს, რომლებიც მის უფლებამოსილებებს ზღუდავს. მათ შორის არის საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ მუხლი, რომელსაც თეთრი სახლი „შესასრულებლად არასავალდებულოდ“ მიიჩნევს.

მოსკოვს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს შეიცავს ხელახალი შეიარაღება საქართველოს ახლანდელი რეჟიმისთვის.

**ინტერნეტმიმოხილვა**
**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# ვულოცავთ!



1991-92 წლებში საქართველოს დიდი განსაცდელის ჟამი დაუდგა. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მშობლიური მიწიდან განდევნეს, ამ სამარცხვინო ქმედებაში გარკვეული წვლილი საპატრიარქომ დადო. 1992 წლის 7 იანვარს საპატრიარქს ეზოში დიდი, საზეიმო პურ-მარილი გაიმართა ამ სამარცხვინო ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ მაშინ ქაშვეთის და წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში დავდიოდით. თითქმის ყველა ეკლესიის მოძღვრებმა დაითხოვეს ზვიადის მომხრეები. პეტრე-პავლეს ეკლესიაში არჩილ მინდიაშვილთან ვინც აღსარებას ჩააბარებდა, რატომღაც მეორე დღით უშიშროებაში ხვდებოდნენ.

გზააბნეულებმა გავიგეთ, რომ გლდანში იყო ახლადაშენებული ლომისის წმიდა გიორგის ეკლესია, რომლის წინამძღოლი იყო მამა ბასილი. ტაძარი მას თავისი ხელით აუშენებია მამა ელიზბართან და ელდარ გოდერძიშვილთან ერთად. სწორედ ეს ეკლესია გახდა ზვიადის მომხრეთა ნავსაყუდელი. მამა ბასილი მკაცრად ამხელდა ზვიადის მოღალატეებს ჯაბა იოსელიანს, კიტოვანს, სიგუას და მათ მეთაურს შევარდნაძეს, თითქმის ყველა ეკლესიიდან დევნილმა „ზვიადისტებმა“ მამა ბასილთან გლდანის ლომისის ეკლესიაში მოიყარეს თავი. ვისმენდით ქადაგებებს და გვიკვირდა, როგორ მკაცრად ამხელდა საპატრიარქოში მოკალათებულ მოღალატე სასულიერო პირებს, მათ შორის პატრიარქსაც. ჩვენ დავინტერესდით მისი ვინაობით გავიგეთ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მას აღუდგენია ნაზზირგორის ღვთისმშობლის ეკლესია, რისთვისაც რამდენიმე დღე ჰყავდათ დაპატიმრებული ასევე აღუდგენია წვერის წმიდა გიორგის და სოფელ დრეში მანგლისის მხარეს წმიდა ბარბარეს თითქმის დანგრეული ეკლესია. დავრწმუნდით, რომ მას აინტერესებდა საქართველოს და მართლმადიდებლობის ბედი.

ჩვენი ადგილი მხოლოდ მის გვერდით იყო, მყარად დავმკვიდრდით ჭეშმარიტ მოძღვართან და გადავწყვიტეთ, ბოლომდე გვეერთგულა მისთვის.

როგორც ვიცით, საკმაო დროის მანძილზე საქართველოს ეკლესია გაერთიანებული იყო მსოფლიო ეკუმენურ საბჭოში, სადაც ყველა მწვალებელი ერთად იკრიბება. მამა ბასილი კატეგორიულად მოითხოვდა დაეტოვებინა საქართველოს სულის წარმწყმედელი გაერთიანება, ასევე სასტიკი ბრძოლა გამოგვეცხადებინა ახლად შექმნილ ქრისტეს დაუძინებელი მტრების-იელოველთა სექტის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ, ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მოძღვრის მოთხოვნამ შედეგს რომ ვერ მიაღწია, სჯულის კანონზე დაყრდნობით სამღვდელოება მოხსნა წირვა-ლოცვებიდან და განუდგა მათ. რამდენიმე დღის შემდეგ მათ „გამოაცხვეს“ ბრძანება მამა ბასილის „განკვეთის“ შესახებ, ომონის ძალით გამოგვდევნეს ეკლესიიდან და აღმოვჩნდით ღია ცის ქვეშ. აქედან დაიწყო ბრძოლა სარწმუნოებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ და საპატრიარქო უფსკრულის აქეთ-იქით მხარე აღმოვჩნდით.

— გვედავებიან, ტაძარი არ არის ნაკურთხი. სჯულის კანონს მოვიშველიებთ: „ტაძარი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო უკურთხებელია პირადად ეპისკოპოსის მიერ (ან კარის ეკლესიაში) ოდიკი ცვლის მღვდელმთავრის კურთხევას, ამგვარად ტაძარი იქცევა ევქარისტული მსხვერპლშეწირვის აღსრულების ისეთივე წმიდა ადგილად, როგორი წმიდა ადგილი ტაძარია ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი“ (ნიკეის წმიდა VII მსოფლიო კრების კანონები) კანონი 7.

ავადსახსენებელი 2004 წლის 12 მარტის წინა დღეს მრევლის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად პრესკონფერენცია ჩაატარა სახალხო დამცველის ოფისის ეზოში, სადაც მკაცრად ამხილა ანტიქრისტეს მოციქულების საპასუხოდ. მეორე დღის გამთენიისას ძალისმიერი მეთოდით მოსულმა ხელისუფლებამ ომონის ძალით საქართველოს ჟანდარმერიასთან ერთად მთელი სისასტიკით დაგვარბიეს მარხვაში მყოფი ღამენათევი მრევლი. მამა ბასილი დააპატიმრეს 10 სულიერ შვილთან ერთად. ხუთი წელი გისოსებს მიღმა ამყოფეს. მაშინ დუმდა ერი, დუმდა ბერი... მამა ბასილი კი იქაც, დაუმთავრებელ ეკლესიაზე ფიქრობდა, ფიქრობდა მიტოვებულ სულიერ შვილებზე, ციხიდან საკმაოდ ჯანგატეხილი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, იმ დღიდანვე აშენებს: ააგო სამრეკლო, რომლის მსგავსი საქართველოში არ არის, ეკლესიას შემოარტყა გალავანი, ნაზშირგორში წმიდა გიორგის სახელობის პატარა ეკლესია ააგო. სულ ფუსფუსებს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას ერთმანეთს ანაცვლებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მასში ვხედავთ ამბროსი ხელაიას სულს, ილარიონის, გიორგის, გაბრიელის ანალოგს, რომელთა გონებაში მხოლოდ სამშობლო და სარწმუნოება იყო ჩადუღაბებული. ეს არის მამაოს ცხოვრების კრედო.

**პეტრე ივანიძე**: ჩვენ საზოგადოებას წარმოვუჩინეთ მამა ბასილს რეალური სახე ყოველგვარი სარკაზმის გარეშე. მე შევეცდები ძალიან მოკლედ მოგითხროთ ყოფილი პატიმარის მამა ბასილის შესახებ.

თითქმის 4 წელი გავატარე ჩემს სულიერ მოძღვართან პატიმრობის პერიოდში, რუსთავის პირველ კოლონიაში. პატარა სამწყსო იქაც ჰყავდა მამაოს, საზოგადოებისაგან იზოლირებულ პატიმარს თბილი სიტყვა, დარიგება, ნუგეშისცემა იმედის გრძნობას უსახავს. სწორედ ყველას შემწე იყო მამაო, ყველას სულიერად ასაზრდოებდა. ყველას აპურებდა, შეიძლება ითქვას, თავის ლუკმას უზიარებდა, როცა ეზოში გამოვიდოდა თავისდაუნებურად ყველა მოწიწებით თავს უხრიდა რიდს და პატივისცემას გამოხატავდა. ბევრი სულიერი დეპრესიიდან გამოუყვანია. მამაო იყო თავმდაბალი, თავის თავზე არასოდეს საუბრობდა. მასთან ყოფნის პერიოდში ბევრი სასწაული ვიხილე, თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთზე შევაჩერებ.

მამაო იქაც არ ისვენებდა, სულ ხაზავდა, წერდა, მომავალ გეგმებს აწყობდა (სამრეკლოს პროექტი იქ გააკეთა).

ერთ დღეს დაღლილი როცა ისვენებდა, შევატყვე, რომ ძილში ბორგავდა. მერე გამომაღვიძა და ასე მითხრა: პეტრე, ძალიან სამწუხარო რამ უნდა გითხრა, დამალვას აზრი არ აქვს, სულ მალე საქართველოს დაბომბავენ და თბილისშიც ჩამოაგდებენ ბომბსო. მე გაოგნებული დავრჩი. არ დაგიმალავთ, გამიჭირდა დაჯერება. არ გასულა რამდენიმე დღე და აგვისტოში რაც მოხდა სამაჩაბლოში, ყველამ უწყის. ასევე თბილისის ზღვაზე და მახათაზეც ბომბი ჩამოაგდეს.

მამა ბასილ, თქვენ ყოველთვის მოიშველიებთ წმიდა მამათა გამონათქვამებს და მიგვითეთბდე მივაგოთ მათ.

**„ᲘᲧᲐᲕᲘ ᲔᲠᲨᲘ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲗᲘ ᲡᲝᲓᲝᲛᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐᲡ ᲩᲐᲓᲘᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲑᲐᲫᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲗᲜᲝ ᲘᲧᲝ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲪᲘ ᲨᲔᲜᲪ, ᲜᲣ ᲛᲘᲑᲐᲫᲐᲕ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲩᲐᲓᲘᲡ“ (წმინდა ტიხონ ზადონელი).**

აი, ამ პრინციპებით გვმოძღვრავდით თქვენ, სულიერ საზრდოს ციხის პირქუში კედლებიდანაც კი გვაწვდიდით და გვაძლიერებდით. დღესაც ეკლესიის კართან საცხოვნებლად მოსულთ, ყველას ასაზრდოებთ სულიერად. ყველას მოგვიწოდებთ სიმდაბლისაკენ, მოყვასთა სიყვარულისაკენ და სინანულისაკენ. თქვენ გვასწავლეთ შრომის ფასი, თქვენ ახალგაზრდა მორჩილები გამოზარდეთ, ყველაფერი ასწავლეთ. შექმენით პატარა არმია სხვადასხვა პროფესიით, რომელიც, საბედნიეროდ, ხელგეწიფებათ და დარწმუნებული ვართ, ნებისმიერ დიდ მშენებლობას წარვუძღვებით ღვთის შემწეობით.

უზენაესს ამ ქვეყნიერებაზე ყოველივე მიზანმიმართულად აქვს შექმნილი. ასევე ნიშანდობლივია ის, რომ თქვენ მოევლინეთ ქვეყანას იმ დღეს, როცა მოიხსენიება მსოფლიო უძლიერესი მამა, ქართული გენის მატარებელი ბასილი დიდი, სწორედ ამიტომ დაგერქვათ ეს სახელი.

მამაო, თქვენ ვალმოხდილი, სრულიად დამაშვრალი ბრძანდებით უფლის წინაშე, ისევ აგრძელებთ გონებრივ თუ ფიზიკურ შრომას. თქვენი სული დაუდგრომელია, ამიტომაც ბრძანდებით ღვთის რჩეული.

**ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲨᲝᲑᲐᲡ, ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ, ᲓᲐᲛᲓᲔᲒ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ, ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 1-1 – 14 I ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ, ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲗ; ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲢᲐᲜᲯᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲕᲘᲒᲣᲚᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ.**

და თუ ჩვენი სახით ეშველება საქართველოს, მართლმადიდებლობას, მზადა ვართ, ჩვენი სული მიითვალოს ზეციურმა იერარქიამ.

**ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ**

## ᲛᲐᲛᲐᲝ ᲑᲐᲡᲘᲚ,

**გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს — შობას უფლისა იესო ქრისტესი, დამდეგ ახალ წელს, ხსენებას დიდი მამისა ბასილი დიდისა და თქვენს დაბადების დღეს 1/1-14/1 იანვარს.**

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარი**
**ᲛᲐᲛᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ (ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ)**

## ᲛᲐᲛᲐ ᲑᲐᲡᲘᲚ ᲛᲙᲐᲚᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲡ!

**ვულოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულსა და დაბადების დღეს. ღვთის მადლი გფარავდეთ საქართველოს საკეთილდღეოდ.**

**„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ**

## ᲐᲑᲐᲜᲝᲗᲣᲑᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ



არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც შესაძლოა თბილისის ისტორია შეცვალოს, დასრულებულია. აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე სამუშაოებით ირკვევა, რომ ამ ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის მეფობამდეც არსებობდა ციხე ქალაქი.

ამას ადასტურებს აღმოჩენილი აბანოები, რომელიც I–II საუკუნით თარიღდება. არქეოლოგებმა ამავე ადგილას III-IV საუკუნეების სამარხსაც მიაკვლიეს.

აბანოთუბანში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ბოლო ეტაპზე აღმოჩენილ უნიკალურ ნივთებს შორის არის საკმაოდ დიდი მოცულობის ქვევრი, რომელიც III-IV საუკუნეებით თარიღდება და სხვა ადრე აღმოჩენილი ქვევრებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მისი რესტავრაცია სპეციალისტებმა უკვე დაიწყეს. ნაპოვნია ასევე სხვადასხვა სახის ჭურჭელი.

უახლოეს მომავალში ამ ტეროტორიაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმის გაკეთება იგეგმება.

„აქ ჩემი აზრით, შეიქმნება უნიკალური მუზეუმი. ეს იქნება როგორც ღია ცის ქვეშ მუზეუმი, ასევე შენობაში განთავსდება უბრწყინვალესი არტეფაქტები, რომლებიც ახლა დამუშავების პროცესშია ეროვნულ მუზეუმში და ალბათ, როცა ეს ყველაფერი გადაწყდება აქ განთავსდება ისინი“, — განაცხადა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა მერაბ ძნელაძემ.

## ᲯᲕᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲖᲔ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ



„კობი-გუდაურის გზის მონაკვეთზე ინტენსიურად თოვდა და ცუდი ხილვადობა იყო. ამ დროისთვის გზა ჩაკეტილია და ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია,” - იუწყება მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.

საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, ცუდი ხილვადობის გამო წუხელ გზა ვერ გაიწმინდა.

გაწმენდითი სამუშაოები ახლა დაიწყო. გზა რამდენიმე საათში გაიხსნება და გადაადგილება მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით იქნება შესაძლებელი.

**„ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ“**

# saf l avi mompares cxra micva l ebu l ianad!



საახალწლოდ რედაქციაში მგლოვიარე მკითხველი გვეწვია და საქართველოსთვის დასაჯერებელი, მაგრამ ზოგადად დაუჯერებელი ამბავი მოგვიყვა. ქალბატონმა გვთხოვა, იქნებ ხმა მიმაწვდენინოთ „ვინმე ისეთთან", ვინც ამ ამბავს იმ სახელს დაარქმევს, რასაც სისხლის სამართლის კოდექსი არქმევს და დამნაშავეს შესაბამის პასუხს მოსთხოვსო. საქმე ვაკის სასაფლაოს ეხება, სადაც მისი ახლადგარდაცვლილი ძმა ვერ დაასვენა საკუთარი დის, ბებია-ბაბუების, დეიდის ა. შ წინაპრების გვერდზე. პირადად გახლდით ხსენებულ, ასე ვთქვათ, საგვარეულო საფლავზე, სადაც 9 მიცვალებული განისვენებს.

წამიერად გამახსენდა — „ეს მეორე, შენი გაყიდული ღმერთის სახელით! — გოგოლმა სილა გააწნა მებურიშვილს და ჯვარი ჩამოგლიჯა, — არ ხარ ამის ტარების ღირსი შენ!

ეს მესამე, ვაკის სასაფლაოს მიცვალებულების სახელით! — გააწნა მესამე სილა.

ეს მეოთხე კი, ჩემი სახელით! — უთხრა გოგოლმა და მუშტი ჩათხლიშა თავში მებურიშვილს.

... ახლა იმის ჯავრი მომკლავს, ეს რომ გაუშვან და მერე მე რომ მოვკვდე და ამის სასაფლაოზე რომ მიმიტანონ, ხომ დამტოვებს ეს შობელძაღლი დაუმარხავს?!" („თეთრი ბაირაღები")

**მზია ალიხანაშვილი:** — სასაფლაოზე მივედი და რას ვხედავ, ცხრავე საფლავიდან ამოგლეჯილია რკინის ჯვრები და მთელი სასაფლაო მოსწორებულია. არადა, ბოლოს აღდგომაზე ვიყავი, ანუ რამდენიმე თვის წინ და ჩემი დეიდის საფლავი, რომელიც ბოლო გარდაიცვალა წელიწადნახევრის წინ კვლავ მაღალ ბორცვად იყო. ლითონი, ალბათ, მოიპარეს, მაგრამ მიწა ვიღამ მოასწორა?



ჩემი ეჭვი გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი საბუთი ხელში მეკავა, რითი ამტკიცებ, რომ თქვენი სასაფლაოაო. როგორი ამბავია, სახლში ძმა მისვენია, მეორე დღეს უნდა დავკრძალო და სასაფლაო არ არის, — საფლავი მომპარეს ცხრა მიცვალებულიანად, რომელთაგან პირველი, ბაბუაჩემი 1937 წელს არის დაკრძალული. თბილისის ზღვაზე მოგცემთ დროებით ადგილს და რომ დაამტკიცებ, მერე გადმოასვენეთო. დედაჩემი ოთხმოც წელსაა მიტანებული, ისედაც შეუძლოდაა და „დამამშვიდეს", ორადგილიანს გამოგიყოფთო, ე.ი. იგულისხმეს, დედაშენიც იქ წაიყვანეო.

**— დაამტკიცეთ, სასაფლაო რომ თქვენიაო, ეს ვინ გითხრათ კონკრეტულად.**

— ვაკის სასაფლაოს დირექტორმა მაქსიმე ბერიშვილმა. „ჰერმესთან" პრობლემა არ მქონდა, მაგრამ ამ ვაჟბატონმა გაიგიჟა თავი, რას ჰქვია ეთანხმებით, მე უკეთ არ ვიციო? ისეთი ამბავი ატეხა, „ჰერმესი" დააეჭვა, გიჩივლებთო, დაემუქრა. ხომ გითხარით, საფლავის მიმანიშნებელი აღარაფერი იყო დარჩენილი (რაც ვნახე, მხოლოდ გადატეხილი ჯვრის ნაშთი იყო - მ.ჭ) და „ჰერმესმაც" ველარ გამოიდო თავი. მითხრეს, არქივიდან საბუთები მოიტანეო.

**— რა საბუთები, არქივის ამონაწერი, რომ ნამდვილად მიცვალებულები არიან? ეს როგორ ამტკიცებს, რომ ის გარდაცვლილები იქ ასვენია და არა სხვაგან?**

— დიახ. „ჰერმესის" იურისტმა მითხრა, თუ არ იძებნება — არ იძებნება, თუ არა, სასამართლო რომ ჩატარდება, იქ წარადგენ მოწმეებს, რომლებიც ესწრებოდნენ დაკრძალვებსო. ალბათ, ორი თვე მაინც გაიწელება ეს პროცესი, მაგრამ სასამართლო რასაც დაადგენს, ისე იქნებაო. გადავირიე, რას ჰქვია სასამართლო რასაც დაადგენს, მაშინ ეგსჰუმაციას მოვითხოვ, აგერ, დედა ცოცხალია და დნმ-ის ანალიზი ჩაატარეთ თქვენი ხარჯებით-მეთქი. საბოლოოდ, ერთადგილიანი საფლავი გამოყვეს ჩემი ძმისთვის ვაკის სასაფლაოზე, სადღაც ჩაკარგულში, საცურაო აუზის მხრიდან რომ არის ჩასასვლელი. რომ დაამტკიცებ, ცენტრალურ შესასვლელთან, ე. წ „პრესტიჟულ ადგილზე" ნამდვილად თქვენი სასაფლაოა, მერე გადმოასვენებთო. საქმე იმაზე კი არაა, ვაკეში დავიკრძალებით თუ მთვარეზე, იმ სასაფლაოზე, ჯერ ერთი, ჩემი და ასვენია წინაპრებთან ერთად და მეორე, რატომ უნდა გადამიხნან ჩემი მიცვალებულების ძვლები სასაფლაოს დირექტორის ქვენა ინტერესების გამო? ძნელი მისახვედრია, რატომ ხვდებიან ციხეში სასაფალაოს დირექტორები? რატომ უნდა გავაყიდინო ვიღაც მაქსიმეს ჩემი მიცვალებულები? საერთოდ, ერთი რამ არ მესმის, — მაქსიმე ბერიშვილი მედავება, რომ იქ ჩემი მიცვალებულები არ არიან და მე რატომ უნდა ვუმტკიცო რომ ტყუის, გათხაროს ნებისმიერი ადგილი, რომელზეც ვუთითებ, ცხრავედან მანვე ჩაატაროს ნებისმიერი გამოკვლევა და დარწმუნდეს ჩემს სიმართლეში. ჭირისუფლები, მე — უმუშევარი, დედა — პენსიონერი, 80 წელს მიტანებული ქალი, ამხელა ტრავმა, ცალკე სარიტუალო ხარჯი და ახლა სასამართლოები, გადასვენება-გადმოსვენება, რატომ, მაქსიმე ბერიშვილის მომძლავრებული მადის გამო?

**— კი, მაგრამ ისევ ვაკის სასაფლაოზე როგორღა მოგცეს ადგილი, რაგინდ ხევში იყოს, მაინც ვაკის სასაფლაოა და „პრესტიჟულად" ითვლება.**

— პარლამენტარ ბეჟან ხურციძემდე, ღმერთმა დალოცოს, შევძელი მიღწევა. გაგიჟდა კინაღამ კაცი, სასწრაფოდ გადარეკა, რა ხდება თქვენთანო და ალბათ, დაფრთხნენ, მაგრამ მაინც ბოლომდე ეპოტინება ვიღაც გემრიელ ლუკმას. ალბათ, ფიქრობენ, მოსწყინდება და თავს დაგვანებებსო. კიდევ ერთი უცნაური რამ მითხრეს, თუ მიცვალებულის ორმოცამდე მოასწრებთ და სასამართლო თქვენად ცნობს სასაფლაოს, გადაასვენებთ მიცვალებულს, მაგრამ თუ დროში ვერ ჩაეტიეთ, სანამ ერთი წელი არ გავა, უნდა მოიცადოთო. ვერ გავიგე და არც ამიხსნეს, ეს რაღას ნიშნავს, როცა საფლავიც ჩემია და დასაკრძალი (გადმოსასვენებელი) მიცვალებულიც? ან რა სირთულეს წარმოადგენს სასამართლოსთვის განაჩენის გამოტანა, თუ გვამების დნმ-ის ანალიზი არ არის ჩასატარებელი და მხოლოდ მოწმეების ჩვენების საფუძველზე დგინდება, რომ საფლავების ადგილი ჩვენია?

**— არქივიდან ამონაწერი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ, რკინით შემოკავებულ სასაფლაოზეა საუბარი, თითოეულ მიცვალებულზე ცალცალკე მოგცეს, ალბათ.**

— რა თქმა უნდა, და ესეც თანხა დაჯდა, ხომ ასეა, — არ არის მართებული, რომ ამინაზღაუროს მაქსიმე ბერიშვილმა მატერიალური და მორალური ზარალი? ფიზიკურზე აღარაფერს ვამბობ, ისედაც თრომბი მაქვს და მთლად დამისივდა ფეხები, ფეხსაცმელს ძლივსღა ვიცვამ. ახლა სასაფლაო მაქვს მოსაწესრიგებელი, ზეგ, 30 დეკემბერს კი „ჰერმესის" იურისტთან უნდა მივიდე და მივიტანო საბუთები, ბოლომდე უნდა მივდიო და აუცილებლად გაგაგებინებთ კიდევ რას მოიგონებენ, — ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ქალბატონი მზია.

30 დეკემბერს „ჰერმესიდან" დაბრუნებული მზია კვლავ შეგვეხმიანა.

**ქალბატონი მზია:** — „მივუტანე იმ დაკრძალულების საბუთები, რომლებიც არქივში მოიძებნა და ვუთხარი, რა საჭიროა სასამართლოს ჩატარებისთვის ამგვარ შემთხვევაში ორი თვე, მაქსიმუმ, სამი დღის ვადაში უნდა ჩატარდეს-მეთქი. ვინ გითხრაო, დაინტერესდა. ვინ მითხრა და პრეზიდენტმა ბრძანა და გაზეთში რომ დაიწერება თქვენზე, ყველაზე, მერე ნუ გეწყინებათ-მეთქი. იუკადრისა, მაშინ იმ გაზეთმა მოგიგვაროს შენი მიცვალებულების საკითხიო. კი, ბატონო, რახან ასე გირჩევნიათ, ჟურნალისტები გაარკვევენ და ეჭვი არ შეგეპაროთ, რაც მე არ მეხება პირადად, იმასაც ამოგიჩხრეკენ-მეთქი. ცოტა არ იყოს, შეცბა, მაჩვენე საბუთებიო.

**— „არქივში არ იძებნება" რას ნიშნავს, სად გაქრა საბუთები და ვინ გითხრათ ეს?**

— არქივში მითხრეს და საბუთშიც წერია 1940 წლიდან არის აღრიცხვებიო. რა ჩემი ბრალია, თუ 1937 და 1939 წელს გარდაცვლილი ბაბუაჩემების გარდაცვალების საბუთები არ არის. ვისაც არ სჯერა, მან ამოთხაროს საფლავები და რაღაც ნაშთები ხომ იქნება, გამოიკვლიოს... საბუთები რომ ნახა, მიშა ქადაგიშვილმა (დირექტორის მოადგილე), რა გითხრათო? სად უნდა მენახა ქადაგიშვილი, თვითონ მითხრა, ავადაა და ახალი წლის შემდეგ იქნება, 3 იანვარსო. იცით, რა, შეიძლება, სასამართლო არ დაგჭირდეთ, 3-ში რომ მოხვალთ, ბატონ მიშასთან შევიდეთ და იქნებ 40-მდე გადმოსვენებაც მოასწროთო. მერე დაინტერესდა, ვისზე გინდათ რომ დაასვენოთო?

**— ვერ გავიგე, რატომ უნდა დაასვენო მიცვალებული მიცვალებულზე, როცა იმხელა ადგილი გაქვთ?**

— არ ვიცი, მაგრამ გამოდის, სასაფლაოს თავი და ბოლო ახალი მიცვალებულებით უნდა „გავამაგროო", ერთ-ერთ პაპაზე უნდა დავასაფლავო. ახლა, საქმე რაშია, ამათ თუ არ აიღეს ხარჯები თავის თავზე, მე როგორ გადმოვასვენო, სადღა მაქვს ამდენი ფული, რამდენი უნდა ვათხრევინო, თითო გათხრაში 230 ლარს ითხოვენ. გარდა ამისა, იმ ხევიდან რომ მაღლა ამოვიტანო ცხედარი, მანქანა ხომ მინდა".

კომპლექსურმა სარიტუალო სამსახურმა შპს „ჰერმესმა" საკუთარ საიტზე გამოაქვეყნა ინფორმაცია მათი მომსახურების შესახებ, დაურთო იმ 26 სასაფლაოს რუკა, რომლებიც თბილისშია და მონიშნა დაკავებული და თავისუფალი ადგილები. თბილისის მერის მოადგილის გიორგი ცხაკაიას თქმით, ვინაიდან სასაფლაოებზე არსებული თავისუფალი ადგილების აღრიცხვა და ინტერაქტიურ რუკაზე დატანა ყველა მოქალაქისთვის საჯარო გახდა, სრულად გამოირიცხება კორუფციული გარიგებები და ბიუროკრატიული მექანიზმები. საინტერესოა, როდესაც ქალბატონ მზია ალიხანაშვილს ხელთ აქვს სასაფლაოს პრივატიზაციის დამადასტურებელი საბუთი, ბოლო მიცვალებული (დეიდა) გარდაცვლილია 2 წლის წინ და დამკრძალავი ბიურო ამბობს, რომ მიცვალებულთა იდენტიფიცირება არ ხერხდება, რაზე მეტყველებს ეს?

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ექსპერტი: ხორცის სიძვირე ქვეყნიდან დიდი რაოდენობის ცოცხალი პირუტყვის უცხოურ ბაზარზე გაყვანასაც უკავშირდება

საქართველოში საქონლისა და ღორის ხორცის სიძვირე მეხორცული მიმართულების ფერმების არ არსებობით და ამ დარგის მეურნეობის განუვითარებლობით არის განპირობებული, — განუცხადა „მედიანიუსს" სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ექსპერტმა თამაზ კუნჭულიამ. მისი თქმით, საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამო არ ვითარდება მეხორცული მიმართულების მეურნეობა, რაც შესაბამისად, იწვევს ბაზარზე ხორცის დეფიციტსა და მის სიძვირეს.



არაორგანიზებულია წარმოებული პროდუქციის შესყიდვა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ამ სფეროსადმი უინტერესობა და უცოდინრობა, ამასტან, ფერმის გაკეთების შემთხვევაში საქონლის შენახვა ძვირი ჯდება.

კუნჭულიას აზრით, ბოლო წლებში ხორცის გაძვირება უკავშირდება იმასაც, რომ ქვეყნიდან დიდი რაოდენობის ცოცხალი პირუტყვი გადის უცხოურ ბაზარზე, კერძოდ თურქეთსა და აზერბაიჯანში..

„ფერმის შემთხვევაში საქონლის შენახვა ჯდება ძვირი იმიტომ, რომ არ არის კომბინირებული საკვები. ამ ბოლო დროს უკავშირდება იმას, რომ დიდი რაოდენობთ ცოცხალი პირუტყვი გადის საქართველოდან. მარტო 2009 წლის მონაცემებით 16 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ცოცხალი საქონელი გავიდა საქართველოდან. ეს ციფრი კი იზრდება", — განაცხადა კუნჭულიამ და დასძინა, რომ ღორის ხორცის გაძვირება გამოიწვია „ღორის ჭირის" აფეთქებამ, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკით 100 000 სულამდე შემცირდა ღორების რაოდენობა.

სიტუაციიდან გამოსავლად აკადემიკოსი სპეცალური ფერმების გაკეთებას მიიჩნევს, რომლებიც სახორცე ჯიშის საქონელზე იქნება ორიენტირებული, რაც საზოგადოების დაინტერესებას და ამ დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„მედიანიუსი"

***თემაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელი ადამიანის აღზრდისათვის თამაშსა და სათამაშოს, ეკოლოგიური განათლების ექსპერტს, პედაგოგს დოდო კერესელიძეს ვესაუბრებით:***

**— ქალბატონო დოდო, რატომ თამაშობს ბავშვი — ეს არის მისთვის მხოლოდ გართობა თუ განვითარებისთვის ხელშემწყობი საქმიანობა?**

— თამაში ბავშვისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რასაც აკაკი წერეთელზე და კონსტანტინე გამსახურდიაზე უკეთ ვერავინ იტყვის. თამაშის მეშვეობით ბავშვი მისი გარემომცველი სამყაროს შემეცნებისკენ მიისწრაფვის, ცდილობს მასთან ურთიერთობის დამყარებას, საკუთარი თავის მასში გამოხატვას. ეს მისთვის სერიოზულობით აღსავსე საქმე, სამუშაოა. მოზრდილი ადამიანისგან განსხვავებით, ბავშვის საქმიანობა მისი შინაგანი სამყაროდან მიმდინარე იმპულსებითაა განპირობებული, იგი სრულებით არ ფიქრობს მიზანსა და პასუხისმგებლობაზე სხვადასხვა საქმეების მიმართ. ეს იმპულსები ყოველთვის სიხარულსა და სიამოვნებასთანაა დაკავშირებული და მათი აღსრულებისას ღრმად დაკმაყოფილების გრძნობა წარმოიშვება, რომელსაც მის ჰარმონიულ ქცევასა და ვარდისფერლოყება, გაბრწყინებულ სახეში ამოიცნობთ. თამაში ბავშვისთვის სწავლის საწინდარია. ამ გზით ეძლევა საშუალება ის უნარები გაავარჯიშოს, რომელთა მიღწევას, განვითარების გვიანდელ საფეხურზე, მხოლოდ დაუღალავი შრომით და მკაცრი თვითაღზრდით თუ შეძლებს.

**— რომელი ძალებისა და უნარების განვითარებას უწყობს ხელს თამაში?**

— კბილთაცვლამდე პერიოდში, ადამიანის შინაგანი ძალებიდან, გარემოსთან, უპირველესად ნებელობა ადაპტირდება, რომელიც ყალიბდება მრავალჯერადად განმეორებად მოქმედებაში. სწორედ აქ ეყრება საფუძველი მოქნილობას, კონცენტრირებას და ძალთა მობილიზაციის უნარებს. თუ ბავშვს ხშირად აწყვეტინებენ საქმიანობას, ამით აფერხებენ ნებელობის გაფურჩქვნას გვიან ასაკში. მუდმივი სიხარული არსებობისა და ყოველწამს შეერთება გარემოსთან — სიმპათია, რომელიც ილვიძებს ამ დროს, ასაზრდოებს ფანტაზიას, ბავშვის ყოველგვარი აქტივობის მასაზრდოებელ ძალას. ფანტაზია რეალური განცდების წყაროა. თამაში გამოაცოცხლებს ფანტაზიას, ის კი თავის მხრივ ავითარებს თამაშს. ბავშვს სათამაშოდ შეუძლია ყოველი საგანი გამოიყენოს, რომელიც უბიძგებს მას აქტიური ქმედებისკენ და ბავშვს ფანტაზიით მისი სხვაგვარად გარდაქმნა, მოკაზმვა შეუძლია. თუ როგორ პირობებს შევუქმნით მას ფანტაზიის განვითარებისთვის, ამის მიხედვით ბავშვობის დასასრულს მისგან გამოთავისუფლებული აზროვნება წარიმართება ზნეობრივი მიმართულებით ან ოცნების სფერო ჩაიკეტება თავის თავში არაჯანსაღად და გამოვლინდება ფსიქიკურ დარღვევებსა თუ ნარკოტიკულ მიდრეკილებებში.



# TamaSsa da saTamaSos jansaRi adamianis aRzrdisaTvis udidesi mniSvneloba aqvs

**— როგორი თამაშია გამართლებული და თუ არის განსხვავება თამაშებში ასაკის მიხედვით?**

— თამაში სახალისო და საინტერესო უნდა იყოს. როდესაც ბავშვი რაიმეს ინტერესით აკეთებს, ამოქმედდება ფანტაზია, რისი გამოხატულებაც თამაშია. სცდებიან, როცა ამბობენ, რომ თამაშით ბავშვმა მოზღვავებული ენერგია უნდა გამოიტანოს. რა თქმა უნდა, ბავშვი უნდა იყოს მოძრავი, ენერგიული, მაგრამ არ არის სწორი მისი მოზღვავებული ენერგია სიშმაგეში გადაიზარდოს. ასეთი თამაში გაუმართლებელია. გაშმაგებას მიჩვეული ბავშვები ადვილად აღგზნებადნი, გაუგონარნი არიან და უფროსის დახმარების გარეშე ძნელად უბრუნდებიან ნორმალურ მდგომარეობას. თამაშის ხასიათის მიხედვით, პირველ შვიდწლედში სამი საფეხური გამოიყოფა: პირველი საფეხური — ასაკი სამ წლამდე. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში, როდესაც იგი სხეულებრიობას ეუფლება და მისი თამაში უფროსების მიბაძვაში გამოიხატება. მეორე საფეხური — სამიდან 5 წლამდე. ამ ასაკს ფანტაზიის ასაკსაც უწოდებენ. ბავშვი იმეორებს მოქმედებებს მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან, ოღონდ ხატოვნად მიზანდასახულობის გარეშე. ეს მისი შემოქმედებითი ფანტაზიის აყვავების ხანაა. მესამე საფეხური — 5-დან 7 წლამდე. მართალია ამ დროს ბავშვი ჯერ კიდევ უფროსებზეა ორიენტირებული, მაგრამ მისი თამაშის წარმმართველი ძალა სულ უფრო და უფრო მეტად ხდება მისი შინაგანი სამყარო. მას უკვე შესწევს უნარი, სიტუაციებში „გადაინაწილოს“ როლები სხვა ბავშვებთან და „მიუჩინოს“ ფუნქციები სათამაშოებს. ფანტაზია ხდება უფრო მოქმედი, წარმოდგენებით გაჯერებული და მიზანმიმართული.

**— რამდენად მნიშვნელოვანია მშობლებთან ერთად თამაში და საჭიროა თუ არა ბავშვისთვის თამაშის სწავლება?**

— თუ ჩვენ ბავშვთან ერთად ვთამაშობთ, ამით მის „პროფესიას“ — თამაშს ვაღიარებთ. ისიც მადლიერებით, ნდობითა და სიყვარულით გვპასუხობს. თამაში იქცევა ერთობლივ საქმიანობად, რომელიც აღვიძებს ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემას. ეს ურთიერთობის დასაწყისია, რომელიც საკუთარი შვილის შეცნობის საშუალებას იძლევა, ბავშვი კი აკვირდება რა მშობელს, სწავლობს და მისგან უნარ-ჩვევებს ისისხლხორცებს. სამწუხაროდ, დღეს ძნელად მოიძებნება ბავშვი, რომელმაც ნამდვილი თამაში იცის გაშმაგების, ყვირილის, ჩხუბისა და მტვრევის გარეშე. მშობლები ველარ იცლიან შვილებისთვის, ბავშვს არ აქვს შესაფერისი გარემო და სათამაშო თავისი, ჭეშმარიტად ბავშვური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**— როგორი გარემო უწყობს ხელს ბავშვს თამაშისთვის?**

— ბავშვზე ყველაფერი ზემოქმედებს, რაც მის გარშემო ხდება — დაწყებული უფროსების ქცევით დამთავრებული იმ გარემოთი, რომელშიც მას თამაში უწევს. უფროსის მოვალეობაა ბავშვს ზნეობრივად მისაბაძი მაგალითი მისცეს და შეუქმნას შესაფერისი გარემო თამაშის სამივე საფეხურის განცდისა და ათვისებისათვის. ბავშვს უნდა ჰქონდეს თამაშისთვის განკუთვნილი, შესა-




ფერისად მოწყობილი კუთხე — მშვიდი, ნათელი, ხალისიანი, ჰარმონიული ფერების — დედის სამუშაო ადგილთან ახლოს. ბავშვისთვის მოსახერხებელია, თუ სამი წლის ასაკიდან ექნება თავისი მაგიდა სკამით და სათამაშოები გახსნილ თაროზე მოთავსდება. გულსაკლავია, როდესაც სისუფთავისა და წესრიგის დაცვის მიზნით, სათამაშოებს ერთ გროვად ჩაჰყრიან ხოლმე ყუთში.

**— როგორი სათამაშო უწყობს ხელს ბავშვის განვითარებას?**

— შესანიშნავია, თუ ბავშვი ორგანული ბუნების მასალიდან თავად ამზადებს სათამაშოს მშობლებთან ერთად. ბავშვს უყვარს ის, რასაც თვითონ ქმნის — მასში თავის მთელ შინაგან სამყაროს აქსოვს და ზუსტად ისეთად წარმოადგენს, როგორიც თავად სურს. ხშირად მშობლებს, სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლიათ სათამაშოს სახლში დამზადება და სურთ მისი შეძენა. აუცილებელია იმის ცოდნა რა არის ბავშვისთვის საჭირო და რა შეიძლება აღმოჩნდეს საზიანო. სათამაშო მარტივად აღსაქმელი უნდა იყოს, მარტივი, არადეტალიზებული ფორმებით. ის, რაც ბავშვისთვის გაუგებარია, მას აფრთხობს და ღლის. სწორედ იმიტომ ამტვრევს იგი სათამაშოს, რომ ვერ იგებს მის სირთულეს, სურს მისი გახსნა, რათა შიგნიდან გამოიკვლიოს და ასე ჩასწვდეს მას. მასალა უნდა იყოს ბუნებრივი — ხე, მატყლი, მინერალი. ბუნებრივის შეხებით, ბავშვი შეიგრძნობს ნამდვილს, მართალს. ასე ვუნარჩუნებთ მას რეალობის აღქმას. შეხების შეგრძნების განვითარებისთვის, საჭიროა, მასალის ზედაპირი იყოს გულდასმით დამუშავებული და ლაქით და საღებავებით მინიმალურად დაფარული — ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ — ბუნებრივი. არ არის საკმარისი მასალის მხოლოდ ეკოლოგიურად სისუფთავე. ყურადღება უნდა მიექცეს ზომას, ფერს, ტონს, თემატიკას. სათამაშო, რომელიც არაბუნებრივ ხმებს გამოსცემს, ბავშვს სმენას უზიანებს, თანაც ერთიდაიგივე ხმაურის გაუთავებელი გამეორება ძალზე აღიზიანებს მის ნერვულ სისტემას. დაუშვებელია კარიკატურა. ასაწყობი სათამაშოები წონასწორობის კანონებს არ ეყრდნობა და მოზარდს ჭეშმარიტი ცოდნის გზიდან აცდენს. ტექნიკური სათამაშოები მხოლოდ გარკვეული ასაკის შემდეგ შეიძლება. ადრეული სკოლის ასაკიდან უკვე საჭიროა ისეთი თამაშების ჩართვა, რომლებიც მეხსიერებასა და ლოგიკურ აზროვნებას ავითარებს, სათამაშოები კი — სისხარტესა და მოქნილობას. ამ ასაკში მოზარდი ჯერ კიდევ ფაქიზი არსებაა და მგრძნობიარეა გარე შთაბეჭდილებების მიმართ. ის ისევე უნდა დავიცვათ კარიკატურისა და გროტესკისაგან, როგორც პატარაობისას. ასეთი დამახინჯებული სურათები მას ცრუ წარმოდგენებს უქმნის რეალურ სამყაროზე და მორალურ ფასეულობებს მნიშვნელობას უკარგავს. გვახსოვდეს, მშვიდ, წყნარ, ჰარმონიულ, მოსიყვარულე ატმოსფეროში თამაშს, ბავშვის ასაკის შესაფერისი, გასაგები სათამაშოთი თერაპიული მოქმედება აქვს — ამშვიდებს ბავშვს, ხელს უწყობს მის სხეულებრივ და გონებრივ განვითარებას.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– რა არის ფალსიფიკაცია და როგორ ისჯება?**

– მუხლი 197.

I ნაწილი. ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

II ნაწილი: იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

III ნაწილი: ამ სუხლის I ან II ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

IV ნაწილი: ამ მუხლის I ან II ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

* * *

**– რომელი სასჯელები შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს?**

– არასრულწლოვანი დამნაშავისთვის დასანიშნი სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) თავისუფლების შეზღუდვა;

ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

* * *

**– მიეკუთვნება თუ არა ცემა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს და როგორ ისჯება?**

– დიახ, მიეკუთვნება.

ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდანას ოთხმოც საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, –

ისჯება ჯარიმასთან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე.

* * *

**– ისჯება თუ არა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვისთვის არიდება და როგორ?**



– ისჯება.

პირის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდება, ჩადენილი ასეთი ქმედებებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

* * *

**– ჩემმა შვილმა მოწმის სახით დაკითხვისას სასამართლოში შეცვალა გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. ის დარბაზიდან გამოსვლისთანავე დააკავეს ჩვენთვის შეცვლისთვის. რამდენად კანონიერია ეს და რა ელის ჩემს შვილს?**

– რამდენად კანონიერია, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან არ ვიცნობ კონკრეტული საქმის მასალებს, არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩვენების შეცვლა და ა.შ.

ზოგადად კი მოგახსენებთ შემდეგს:

სისხლის სამართლის კოდექსის 371-1 მუხლი ითვალისწინებს მოწმის (ან დაზარალებულის) მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას.

მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით.

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

* * *

**– რა შემთხვევაში ისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობა? როგორია სასჯელი?**

– როდესაც პირმა იცის დანამდვილებით, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, დაისჯება დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

სანქცია: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

* * *

**– ჩემი შვილი პატიმარია. განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული. ადვოკატი მუშაობს ახლად გამოვლენილ გარემოებასთან დაკავშირებით, რათა მოითხოვოს განაჩენის გასინჯვა. გთხოვთ, გვიპასუხოთ, კანონის მიხედვით, რა ითვლება ახლად გამოვლენილ გარემოებებად?**

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის მიხედვით:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას და მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე, ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

# facebook

# xalxis azriT

მეუფე კალისტრატესთვის ისაა ერის იმედი, დავითის ძეგლის მაგივრად ვინც დადგა ველოსიპედი

ეხლა რომ მახსენდება მეცინება,მიშას ხუთიანი რომ შემოვხაზე და სახლში ვბრუნდებოდი გახარებული,ეხლა მიშა გვყავს და გვეშველება მეთქი,მესმოდა მისი აფორიზმები;ქართველი ხალხი დამცირებულია.მთავრობას უნდა ეშინოდეს ხალხის და არა ხალხს მთავრობის.ახლა ბიძინას ვუყურებ იმედით, მას საქმით აქვს დამტკიცებული ყველაფერი,მინდა რომ გადარჩეს ქართველი ერი რომელსაც ემუქრება გადაშენება

ხელისუფლებამ შექმნა კონტროპოზიცია, ხელს უწყობს კონტრენჯეოებს, ინტერნეტში წარმოიქმნა ანტიმედია საიტები, სატელევიზო სფერო ბოლშევიკური პროპაგანდით არის დაკავებული.არ ვარ განსსხვავებული აზრის მოწინააღმდეგე,მაგრამ ზედმეტი ცენტრალიზირება და მმართველი ძალიდან ინექცია,რათა გამოიფიტოს სამოქალაქო საზოგადოება, ზუსტად იმ პროდასავლურობის დასაფლავებაა,რასაც ვითომ ემსახურებიან.თუ ამას ვერ ხედავთ, თქვენი ჭრელი სათვალეების ძალიან მშურს. :| სადღაც სხვაგან წავედით.......უტანტების ხელშეწყობა პოლიტიკური ევოლუციის პროცესს მხოლოდ დაამუხრუჭებს. შესაძლებელია ეს მუტანტები სხვა ხელისუფლების ხელში აღმოჩნდნენ.პრობლემა მათი არსია და არა პარტიული ორიენტაცია. ა-დან ჰ-მდე სიბინძურეა

პროფესორი დიპლომატიურად საუბრობს, რათა დაატკბოს მწარე ნათქვამი. მან მშვენივრად იცის, რომ ვერანაირი შემადგენლობით და ინტელექტუალური რესურსით საქართველო ვერ მიაღწევს პროგრესს, თუკი ხელისუფლება არ შეიცვალა. სულ ვარსკვლავებს რომ სწვდებოდეს ჩვენი დემოკრატიის და ეკონომიკური მაჩვენებლები, დამარცხებასთან და კონფრონტაციასთან ასოცირებული ხელისუფალი უნდა შეიცვალოს. მით უმეტეს რომ დემოკრატია და ეკონომიკაც სავალალო მდგომარეობაშია

სავსებით არ მიმაჩნია პოლიტიკა სიბინძურედ. პოლიტიკაში მხოლოდ უზნეო ადამიანები ბინძურდებიან, რითაც აფერხებენ ქვეყნის წინსვლას. დღეს ჩვენს დედასამშობლოში ერი და ბერი ერთად უნდა ვიდგეთ. განზე გადგომა და ბუჩქებში მიმალვა ქვეყნის ღალატია (რა თქმა უნდა, ეს ჩვენს უწმინდესს არ ეხება, ღმერთმა დალოცა ჩვენი პატრიარქი მართმადიდებლობით). ჩვენი სამშობლო თავისი კულტურით დღემდე მართლმადიდებლური რწმენით შემორჩა.

ივანიშვილის დანაშაული რა არის, ბიზნესმენი რომაა თუ, ხელისუფლებაში მოსვლა რომ განიზრახა?

ივანიშვილის დაფინანსებაზე უარი, ნანა ალექსანდრიას გარდა, არავის უთქვამს. არადა, რამდენიმე დღის წინ კულტურის მინისტრი ირწმუნებოდა, რომ თეატრები ამ დაფინანსების მიღებაზე უარს ამბობდნენ. მაგრამ, როგორს ჩანს, ხელისუფლების და რიგითი მოქალაქეების, თუნდაც ეს იყოს ცნობილი მსახიობი თუ მომღერალი, სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა..

აღსანიშნავია, რომ რუსეთში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები საქართველოსგან ჩამორჩენასა და საბოლოო დაქცევას უწინასწარმეტყველებენ, სახელმწიფო პენსია მიბმულია საარსებო მინიმუმზე და ის საარსებო მინიმუმზე დაბალი არ შეიძლება იყოს. ამასთანავე, ინფლაციის გათვალისწინებით ხდება მისი ინდექსაციაც, "წარმატებული და მზარდი ეკონომიკის" საქართველოში კი ჯერჯერობით ამაზე არც ფიქრობენ....



# როგორი იქნება 2012 წელი?



მეცნიერები კატეგორიულად უარყოფენ მოსაზრებას, თითქოს 2012 წელი ქვეყნიერების დასასრულის წელი იყოს.

ჩვენ ისტორიკოსებთან ერთად გავაანალიზეთ მაიას კალენდარი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ მაიას ხალხი ამ კალენდარს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობისთვის იყენებდნენ. მაგალითად, როდის ჯობდა ხის მოჭრა იმ მინდვრის მოსამზადებლად, სადაც ყანა უნდა დაეთესათ. მოესწროთ, რომ მოეხნათ და დაეთესათ ხანგრძლივი წვიმების პერიოდის დადგომამდე. მთვარის, მზის, ვარსკვლავების და ცაზე დაკვირვების გარდა სხვა ორიენტირი მაიას ტომის ხალხს არ ჰქონდათ. ისინი კოსმოსურ მოვლენებს ციკლებად ყოფდნენ. ერთ-ერთი ასეთი ციკლი 2012 წელს სრულდება. ზოგიერთმა ასტროლოგმა ამ ციკლის დასრულება ქვეყნიერების აღსასრულს დაუკავშირა, რადგან ვერ გამოთვალა კალენდრის შემდგომი ციკლები და სამყაროს დასასრულის განცხადება მათთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა.

რა სიურპრიზებს გვიმზადებს ახალი 2012 წელი? ასეთი შეკითხვის დასმა ცალსახად ასტროლოგისთვის ან მეცნიერისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება ორივეს მისცეს. მით უმეტეს, რომ 2012 წელი უკვე მიჩნეულია ქვეყნიერების აღსასრულად, კალენდრის მიხედვით, რომელიც უძველესი ცივილიზაციის მაიას ხალხმა შეადგინა.

მეცნიერთა აზრით, 2012 წელი რთული, მაგრამ ნაყოფიერი იქნება.

ჩვენი ვარაუდით, 2012 არაჩვეულებრივი წელი უნდა იყოს, – აცხადებენ კანადელი მეცნიერები. ყოველივე კი მაინც დაკავშირებულია მზის განსაკუთრებულ აქტივობაზე. ასეთი ტიპის აქტივობები ყოველ 11 წელიწადში ერთხელ ხდება და ის უკვე დაიწყო გასულ წელს. მზის უზარმაზარი ცეცხლოვანი ტალღები რეაქტიული სიჩქარით მოემართება დედამიწისკენ და იწვევს მაგნიტურ ქარიშხლებს. მაგნიტური ქარიშხლები კი, მოგეხსენებათ, აქტიურად მოქმედებს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისე ტექნიკასა და გარემომცველ სამყაროზე. იწვევს კატასტროფებს და სხვადასხვაგვარ ანომალიებს, ადამიანებს უმწვავდებათ ქრონიკული და თანდაყოლილი დაავადებები. მზეზე ამოფრქვევის დროს ჰალუცინაციები ეწყებათ, მაგალითად, ეჩვენებათ, რომ უცხოპლანეტელი დაინახეს. რაც შეეხება პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს და ა.შ. მათ შემოქმედებითი აქტივობები ეწყებათ.




მაიას ტომები ციკლის დამთავრებას ისე ტრაგიკულად არ უყურებდნენ, როგორც დღეს აღიქვეს. პირიქით, მათ უხაროდათ, როცა ერთი მზის ციკლი სრულდებოდა და ისეთ ზეიმებს აწყობდნენ ამ პერიოდის დადგომის აღსანიშნავად, როგორც ჩვენ ვდღესასწაულობთ ახალი წლის დადგომას. რაც შეეხება ქვეყნიერების აღსასრულს, ასეთ რამეზე მათ საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა.

მაგრამ რას ფიქრობენ პარაფსიქოლოგები?

ისინი ამბობენ, იფიქრე მხოლოდ კარგზე, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

ვანგას მიმდევარი, პარაფსიქოლოგი მაგდალენა ველტი მიიჩნევს, რომ 2012 არ არის ქვეყნიერების აღსასრული. პირიქით, იწყება ძალიან მშვიდი და პოზიტიური დრო დედამიწაზე. მატერიალიზმის პერიოდი, როცა მბრძანებელი ფული იყო, მთავრდება და კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის.

„კიდევ ერთი თავისებურება, რაც ახალ პერიოდს ახასიათებს, – რეალური ცხოვრება სულ უფრო და უფრო იქნება დამოკიდებული ადამიანის მიზნებზე, სიტყვებსა და მოქმედებებზე. ამიტომაც, თუ გინდათ იცხოვროთ მშვიდად, ლამაზად და გარემოსთან ჰარმონიულად, მუდმივად პოზიტივზე იფიქრეთ.

2012 წელი გულკეთილი ადამიანების წელი იქნება.

ისინი, ვისი დაბადების წელი მთავრდება რიცხვებზე 1, 2, 3, 4 სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარისა და უკონფლიქტო ხასიათის გამო 2012 წელს წარმატებული დღეები ელით.

მათ, ვისი დაბადების წელი მთავრდება 5,6,7,8,9 რიცხვებზე, მოთმინებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ამ წელიწადს სასწაულებს უნდა ელოდონ.

ხოლო ისინი, ვისი დაბადების წელიც 0-ზე მთავრდება, მიუხედავად ემოციური ხასიათისა, წლეულს მშვიდი პერიოდი დაუდგებათ.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – კარგი პერიოდი გელით. მოგეცემათ საშუალება წარმატებას ადვილად მიაღწიოთ. განსაკუთრებული ყურადღება საქმიან შეხვედრებს დაუთმეთ.

**კურო** – თქვენს ცხოვრებაში საინტერესო მოვლენები განვითარდება განსაკუთრებული წარმატება კვირის დასაწყისში გელით. ყურადღება გაამახვილეთ საოჯახო საქმეებზე.

**ტყუპები** – წინ აქტიური პერიოდი გელით, რომელიც საუკეთესოა ახალი იდეების განსახორციელებლად. ახალ სასიყვარულო ურთიერთობებს ერიდეთ, ძველი ურთიერთობები გაამყარეთ.

**კირჩხიბი** – კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში საკუთარ იმიჯზე იზრუნებთ და პროფილაქტიკურ მკურნალობასაც ჩაიტარებთ. ეცადეთ, მაქსიმალურად აქტიური იყოთ.

**ლომი** – თავს მოვლენების ეპიცენტრში იგრძნობთ. ეცადეთ, გონების კონცენტრაცია ერთ საქმეზე მოახდინოთ. ფრთხილად იყავით, საქმემ ისე არ გაგიტაცოთ, რომ საყვარელი ადამიანი უყურადღებოდ დაგრჩეთ.

**ქალწული** – კარგი იქნება, თუ ახალ საქმიანობას წამოიწყებთ. დროდადრო იზრუნეთ დასვენებაზეც. სიფრთხილე გმართებთ ოჯახურ ურთიერთობებში.

**სასწორი** – თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა. ეცადეთ, იღბალი ხელიდან არ გაუშვათ. სწორედ ამ პერიოდში დასახეთ მომავლის გეგმები.

**მორიელი** – ვალის აღებას ერიდეთ. თუ მაქსიმალურად არ ხართ დარწმუნებული საკუთარ გადაწყვეტილებაში, საქმიან ქაღალდებზე ხელის მოწერას ნუ იჩქარებთ.

**მშვილდოსანი** – ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა რთულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე კარგ ზეგავლენას მოახდენს.

**თხის რქა** – ერთი შეხედვით შეიძლება, რთულ პერიოდად მოგეჩვენოთ, მაგრამ თუ საკუთარი ძალების მობილიზებას მოახდენთ, პრობლემების იოლად დაძლევას შეძლებთ. ამას მარტო ნუ ეცდებით, კოლეგებიც დაიხმარეთ.

**მერწყული** – ამ პერიოდში სიყვარულში ვნებათაღელვაა მოსალოდნელი, რის გამოც შეიძლება უამრავი სისულელეც კი ჩაიდინოთ. ოჯახის შექმნის ალბათობა დიდია.

**თევზები** – ამ პერიოდში საყვარელ ადამიანებთან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იმატებს. ამიტომ კარგია, თუ მთლიანად საქმეზე მოახდენთ კონცენტრირებას ან მივლინებაში გაემგზავრებით. საკუთარი გეგმების შესახებ ხმამაღლა ნუ ისაუბრებთ.